

ლუარა სორდია

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ოპოზიციური ლირიკა



ნაშრომში შესწავლილია რევოლუციისა და მისი მონაპოვრების შეფასება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, პოეტის აპოკალიფსური სახეები, დემონის, მეფისტოფელის, სატანიც, ლუციფერის, ბელზებელის სახეებით მოვლენილი ეპოქალური ბოროტება, სამშობლოს ბედისა თუ ავდრის, უამინდობის, ზამთრის, თოვლის, ყინვის, ღრუბლების ქვეტექსტები...

ტერენტი გრანელის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, იოსებ გრიშაშვილის, ალ. აბაშელის, კოტე მაცაშვილის, გიორგი ლეონიძის შემოქმედებიდან შერჩეული და გაანალიზებულია ხელისუფლების არაეროვნულობის, ათეისტურობის, მისი ტირანული, რეპრესიული პოლიტიკის ამსახველი ნიმუშები.

ნაშრომი განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტ ბაკალავრ-მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და საერთოდ, მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ტიტე მოსია
რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნაზი ხელაია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიანა აღანია

გალაკტიონ ტაბიძის ოპოზიციური პოეზია	
რევოლუციისა და მისი მონაპოვრების შეფასება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ---	2
“ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირთა” ციკლი – ეპოქის ტირანიის მაუწყებელი -----	12
დემონის, მეფისტოფელის, სატანიც, ლუციფერის, ბელზებელის სახეებითმოვლენილი ეპოქალური ბოროტება -----	17
ავდრის, უამინდობის, ზამთრის, თოვლის სახეთა ქვეტექსტებით სამშობლოს ბედისა თუ უბედობის გაცხადება. ავდრისა და ზამთრის რელიგიურ-პოლიტიკური ქვეტექსტები –	23
სამშობლოდ სახელდებული „არაწმინდა თოვლის“ მხარე -----	28
“აუხდენელთა დღესასწაულთ ღურჯი ყინული” -----	33
„ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“ -----	36
აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების კრიტიკა ტერენტი გრანელის პოეზიაში -----	23
ტიციან ტაბიძის გაბედული სტრიქონები -----	29
ოკუპირებული საქართველოს რექვიემი კოლაუ ნადირაძის პოეზიაში -----	38
იოსებ გრიშაშვილი – საბჭოთა ხელისუფლების მოუსყიდავი მსაჯული -----	40
ალექსანდრე აბაშელის ობიექტური პოზიცია -----	48
საქართველოს პოლიტიკური ავდარი და კოტე მაყაშვილის გოდება -----	54
გიორგი ლეონიძის კრიტიკული შეძახილი ტირანული ხელისუფლებისადმი -----	56
წითელი გველეშაპის მხილება პაოლო იაშვილის პოეზიაში -----	57

გალაკტიონ ტაბიძის ოპოზიციური პოეზია

რევოლუციისა და მისი მონაპოვრების შეფასება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

გალაკტიონ ტაბიძემ ღმართისუარმყოფელ, მეფისტოფელის საუკუნეში იცხოვრა. ამ ეპოქის დირიჟორი იყო სატანა, ანუ რუსული ბოლშევიზმი.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გალაკტიონი მიჩნეული იყო რევოლუციის პოეტად., საბჭოთა წყობილების, სოციალისტური მშენებლობის გულწრფელ მომდგრად (1, 250-262), სოციალისტური რელიზმის ფუძემდებლად (2, 70-83), სოციალიზმის რელსებზე გადასულ პოეტად (3, 70, 211), რევოლუციური იდეებისა და რევოლუციური მოძრაობის გულწრფელ მომხრედ (4, 131-235).

მაგრამ გალაკტიონის სარმრთო და სარვთისმსობლო სახისმეტყველება, გრაალის სახე და მისი იდეალებისადმი ერთგულება საპირისპიროში გვარწმუნებს.

“პოეტების მეფე” ნათელმხილველი და ნათელმსმენი იყო, იგი წინასწარ ჭკრეტდა მოვლენებს, “ბუმბერაზი წინათგრძნობა” გამოარჩევა და დაუჯერებელია, მას შეცნობილი არ ჰქონოდა ოქტომბრის რევოლუციის რეჯისორთა სული,მათი საქმიანობის შედეგების, რომ მათ მიერ დამყარებული სოციალიზმი არა ქრისტეს, არამედ ბარაბას გზით სიარულის მომასწავებელი იყო.

მაგრამ იმ მეცნიერებს, რომლებიც ხაზს უსვამენ რევოლუციისადმი, საბჭოთა წყობილებისადმი გალაკტიონის ერთგულებას, ამის სამტკიცებელი ფაქტებიც მოეპოვებათ. პოეტის შემოქმედებაში მართლაც ბევრია რევოლუციისადმი მიძღვნილი ლექსი. მაგრამ აღსანიშნავია, რომ გალაკტიონი მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისგან ჭეშმარიტად რევოლუციური სულისა და პროლეტარულ პოეზიას.

ჩვენის აზრით, ამ კითხვის სწორ პასუხს იძლევა პროფესორი დავით თევზაძე, რომ ამ შემთხვევაში “ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ზოგადრევოლუციური და კონკრეტული შინაარსის ისტორიულ-რევოლუციური აქტი. პირველი ავტორის ბუნების თანაზიარია და სამყაროს მარადჟამ განახლებასა და თავისუფლებისკენ სწრაფვაში პოულობს გამოხატვას, ხოლო მეორე, თუმცა უშუალო კავშირშია პირველთან, კონკრეტულ-ისტორიული შინაარსის შემცველია. ამ უკანასკნელის მაგალითია თებერვლის რევოლუციისა, რომელმაც პოეტს ათქმევინა: “გათენდა! ცეცხლის მზე აენტო, აცურდა, დროშები ჩქარა !” (1917 წ. მარტი) და “ამხანაგებო, განახლების ზარმა დარეკა, ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება: თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება” (ათრობდა ხალხთა მწუხარება) (1917 წ. მარტი).

სწორად შენიშნავს პროფ. დ. თევზაძე, რომ “ეს რევოლუციურ-განმაახლებელი პათოსი არ შეიძლება გავავრცელოთ რევოლუციურ განწყობილების მის ყველა ქმნილებაზე... განსაკუთრებული სიფრთხილე გვამთებს, როდესაც ვაფასებთ პოეტის მიმართებას ოქტომბრის რევოლუციასთან, განსაკუთრებით კი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფაქტთან, 1921 წლის 25 თებერვლის აქტთან, რომელიც ახლა უკვე შეფასებულია როგრც სუვერენული რასპუბლიკის საქართველოს სამხედრო ოკუპაცია და ანექსია” (5, 253).

გასაზიარებლად მიგვჩნია მეცნიერის დასკვნა, რომ გალაკტიონის დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისადმი პოზიტიური არ არის... უნდა გაიშიფროს პოეტური სახე “ქარისა”, რომელსაც “გარეთ ატლასთა არტყია ჯარი, შიგნით სავი აქვს გულისნადები...” რომ “რევოლუცია და საბჭოთა საქართველო არ არის იდენტური ცნებები”.

“გალაკტიონის წერილები, დეკლარაციები “ახალი საქართველოსადმი” სამსახური უნდა ნიშნავდეს საქართველოს ერთგულებას ახალ ვითარებაში (5, 255).

გალაკტიონის გაერთიანება ანტისაბჭოთა პოზიციის “არიფიონში” 1921 წ., “აკადემიური ასოციაციის” ორგანოებში ბეჭდვა, ჟურნალ “ლომისისა” და “გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის” დაარსება შემთხვევითი არ უნდა იყოს, აღნიშნავს პროფესორი დავით თევზაძე და ეს ფაქტები მართლაც დამაფიქრებელია.

“გალაკტიონი ნამდვილი აკადემისტია პოლიტიკური პოზიციით, ესთეტიკური მრწამსით, შემოქმედებით, სულითა და გულით” – ასეთ ანგარიშგასაწევ მოსაზრებას ავითარებს პროფესორი დავით თევზაძე ზემოთმითითებულ წიგნში.

დაკვირვების სედეგად არის გამოტანილი დასკვნა, რომ 1921 წ. დათარიღებული გალაკტიონის ლექსები “არსად მიგვანიშნებს საბჭოურ საქართველოსადმი პოზიტიურ დამოკიდებულებაზე” და ასახელებს ლექსებს “ავდრები” (1921 წ.), “დღემ გაიარა” (1921 წ.), “მსობლიური ეფემერა”, “918”, “დადგა აგვისტო” (აგვისტო 1924 წ. აჯანყების თარიღზე მიგვანიშნებს – დ. თ.), “ორი მრისხანე სტიქის ბრძოლა”, “მოგონება ყრუ შესახვევის”, “ცეცხლი”, “ორად გაიყო წითელი კლდე” (1923 წ.).

“ცხადია, პოეტი შეწუხებულია “მრავალთა მონობით” და “უღვთისმშობლობით”, აჯამებს თავის თვალსაზრისს პროფესორი დავით თევზაძე (5, 261).

ანალოგიურ შეხედულებას ავითარებს მეცნიერი გალაკტიონის პოემებთან დაკავშირებით.

“პოემებში “მოგონებები” და “ჯონ რიდი” ახალი სინამდვილე დანახულია, როგორც შიშის, სისასტიკისა და სისლიანი ტერორის გარემო. “ჯონ რიდიში” ვიღაცას წინასწარმეტყველურად ათქმევინებს:

“ქვეყანა კიდევ უფრო დაიმშვეა,
უფრო გაძღვრდება სიმწარე
დაეკარგება სინდისს ფასი
ღვთიური ყველაფერი დაიკარგება,
დაინგრევა ყოველივე წმინდა
საქვეყნო წყევლით” (5, 262).

პროფესორ დავით თევზაძის აზრით, ლექსი “ჩვენ, პოეტები საქართველოსი” მიძღვნილია არა რევოლუციის, არამედ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისადმი და “მართებული არ არის “მისი აქამდელი ინტერპრეტაცია”. ამ თემას მიაკუთვნებს მკვლევარი გალაკტიონის ლექსს “დადგა აგვისტო”.

საანალიზო ლექსის (ჩვენ პოეტები საქართველოსი) პოეტურ სახეს “სისხლიანი ანგელოზი” დ. თევზაძე უკავშირებს არა აჯანყებულ პატრიოტ ქართველთა სამართლიან ბრძოლას... პოეტი ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც სისხლიანი რეპრესიებით 60 მილიონამდე მსხვერპლი შეიწირა (ზოგი 100 მილიონს ასახელებს), “ანგელოზს” (თუნდაც “სისხლიან ანგელოსს”) ვერ დაარქმევდა.

“ამგვარი წაკითხვით “ქარიშხალსა” და “ახალ გრიგალს” აღვიქვამთ 1924 წ. აგვისტოს აჯანყებად, ხოლო “სისხლიან ანგელოსს” – აჯანყებულ ქართველებად” – ასკვნის დ. თევზაძე (5, 264).

“ვის გვერდით დადგებოდა ბარიკადებზე გალაკტიონი? ნუთუ იგი მოგვიწოდებდა დაცვისაკენ იმ წყობილებისა, რომელიც სამხედრო ოკუპაციის გზით გაბატონდა და მასობრივი ტერორით სისხლში ახრჩობდა თავისუფლებისათვის მებრძოლ მშობელ ხალხს?” – კითხულობს პროფ. დ. თევზაძე.

იოსებ ლორთქიფანიზე მიუთითებს, რომ გალაკტიონი 1924 წ. გამოქვეყნებული პოემისთვის “მოგონებები” (“მნათობი”, 1924 წ. გვ. 5) “რამდენიმე დღით მეტეხის ციხის ბინადარი გახდა” (4, 189).

ასევე, ნოდარ ტაბიძე აღნიშნავს, რომ 1924 წ. გალაკტიონი უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა და ჩუდდევების ოჯახში შეიფარა.

სავსებით დასაბუთებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომლითაც ამთავრებს თავის წერილს პროფესორი დავით თევზაძე: “გალაკტიონი ურთულესი ფენომენი, წინდახედული პოლიტიკოსი და ტაქტიკოსი გახლდათ. მისი ერთი ჩანაწერი ასეთია: “როცა ყველა ელამია, შენც თავი ელმად უნდა აჩვენო”. მას აქვს ასეთი სტრიქონიც: “სულ ადვილია რწმენა აუხდენელი ზრაპრის”. ამ თვალსაზრისით უფრო საყურადღებოა ამავე ლექსის ვარიანტი: “რამდენ სიმღერას ვმალავ, სისხლის აჩნია ზოლი” (თხზ. ტ. II, ძვ. 408).

“ეს დაკვირვებები... გამოხატავს პოეტის ესთეტიკურ-პოლიტიკურ პოზიციას, მის პროტესტანტულ დამოკიდებულებას რევილუციური საქმისადმი” – ასეთი დასკვნით მთავრდება მეცნიერის გამოკვლევა (იხ. დავით თევზაძე, “გალაკტიონი, რევოლუცია და აგვისტოს აჯანყება”). ცნობილია, რომ გოეტე აცხადებდა: “მე მძაგს ყოველგვარი სისხლიანი გადატრიალება, რომელიც იმდენივე კარგს ანგრევს, რამდენსაც ქმნის. მე მძაგს ისინიც, ვინც ძალმომრეობით აღიძვრიან და ისინიც, ვინც ამის მიზეზს იძლევიან. განა ამისთვის ხალხის მეგობარი აღარ ვარ? განა რომელიმე სამართლიანი კაცი სხვაგვარად იფიქრებს?”.

“ყოველი ძალადობა, ყოველი ნახტომი ჩემს სულს აღაშფოთებს, რადგან ის ბუნებას ეწინააღმდეგება”. (7, 81).

ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ბლოკის პოემაში “თორმეტი” რევოლუციონერებს ქრისტე მოუძღვით, რაც მათ მომავალ განსჯაზე უნდა მიგვანიშნებდეს (8, 175).

ვახტანგ ჯავახიძე მიუთითებს გალაკტიონის “ტრაგიკულ მსოფლგანცდაზე” და იმოწმებს პოეტის ჩანაწერს: “საქართველოში, სადაც ხე არ ყოფნით ჯვრების ასამართავად და ხეები არ ყოფნით ჯვარზე საცმელად, ერთი ტრიბუნადა დაგვრჩენია. ეს არის სასაფლაო” (9, 259).

გვახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის განაცხადი: “მე, მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ, ირგვლივ ვაება და კაეშანია” (10, 267).

“საბჭოთა სამშობლოს ისტორია”, მისი სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ-კულტურული გზა... დიდ პოეტს 50 წლით ადრე მაინც განუსაზღვრავს, როგორც მცდარი და ბნელი ხანა”,... მან (გალაკტიონმა – ვ.ჯ.) ჩვენი ქვეყნის ისტორია გრაფიკულად გაიაზრა... 10 წრეხაზით, თითოეული მიგვანიშნებს ადამიანის თავზე, რომელიც თანდათან ბნელდება” – ასეთია ვახტანგ ჯავახიძის დაკვირვება (9, 79).

გალაკტიონის შემოქმედებაზე ამ ასპექტში ახლებურია პროფესორ ავტანდილ ნიკოლეიშვილის აზრი: “გალაკტიონის დამოკიდებულება რევოლუციისა და მისი შედეგებისადმი არასწორხაზოვანია... იგი არ ყოფილა ამ მოვლენათა მხოლოდ აღფრთოვანებული მეხობე. პირიქით, მის პოეზიაში ნათლად ვლინდება მძაფრი კრიტიკული დამოკიდებულებაც რევოლუციისადმი... ცნობილია მისი ოპოზიციური ნაწარმოებები და ჩანაწერები... შეფარვით გამჟღავნება ნამდვილი გულისთქმის” (11, ...).

ჩვენის აზრით, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელობის პრინციპი და, გამომდინარე აქედან, რევოლუციის ცნებაც არ არის ერთმნიშვნელოვანი პოეტის შემოქმედებაში, მას აქვს სოციალური, ესთეტიკური, კულტურული ასპექტები და უმთავრესი მაინც ისაა, რომ გალაკტიონი, უმთავრესად, სიტყვის რევოლუციონერია და მისთვის უპირველესია “სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუცია”.

1918 წ. შექმნილი “როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები” გვიჩვენებს სამარადისო ზამთრის შიშს, იუდას სახე, კაენის ლანდი და “ღამეების შავი გუგუნი”, “ურიჟრაჟო ღამე” ასდევნებია პოეტს, “დამსხვრეული სწორი კენარი”, “სისხლის, ტალახის, ცეცხლის და წყალის” შეუჩერებელი ზვირთი, საზარელი ჯურღმული და მკვდრები

ყველგან სიკეთემოკლულია აფთარივით და პოეტი გრძნობს “როგორ მოჰყვება ავდარს ავდარი”. ასეთ დროს იგი იკონებს “სხვა სიყვარულს” ანუ ღმერთს (12, 138).

გალაკტიონი მიესალმა 1917 წ. თებერვლის რევოლუციას, რადგან ამ მოვლენამ რუსეთის იმპერია დაანგრია და ჩაგრულ პატარა ერებს განთავისუფლების შანსი მისცა, ოქტომბრის რევოლუციაში მან სამუდამო ზამთრის შიში დაინახა და ეს იყო მისი უდიდესი წინასწარმეტყველების უნარის კიდევ ერთი გამოვლინება.

გალაკტიონი უსახოთა სისხლიან ტბას, რევოლუციად სახელდებულ ტერორს კი არ განადიდებდა, რამედ “სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციას” მიესალმებოდა და “სიტყვის რევოლუციონერად” გვევლინებოდა უწინარესად.

ხოლო თუ როგორ გაიგო პოეტმა რევოლუცია 1924 წ. დაწერილ პოემაში “ჯონ რიდი”, ამის მაგალითად ეს ესტრიქონებიც კმარა: “სარწმუნოება გახდა სატანის... ლოცვა ისე დაეცა... შემოვლებული დროთა ხავსებით, ხატი პილატეს დაემსგავსება, მისი ასეთი ცოდვით დამწვარი ჯოჯოხეთიდან შემოდის ჯვარი. მისთვის ჯოჯოხეთური სამოთხე შენდება და შეიძლება როს გათენდება ედემის მსგავსი იგრძნოს ჯოჯოხეთი... მგმობი ნათელის, ტირის თვალები ობივატელის. ყველაფერი ნისლის ფერია” (13, 9-10).

ტერორი და სისხლი რომ რევოლუციონერთ საქმიანობის უმთავრესი მახასიათებელი იყო ადრიდანვე, ამაში ეჭვის სეტანა სეუძლებელია, თუმცა ადრეულ ეტაპზე მას ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა, შემდეგ კი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დონეზე იყო.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის შუახანებში შეიქმნა მოძღვრება, რომელიც ისტორიაში დიალექტიკური მატერიალიზმისა და სოციალიზმის სახელითაა ცნობილი. ამ მოძღვრების შემოქმედნი იყვნენ მარქსი და ენგელსი. ისინი გამოდიოდნენ კლასობრივი ბრძოლის თეორიით და მიუთითებდნენ კაპიტალიზმის უცილობელ განადგურებას. მათი აზრით, კაპიტალიზმის ქაოსური განვითარება ბოლო ეტაპზე გამოიწვევდა მის ბუნებრივ ნგრევას და ხელისუფლება აღმოჩნდებოდა მუშათა კლასის წარმადგენელთა ხელში. შეიქმნებოდა სახელმწიფოს სოციალურად სამართლიანი მოდელი, რაც კეთილდღეობას მოუტანდა მშრომელთა კლასს, რომელიც აღმოჩნდებოდა ერთადერთი კლასი სახელმწიფოში. მშრომელთა კლასი თვითონ იქნებოდა თავისი ბედის მჭედელი, რისი შედეგიც იქნებოდა კომუნიზმი, ანუ სახელმწიფო ფულადი მიმოქცევის გარეშე, სადაც გადაწყვეტილი იქნებოდა საყოფაცხოვრებო პრობლემები. ამ მოძღვრებამ ფართო გავრცელება ჰპოვა ევროპასა და მსოფლიოს ქვეყნებში.

XIX საუკუნის მიწურულს რუსეთში შეიქმნა მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტია ვ. პლექსანოვის მეთაურობით. ცოტა ხნის შემდეგ პარტია შიდაპარტიულმა დაპირისპირებამ მოიცვა. პარტიაში შიგნით გამოვლინდა განსაკუთრებით ექსტრემისტული, რადიკალური ფრაქცია “ბოლშევიკების” სახელწოდებით ვ. ლენინის მეთაურობით. უნდა ითქვას, რომ რუსული მარქსიზმი განსხვავდებოდა ორთოდოქსალური მარქსიზმისაგან მნიშვნელოვნად, მაგრამ არა ძირეულად. მარქსის აზრით, ევროპაში, და რუსეთში მით უმეტეს, შეუძლებელი იყო სოციალიზმის დამკვიდრება ახლო ისტორიულ პერსპექტივაში, რადგან კაპიტალიზმი, მასში შემავალი პროლეტარიატი არ იყო მომწიფებული პროგრესული აზრის შემოქმედებისთვის, რადგან არ იყო გათვითცნობიერებული სახელმწიფოებრივი მართვის საკითხებში. რუსმა მარქსისტებმა კი ეს მოძღვრება თავისი სურვილის მიხედვით გაიგეს და გამოაცხადეს, რომ სოციალიზმის გამარჯვებისთვის არ არის აუცილებელი კაპიტალიზმის განვითარების და პარალელურად პროლეტარიატის გათვითცნობიერების ლოდინი, საჭირო მოქმედება ყველა ხერხებით, რომელსაც შეუძლია არსებული სისტემის დანგრევა. ამ ხერხებში იგულისხმებოდა: ფიზიკური ტერორი, შანტაჟი, მოსყიდვა, დასმენა, ყაცადობა, ქურდობა და თვით დროებითი თანამშრომლობა ხელისუფლების ორგანოებთან საკუთარი სარგებლობის მიზნით.

ეს პოზიციები კარგად გამოიხატა ადრეული ხანის რუსი მარქსისტის ნენაევის “კატეხიზისში სოციალისტისათვის”, რომელიც მაშინათვე რუსი სოციალისტების სანაგიდო წიგნი გახდა. საინტერესო ის არის, რით განსხვავდებოდა რსდმპ-ს ორი ფრთის: “ბოლშევიკებისა” და “მენშევიკების” პლატფორმა. მენშევიკების პოზიცია იხრებოდა შედარებითი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ლიბერალზმისაკენ, თუმცა იტოვებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველსმომცველი კონტროლის უფლებებს. “ბოლშევიკები” კი წინააღმდეგნი იყვნენ ყოველგვარი მრავალპარტიულობისა, პრესის თავისუფლებისა, კერძო საკუთრებისა და ითხოვდნენ მარქსისტულ-ლენინური დოგმატების მიმართ ბრმა და უსიტყვო მორჩილებას. აი, რა იყო მათი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები, თუმცა ერთში ისინი თანახმანი იყვნენ: კაპიტალიზმის ძალით დამხობაში. ყოველწლიურად ისინი აწყობდნენ ასობით და ათასობით სისხლიანი ანგარიშსწორების სცენებს, ძარცვებს სიმდიდრის ხელში ჩაგდებას მიზნით, მოწინააღმდეგეთა ყოველმხრივ კომპრომეტირებასა და შანტაჟს. რად ღირს ტუნდაც “ბოლშევიკების”, სემდგომში კომუნისტების ორ ბელადტაგან ერთ-ერთის, სტალინის ბიოგრაფია, რომელიც აღსავსეა კრიმინალური რეციდივებით, ორმაგი თამაშით ჟანდარმერიასთან თვით ლენინისავე ნებართვით (რაძინსკი).

სოციალიზმის არსი თვადიანვე რომ დამანგრეველი და დამღუპველი იყო, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა. მან ადამიანი სამყაროში მარტოდ დატოვა სიცარიელეში, გამოაცალა რა მას რელიგიური საყრდენი, სიცარიელის ამოვსებას კი თვითონ შეეცადა საამური სიცოცხლის და მარადიული სიკვდილის თეორიით. ვინ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რომელთაც ააჯანყეს მონები ბატონთა წინააღმდეგ, რათა თვითონ გაბატონებულიყვნენ მათზე, ოღონდ ენით აუწერელი სისასტიკით ძველ ბატონებთან შედარებით.

ამ პერიოდის მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოზეც იქონია დიდი გავლენა. ქართველი მარქსისტები გამოირცეოდნენ ყოველივე ტრადიციულ-ეროვნულის მიმართ განსაკუთრებული ანტიპათიით. ქართველ ერს ისინი განიხილავდნენ კლასობრივი ბრძოლის თეორიით მსოფლიო პროლეტარიატის პრიზმაში. მათთვის საქართველო იყო მხოლოდ ტერიტორიული ერთეული, სადაც უნდა დაემკვიდრებინათ “ნათელი სოციალიზმის” იდეები, ხოლო მიზანი კი იყო მსოფლიოს პროლეტარული სახელმწიფოს შექმნა, სადაც ეროვნებები სევიდოდნენ ადმინისტრაციული ერთეულების სახით ცენტრისადმი დაქვემდებარებით. დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ქართული განმანათლებლობის ტიტანი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქი ი. ჭავჭავაძე მოკლულ იქნა ქართველი სოციალ-დემოკრატების ძალსხმევით, “ბოლშევიკების” და “მენშევიკების” შეთანხმებული მოქმედებით (14, 36).

მარქსიზმი აღმოჩნდა XX საუკუნის საშინელი, მიმზიდველი მითი, მირაჟი, რომელმაც მოიტანა ტოტალური სულიერი დეკადენსი და სისხლის ზღვა. ყურადსადები და მნიშვნელოვანი არის ის, რომ სოციალ-დემოკრატებმა ფართოდ გასალა საქართველოში ფრთები და დაჩრდილა ეროვნულ-დემოკრატიული ცნობიერება ჩვენი ერისა, რომელიც განავითარეს “თერგდალეულებმა” ი. ჭავჭავაძის თ აოსნობით.

დიალექტიკური მატერიალიზმისა და მარქსიზმის რაობა და ფენომენი მინიშნებულია იოანე ღვთისმეტყველის “აპოკალიფსში”: “და როცა ახსნა მეხუთე ბეჭედი, ვიხილე საკურთხეველის ქვეშ სულნი მოკლულნი ღვთის სიტყვისა და მოწმობისადვის, რომელიც ჰქონდათ და შეჰღადადეს ხმამაღლა და თქვე: როდემდის, მეუფეო წმიდაო და ჭეშმარიტო, არ განსჯი და შურს არ იძიებ ჩვენი სისხლიათვის მიწის მკვიდრთაგან ?” (იოანეს გამოცხადება, 9,10) (15, 498).

ამით აქ მინიშნებულია ის დევნა ჭეშმარიტი აზრისა სოციალისტ-ატეისტების მიერ, რაც ჩვენ კარგად ვიხილეთ “ბოროტების იმპერიის” ეპოქაში. კომუნისტების

დამოკიდებულება რელიგიისა და სიწმინდის მიმართ კარგად გამოიხატა ლენინის ფროტოსან გამოთქმაში, რომელიც ატაცებულ იქნა მისი მიმდევრების მიერ: “გვამთავლობა”.

თვით ლენინი “აპოკალიფსში” ამგვარად არის ნაჩვენები: “ვიხილე ერთი თავი მისი, თითქოს სასიკვდილოდ იყო განგმირული და განიკურნა სასიკვდილო წყლულება მისი, და განცვიფრდა ქვეყანა მთელი მხეცის კვალდაკვალ...”

და მიეცა მას პირი მზვაობრად მეტყველი და მგმობელი, და მიეცა მას ხელმწიფება, რატა იბრძოდეს ორმოცდაორი თვე. და განახუნა ბაგენი თვისნი საგმობლად დმერთის მიმართ, რათა ჰგმოს სახელი მისი და სავანე მისი, ცაში დავანებული. და მიეცა მას ძალი წმიდათა მიმართ ბრძოლისა, და მათი ძლევისა; და მიეცა მას ხელმწიფება, რატა მბრძანებლობდეს ყოველ ტომსა და ენასა და ხალხს. თაყვანი სცა მას დედამიწის ყველა მცხოვრებმა, რომელთა სახელები ჩაწერილი არ არის სიცოცხლის წიგნში” (იოანეს გამოცხადება, 13, 3, 4, 5, 6, 7, 8) (15, 507).

რევოლუციონერთა სისხლზე, ტერორზე საუბრობს ზურაბ გურგენიძე (რომელიც სტალინის პროტოტიპია) მ. ჯავახიშვილის “ქალის ტვირთში”. რევოლუციის არსს წარმოაჩენს გრ. რობაქიძე გატყავებული ცხენის ისტორიაში (ჩაკლული სული), აქვეა სისხლისმსმელ კომუნისტთა საქმიანობისადმი მიძღვნილი თავი “როცა სისხლს ღვრიან”.

თვით გალაკტიონმა ოქტომბრის რევოლუცია განიცადა, როგორც ბოროტება, როცა სიკეთე აფთარივით იყო დაჭრილი, იუდას და კანის სახეები ელანდებოდა, ღამეების “შავი გუგუნი” ესმოდა, უსაშველო ავდრის მოსვლა აღაშფოთებდა, სიკვდილის მოსვლას შეიცნობდა და “სხვა სიყვარულს” (ღმერთს) იგონებდა (“როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები”) (12, 138).

თებერვლის რევოლუციას პატივით მიესალმა, რადგან იმპერიის ნგრევის, დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობა გამოჩნდა.

თუ გალაკტიონის შემოქმედებაში რევოლუციაზე დამყარებული იმედები აქა-იქ მაინც გაკრთება, თუ “განგებ შექმნილი იმედები” ხანდახან მაინც შემოგვანათებს, რევოლუციის მონაპოვრებისადმი, სოციალისტური წყობილებისადმი პოეტის ნეგატიური დამოკიდებულება იმდენად აშკარაა, რომ კრიტიკას ვერ უძლებს მოსაზრება, თითქოს იგი ახალი ეპოქის გულწრფელი მომდერალი იყო.

სისხლიანი რევოლუციისადმი პოეტის მიმართებას ნათელყოფს ლექსი “ორად გაიპო წითელი კლდე” (12, 253). წითელი კაცი წითელი რაშით წითელ ზღვას ყავარჯნით გააპობს, გზაზე წითელ გველს გადააგდებს და დედამიწაზე “საზარი ომის” მძვინვარება იწყება.

გვახსენდება ებრაელი ხალხის წინამძღოლი ბიბლიური მოსე, კვერთხით რომ ზღვა გააპო. კვერთხი ქრისტეს სიმბოლოა, ზღვა ცოდვილი ცხოვრების, ცხოვრებისეული წინააღმდეგობის. ამ სიმბოლური ეპიზოდით მინიშნებულია იმაზე, რომ ცოდვებზე, ცხოვრების სიძნელეებზე ამადლება ღმერთის რწმენით არის შესაძლებელი. ბიბლიის ამ პოზიტიურ იდეას და მოსეს ღვთაებრივ სახეს გალაკტიონის ლექსში ენაცვლება სატანა – წითელი გველი, წითელი კაცი (ამ გაგების წითელი სატანა გვხვდება კ. გამსახურდიას “ფოტოგრაფში”, “ტაბუში”, წითელი ბაცილები” მ. ჯავახიშვილის “ქალის ტვირთში”) – ტოტალური ბოროტება, ომის, ნგრევისა და განადგურების მომტანი, რომელიც ცდილობს სიბნელე გააბატონოს მომავალშიც. ასე შეცვალა ბიბლიის ჰუმანური იდეა გლობალური ბოროტებით რუსულმა ბოლშევიზმმა, რომლის სახეც გალაკტიონის ლექსში “წითელი კაცი” და “წითელი გველია” (წითელი მამალი, წითელი გველი და წითელი კირიბა ანალოგიურ შინაარსს ატარებენ კ. გამსახურდია “დიონისოს ღიმილში”).

სისხლის წყურვილით გამორჩეულ სოციალურ ნგრევებს უკეთებს აქცენტს გალაკტიონის ლექსი “სად იყო სმენა და გაგონება?": “თვალგაუწვდენელ ორმოებში სისხლის მდინარე და ტრანშეების მიდიოდა ლაბირინთები” (სად იყო სმენა და გაგონება ?) (12, 251).

ჯერ კიდევ ადრე იწინასწარმეტყველა პოეტმა “ავდრის მოლოდინი”, ბნელ ღამის მეუფება (სადამო), სულის ზამთარი (“თოვლი”, “ალეები თოვლში”).

“სად ყრია ეს ლეშები, საიდან დის გახრწნის ასეთი საზიზღარი სუნი?” – კითხულობს პოეტი ლექსში “ იმიურ გაგნებთან” (16, 351).

“შიშის ჩრდილი”, “შიშის ლანდი უზარმაზარი” ტოტალურ უბედურებას თესავს, ყველგან მკვლელობა ჩასაფრებული: “კარებთან მკვლელი. სარდაფში ჩახვალ, იქაც მკვლელობა და ჟრიალი. ამოხვალ ქუჩით, დაგედევნება დაუცხრომელი მრავალთმრავალი და ვერსად ქვეყნად ვეღარ ისვენებს მთელი თაობა გარდამავალი” (მთელი თაობა გარდამავალი) (17, 110).

ლექსში “მზეო თიბათვისა” მარიამ ღვთისმშობელს ევედრება პოეტი: “სული მოავლინე ისევ შენმიერი”, რეალობაში კი სისხლის კოშმარია: “ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები”. (12, 126).

გალაკტიონს აეკვირება “შეღამებული დიღების ლანდი”, გაუთენებელი ღამე, რომელშიც ბოროტება ზეობს: “ღამე და ყინვა... ქუჩაზე მიდის სისხლი დაღვარული” (მოგონება ყრუ შესახვევის) (12, 149).

ამ უბედურებათა ადგილიც ზუსტდება: “მთაწმინდის იქით დასისხლულმა მზემ ბინა ჰპოვა. არ არის შეგლა. ბნელი ჩრდილები მრავლდება, როგორც სიბნელეში დინგების გროვა” (“მთაწმინდის იქით”) (18,376).

სულ ახლოს განიცდება ბოროტების სისხლიანი ხელები: “ყოველთვის მგონია: ჩემს სახელს ნაცნობი აჩრდილი თან დასდევს სისხლიან ხელებით, უცნობებს ეძახის ფარული ხელებით და მე კი თვალს მიხვევს ალერსით და ძმობით” (ყორანი) (16, 274).

ცხოვრების ნორმად იქცა მსხვერველა, სისხლი: “ნაპრალებთან გადაიმსხვრა ნერვი, ალა ზღვაა, ახლა სისხლის დროა” (ატმის რტო, დაღალულო რტო) (16,228).

გამომდინარე აქედან, უნუგეშობა კულმინაციურ ზღვარს აღწევს: “თვითონ მსოფლიოს მწუხარება აქ შედარებით მხოლოდ ლანდი და მხოლოდ ჩრდილია...”

სისხლიანი გზებით მოსული ხელისუფლება მერეც აგრძელებდა ხოცვა-ჟლეტას და კუბოიანი ვაგონების გაგზავნის დიდოსტატი იყო. რეალურად მომხდარი ფაქტი – 1924 წ. ვაგონებში შეყრილი და მხეცურად დახვრეტილი ადამიანების კივილი არ ასვენებდა პოეტის სმენას: “მოწმეა რბევის და თარეშის ხვადაგურის ბინდბუნდი საზიზღარ რკინიგზის სადგურს. აგზავნის სადღაც კუბოებს – ვაგონებს და მათი კივილი ამ დღეებს მაგონებს, როდესაც ამ გზებზე გაეკრა ვაება... ნუთუ ის კივილი ღიანდაგს ჩაება ?” (მოწმეა რბევის და) (18, 559).

განადგურების წყურვილი, ზიზღი იფურჩქნებოდა ირგვლივ და სუნთქვას აძნელებდა: “არის შენს გულში მწარე განადგურება მკვდარი, როცა ზიზღია არე, როცა ვერ სუნთქავს ქნარი” (გაურკვეველობა) (18, 548).

მოსყიდული ვაიპოეტები “სოციალიზმის ძღვემოსილ წინსვლაზე”, არარსებულ წარმატებებზე და ცრუ ბელადებზე ხოტბებს ადავლენდნენ, საუკუნის ტრაგედიებზე კი დუმდნენ, ცხედრებზე დააბიჯებდნენ და ამტკიცებდნენ სამოთხეში ვცხოვრობთო. გალაკტიონს კი არასოდეს მიუყიდა სატანისთვის სული, ფხიზელი რეალისტის თვალთ ახადა ნიღაბი ეპოქალურ ბოროტებებს: “ხმობით საშინელით თხრილში ჩაჩრდილები ნისლი მორგებია სახე ფითრებული, ეხლა საშინელი გროვა დაჭრილების თითქო მორგებია დასახინრებული... განა სისასტიკით, რაც აქ დაიდვარა, სისხლის მორგებები,გამოიზომება? მხეცი თოკიანი დაჭრის უვნებელი, ქვეყნებს შეველებია

ცეცხლის მეზოდენი, დადგა ოკეანე დაუსრულებელი, ეს ხომ ცრემლებია... მაგრამ ესოდენი?!” (პოემიდან – იგი ომია).

ხილული კი ასე განზოგადდება: “ეს დრო აფთარი”, “დრო მოწვედენილი შხამიან სასმით” (აივანზე), “დრო, დაფარული ცეცხლის ენებით” (არ არის იგი იმდენად ტკბილი) (18, 141).

ამ ჯოჯოხეთის რეჟისორია უფსკრულებიდან მომავალი ბრჭყალებიანი მხეცი” (სად დასასრული იყო) (18, 381).

ზოგჯერ ბოროტებით დადღასმული მოვლენები პუბლიცისტური სიმკვეთრით არს მხილბული: “გასისხლიანებული ბორბალი ეპოქისა მიგორავდა საშინელი სიძლიერით, ედებოდა ყოველივეს რაც ცოცხალი იყო, აწიოკებდა და შეუბრალებლად ანადგურებდა, სპობდა, დასერა, გადაიარა მთელი ქვეყანა, ყველგან ცდილობდა შავი ფარდის ჩამოფარებას!...”

პოემა “ჯონ-რიდში” გვხვდება “ღრუბლისებური ღმერთი ნგრევათა, სასტიკი ღმერთი”, სარწმუნოებრივი გადაგვარება: “სარწმუნოება გახდა სატანის, ლოცვა ისე დაეცა... შემოვლელი დროთა ხაგსებით ხატი პილატეს დაემსგავსება, მისი ასეთი ცოდვით დამწვარი ჯოჯოხეთიდან მიმოდის ჯვარი... ჯოჯოხეთისმაგვარი სამოთხე სენდება... მემობი ნათელის, ტირის თვალები ობივატელის. ველაფერი ნისლისფერია...” (13, 9-10).

გალაკტიონს არ ასვენებს უდანასაულოთა სისხლის კივილი და შესძახებს: “გაიღვიძეთ! ჰკივის სისხლი უცნობი, გაიღვიძეთ! ხმას იძლევა ხეობა, სასაკლაო! ვინ იყო ის უგრძნობი, რომ ამ ადგილს დაადგინა მკვლელობა?”

ასეთი ბოროტების ჩამდენისთვის “ფიქრი ღმერთზე შარშანდელი თოვლია” და “თუმც ფერფლია, ნაცარია, მტვერია!” – ის იტყვებს გარდაუვალ უფლებას. ის გაჰყვება კვლავ სისხლიან მდინარეს, წითელ კორდებს, მოგუგუნე ხეობას”.

და პოეტი აღვიძებს თანამომძმეთ: “გაიღვიძეთ! უიმედო ვინ არის? ვინ ქადაგებს შიშს და ერთსახეობას. ვინ დაეძებს ბნელ სოროებს და რრუებს? გაიღვიძეთ, ვინც სიზმარში, გაერთო. უკანასკნელ სხვა ომს გადააყრუებს აჯანყება! აჯანყება საერთო! ძლიერია უცნობ ჩონჩხის ხელობა! ის მეტს ამბობს, ვინემ მტვერმეტყველება, ვინემ სისხლი, აქ რომ გადაიარა. ინვალიდიც ომში ბევრჯერ ერია, ბევრი ჯარი გაჰქრა ღამის ღრუბლებად. თუმც ფერფლია, ნაცარია, მტვერია, რევოლუციონურს ის იტოვებს უფლებას” (ათასის მხედველობა, ათასის იერი”).

ლექსში “სისხლი” სისხლიანი დიქტატორის დაუვიწყარი სახეა ნაჩვენები: “მუხლებამდე, სისხლის მორვეი გსერის და მშობლიურ ცხედრებს ეხები. კმაყოფილი ხარ მათი მორვეით, ყელამდე სისხლში მიდის ფეხები. შენ გახარებს, რომ სისხლის მიზეზი ხარ და თანა გდევს ხალხის გოდება, სენ ბოროტება ხარ უმტკიცესი, მკვლელი, ეს არის სენი წოდება... შენ სამარემდე მიხვალ ცხედრებით” (19, 447).

პოეტის კრეღოა დაუმორჩილებლობა, სიმართლისატვის ბრძოლა მხატვრული სიტყვით: “როცა უწყალოდ იღვრება სისხლი, დეე, მქუხარე შენი ხმა ქუხდეს, ხმა სიმართლისა, ზლიერი, ურჩი...”

გამომდინარე აქედან, ბუნებრივია კითხვა: “ვინ მიაფინა დახვრეტილი გმირების გორა? ზირს სისხლისმსმელი, ძირს იუდა, ძირს მუქთახორა!” (“ძირს მუქთახორა!”).

მერე იწყება მოვლენებისთვის, პიროვნებებისთვის არა ზოგადად კაენ-იუდების სახელების დარქმევა, არამედ ადრესატების პირდაპირი დაკონკრეტება: “სამგლეს და საძაღლეს მწერალთა სასახლეს ვერასდროს დაღლილი ვერ მიეყუდები. არის მოდებული გაბოროტებული ეგრეთ წოდებული ბერიას კუდები. სწამებენ ობობას-ლომობას, ორბობას ეს კატის კნუტები... იდგრიან კუტებიც, სულაქოთებული ქანაობს კრებული – ეგრეთწოდებული ბერიას კუდები. ბერია ხვრელს შექვრა, მაგრამ მის კუდების ქნევითა ჩვენ, მწერლებს, სული გვეხუთების. ჩვენვე ჩვენი თავი აღარ

გვეყუნების,სული გვეხუთების, სუნთქვა გვეხუთების. მაშ ძირს მფლობელობა კაენ-იუდების, ქნევა და თარეში ბერიას კუდების” (9, 473).

ვახტანგ ჯავახაძის მიერ მიგნებულ საარქივო მასალებში ამ სისხლიანი მოვლენების რეისორად სახელდებულია ბერია: “ბერიაა, ნასენებ სენობას რომ მოშლიდა, ბერიაა – ქართველი ერი რომ ამოჟლიტა, ბერიაა – რომ მოსპო გულთა შვება და ლხენა, ბერიაა – ზღვა წირის კარზე რომ მიგვაყენა, ბერიაა – ცხედრებით ქვეყანა რომ დაჰფარა, ბერიაა – სინათლე ბნელს რომ გადააფარა” (9, 473).

მითითებულია, რომ ლექსი “ნავი არ უნდა გასწირო” დაწერილია 1956 წლის 9 მარტის მოვლენებზე და “კოდირებული სახეებით”, “შენიღბული ფორმით” ეროვნულ სატიკივარზე მინიშნებაა (20, 14-15).

ლექსში “ეს ოცი წელიწადია” პოეტი ილაპარაკებს “გადამთიელი გადის” წინააღმდეგ, რომელსაც “არ ეძინა ჩვენზე ზრუნვით...”

ათეისტურ ეპოქაში ღმერთის ადგილს ტირანები, დიქტატორები და ცრუ ბელადები იმკვიდრებდნენ, რომელთაც აქვთ დაღი “სატანური შეთქმულების წევრობის”, დემონური ბეჭედი.

30-იანი წლების ტოტალური ბოროტებითაა ასახული მიხეილ ბუღაკოვის რომანში “ოსტატი და მარგარიტა”, რომელსიც ვოლანდის სატანუ საწყისი უპირისპირდება ღვთიურს, კეთილს და ეს აეაა შემთხვევითი, ეს ხომ დიქტატურის, რეპრესიების მძვინვარების ეპოქაა. დიდი ქვეტექსტია იმაში, რომ მსაჯულ პონტოელ პილატეს სისხლისფერქობიანი თეთრი მოსასხამი აცვია. რომანში სისხლის დაღვრის სიმბოლოს არაერთხელ მიმართავს ავტორი. პილატეს ფერხით სისხლის გუბესავით დგას გატეხილი დოქიდან გადმოღვრილი ღვინო და შიგ ორი ვარდი (სიწმინდის სიმბოლო) ცურავს. მარგარიტას მეჯლისის წინ სისხლში ბანენ და ვარდის ნელსურნელებას აფრქვევენ. (21, 5-6).

ადამიანის სისხლში ბანაობასა და ამ გზით ოკულტური ძალების მოკრებაზე საუბრობს გრიგოლ რობაქიძის “ჩაკლულ სულში” პეტროვი.

ასე რომ, სისხლის სახე და სიმბოლო კომუნისტური “სამოთხის” თანამდევნი და მახასიათებელია.

ოციანი წლების გალაკტიონის პოეზიაში ჩნდება დემონის და მისი ვარიაციების – სატანის, მეფისტოფელის, ლუციფერის, ბელზებელის სახეები, რითაც იგი ეპოქის ბოროტეული შინაარსის გაცნობიერებას ცდილობს.

პროფესორი რევაზ მიშველაძე საუბრობს გალაკტიონის ტრაგედიის კომპლექსურ მიზეზებზე და განსაკუთრებულად გამოჰყოფს რწმენის დაკარგვის პრობლემებს.

“პოეზიის მეფის თვითმკვლელობის მიზეზი გაუბედურებულ სინამდვილესთან პოეტის დამოკიდებულებით გამოწვეული სასოწარკვეთა იყო” – აცხადებს რ. მიშველაძე და მიუთითებს ლექსებზე “ცხოვრება გაცვდა”, “ო, ფიქრებო”.

“როგორ ესმაურება და ესადაგება გალაკტიონის ერთ-ერთი ბოლო ლექსის სტრიქონები ჩვენს დრევანდელ განწყობილებას: “...წყარო ჩანს და წყალი არსად არის, ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის” – აღნიშნავს მეცნიერი (22, 264).

გალაკტიონი არასოდეს მისულა კომპრომისამდე უკეთურობით დაღდასმულ ეპოქასთან: “მისი პიროვნული და პოეტური მანტია ყანაოთივით თეთრი და სუფთა იყო მიწყვი” (22, 266).

პროფ. რ. მიშველაძე მიუთითებს “ეზოპეს ენას” და “სატირის მახვილზე” გალაკტიონის პოეზიაში (იქვე, გვ. 269) და ეს სატირულობა ვლინდება თვით “კომუნისტური მანიფესტის” ავტორთან დამოკიდებულებაში. ზემოთხსენებული სახელმძღვანელოს ავტორს მოაქვს მაგალითი “არამკითხე მრცვევლი კრიტიკოსისადმი” მიმართული:

ერთმა მასებთან კავშირი
მარქსის ტომები ურჩია...
რომ არ მიიღო არცერთი,
ერთხმად იძახეს: ურჩია!

მარქსის ირონიული ხსენება “ოცდაათიან მრისხანე წლებს ეკუთვნის” – აღნიშნავს რ. მიშველაძე და იმოწმებს ასეთ მაგალითს გალაკტიონის შემოქმედებიდან:

ჩემო მაქსიმე,
რა გზა მაქვს, ი, მე!
რომ არ ვიკითხო
ახლა მარქსი მე (22, 271-272).

რევაზ მიშველაძის განცხადებით არაა სწორი ის მოსაზრება, თითქოს გალაკტიონი რევოლუციის პოეტი იყო, არც ის, როცა პოლიტიკისგან გამდგარად წარმოადგენდნენ.

სრულიად სამართლიანად, პოლიტიკას უკავშირებს რ. მიშველაძე გალაკტიონის ლექსებს “მზეო თიბათვისა”, “მე მოვალ”, “შემოდგომა”.

რ. მიშველაძის წიგნში მაგალითები კიდევ უფრო ნათელს ხდის, რომ გალაკტიონი ეპოქით აღტაცებული და მისი ტენდენციების მომღერალი და მესობტე კი არა, რუსული ბოლშევიზმის საბედისწერო ზრახვების მკაცრი მამხილებელი იყო.

“საუკუნის აზრთა მპყრობელი კომუნისტური სამოთხის იმ “სიკეთესაც” კარგად ხედავს, ათეული წლების შემდეგ ერთა და კულტურათა გათქეფვის (საბოლოო ჯამში გარუსების, რ. მ.) უწყინარ ტეორიად რომ ჩამოაყალიბა მარქსიზმის დიდმა შემოქმედებთად განმავითარებელმა” – ბრეჟნევი:

ეს ვალიას, ეს თევდორეს,
ეს ტარიელს, ეს კი მოსეს,
ჯერ ვითვლებით ქართველებად,
თუ არ გაგვაესკიმოსეს
და ამ სტრიქონების დამწერი ზოგჯერ ამოიკვნესებდა:

სათქმელი სხვებზე
და თავის თავზე
აქვს, მაგრამ პირი
წყლითა აქვს სავსე (რ. მიშველაძის ზემოთმითითებული
წიგნი, გვ. 272).

გალაკტიონის შემოქმედების დამახასიათებლად რ. მიშველაძეს არა მარტო “მოჩვენებითად საქმიანი, გაფუყული, მედროვე კაცის” პორტრეტის შექმნა მიაჩნია, არამედ “მრისხანე სოციალიზმის სატირა. ვისაც კომუნისტური რეჟიმის მარწმუნებზე ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს, დამეთანხმება, რომ რადიოს სარკასტული ხსენება ლექსში “იმ დროისათვის მოქალაქეოსრივი გმირობის ტოლფასი იყო” (იქვე, გვ. 272-273).

ნაშრომში აღნიშნულია, რომ “ჯონ რიდსი” “შტამბეჭდავად, მეტაფორულად დაგვისატა რევოლუციის დღეების ბებერი რუსეთის სატირული ხატი”.

1949 წ. დაწერილი ერთი ლექსი “თევზმა თევზს უთხრა” – მიჩნეულია “აღვგორიულ პროტესტად არსებული რეჟიმისადმი” (22, 274).

არსებული ვითარების ღრმა ანალიზითაა დაწერილი დიდი გულისტკივილის გამომხატველი სტრიქონები: “რაა მასზე გულდამწყვეტი, მეტეხო და დიღმის ველო, მიდიოდე და ფიქრამდე, ეს არ არის საქართველო. არის ხლართი რკინიგზების, არის ავტო-მოტო ველი, არის ოჯახებიც, მაგრამ ეს არ არის საქართველო” (ეს არ არის საქართველო).

ეს მაგალითები ზედმიწევნით აქარწყლებს ჩვენი სტერეოტიპული კრიტიკის მიერ შემოტანილ დოგმა,თითქოს გალაკტიონი ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიღწევების გულითადი მომდერალი იყო.

მაგრამ გალაკტიონის გულწრფელ სიმპათიას რევოლუციისადმი ის განაპირობებდა, რომ პოეტისთვის “რევოლუცია ნიშნავდა ესოდენ საძულველი იმპერიის,საძულველი წესწყობილების, საძულველი ცხოვრების, ყოველივე დრომოჭმულისა და დამჯჰგვცვრ ნგრევას” (23, 155).

თებერვლის რევოლუცია კი იმპერიის ნგრევით პატარა ერებს დამოუკიდებლობისკენ უხსნიდა გზას და 1918 წ. 26 მაისს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ამ რევოლუციის ლოგიკური შედეგი იყო, რასაც გულით უძღვნა პოეტმა “დროშები ჩქარა”.

ლიტერატურა

1. სერგი ჭილაია,მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, წიგნი II, თბ. 1956.
2. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. 3, თბ. 1959.
3. შალვა რადიანი, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, თბ. 1956.
4. იოსებ ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, თბ. 1988.
5. დავით თევზაძე, საუკუნის თვალთ, თბ. 1994.
6. ნოდარ ტაბიძე, გალაკტიონი, თბ. 1981.
7. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, ბათუმი, 1988.
8. აღექსანდრე ბლოკი, რჩეული ლექსები და პოემები, მთარგმნელი სოსო სიგუა, თბ. 1995.
9. ვახტანგ ჯავახიძე, უცნობი, თბ. 1991.
10. ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თბ.
11. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ქუთაისი, 1994.
12. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988.
13. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. IV, თბ. 1995.
14. ვახტანგ გურგენიძე, ჯვარს ვაცვით ილია, თბ. 1991.
15. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
16. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993.
17. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თბ. 1994.
18. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.
19. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ. 1994.
20. ჟურნალი “დროშა”,1990 წ. № 1.
21. მიხეილ ბულგაკოვი, ოსტატი და მარგარიტა, თბ. 1992.
22. რევაზ მიშველაძე, უახლესი ქართული ისტორია, თბ. 1999.
23. რევაზ თვარაძე, გალაკტიონი, თბ. 1972.

გალაკტიონ ტაბიძემ ღმერთისუარყოფელ, მეფისტოფელის საუკუნეში იცხოვრა. ამ ეპოქის ღირიუორი იყო სატანა, ანუ ათეისტური, სისხლიანი რუსული ბოლშევიზმი.

“ღრმა სიბრძნით თვალანახელი” პოეტების მეფე საგნების, მოვლენების “მიზეზთა მიზეზს” ეძებდა, ბიბლიური წინასწარმეტყველებით ევლინებოდა ხილვები, რომლებიც მომავალს უცდომლად მიანიშნებდნენ.

“ბუმბერაზი წინათგრძნობით” მომადლებულმა გალაკტიონმა ყოველგვარი ნიღბის გარეშე იხილა სოციალ-დემოკრატთა სახეები, ოქტომბრის რევოლუციის რეჟისორთა სული, მათი საქმიანობის დამღუპველი შედეგები. წინასწარ დარწმუნდა, რომ სოციალიზმის სახელით არა ქრისტეს, არამედ ბარაბას გზას ერთგულებდნენ. პოეტი მთელი ეპოქის აშკარა თუ ფარულ დინებებს მისწვდა.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გალაკტიონი გამოცხადებული იყო რევოლუციის, საბჭოთა წყობილების, სოციალისტური აღმშენებლობის გულწრფელ მომდერლად.

მაგრამ პოეტის საღმრთო და საღვთისმშობლო სახისმეტყველება, გრაალის, ქრისტიანული იდეალებისადმი ერთგულებ გამოორიცხავს სისხლიანი ძალადობისადმი სიმპათიებს, თანაც რევოლუციის ცნება მნიშვნელოვანი როდია და აშკარად სხვადასხვაგვარია გალაკტიონის დამოკიდებულება თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებისადმი.

“წმინდა ცის” შუქით გაალებული პოეტის სული უცდომლად ჭკრეტდა მიწიერ უკეთურობებს, გლობალური კატაკლიზმების მიზეზებს უღრმავდებოდა, მეფისტოფელის, აპოკალიფსური მხეცების საუფლოდ ქცეულ ქვეყანას ხსნის გზებს უზვენებდა ბოროტებისადმი ნიღბის ჩამოგლეჯით.

თითქმის ერთნაირი გაგებით შევხვდებით გალაკტიონის პოეზიაში მხეცის, ნადირის, აფთრის, მგლის, გიენას, ქაჯის სახეებს. ისინი არიან აპოკალიფსურ მხეცთა ვარიაციები, სამყაროში ბედისწერისგან დროებით განარჯვებული სიავის პერსონაჟები, რომელთა უფსკრულში ჩახოცვაზე თვით ბიბლიურ ხილვებშია მინიშნებული.

შესაბამისად, ჭოტების, ქორების, ყორნების, ბუს, მიკიოტთა ჩხავილი ენაცვლება ბოროტებამოძალებულ საუკუნეში “სიყვარულის ხმას”. “ყრუ დედამიწას” არ აინტერესებდა არაფერი ღვთიური.

გალაკტიონის ლექი “ფრაგმენტებიდან: ცეცხლი ფიქრიანია” რევოლუციური დამსჯელთა რაზმის ნგრევით საქმიანობას გვამცნობს; “ყველაფერი სრულიად გამხეცებულ აღისაგან განადგურებულია”.

მხეცის სისასტიკეს, მის გამანადგურებელ საქმიანობას, სისხლის მორევებს, ცეცხლად აგიზგიზებულ ბოროტებას, ცრემლების ოკეანეს, სიკვდილის მეუფებას გვიხატავს გალაკტიონის პოეზიდან – “იგი ომია”: “ხმობით საშინელით თხრილში ჩაჩრილები, ნისლი მორგებია სახე ფითრებული, ეხლა საშინელი გროვა დაჭრილების თითქო მორგებია დასახინრებული... განა სისასტიკით, რაც აქ დაიდგარა სისხლის მორევები, გამოიზომება ? მხეცი თოკიანი დაჰქრის უვნებელი, ქვეყნებს შევლებია ცეცხლის მეზოდენი, დადგა ოკეანე დაუსრულებელი, ეს ხომ ცრემლებია, მაგრამ ესოდენი?”

“ხეცის ნგრევა” (უზენაესის დაგმობა), “მიწის გადაფერდება” (ქვეყნიური უკეთურობები) მხეცთა და დემონთა ღვაწლია: “თითქო მოინგრა ზეცა, სისხლი, სიცილი ლოთის, თითქო მალული მხეცი უფსკრულებიდან მოდის”.

“სისხლში” წარმოგვიდგება გაუგონარი რეპრესიების ხანა, ერის რჩეულთა ფიზიკური და სულიერი შემუსვრის პროცესი, რომელსაც ქარმართავს მხეცი: “საშინელია იგრძნო უეცრად, რომ აღარ დგანან ძველი კაკლები, შენი სახელი მათ მიუცრად – მხეცი! არც

მეტი და არც ნაკლები... როს მუხლებამდე სისხლის მორვეი გსვრის და მსობლიურ ცხედრებს ეხები, კმაყოფილი ხარ მათი მორვეით, ყელამდე სისხლში მიდის ფეხები”.

ამ მოვლენების ოსტატს ჰქვია “უმტკიცესი ბოროტება”, “მკვლელი”, “იუდა”...

გალაკტიონი ამხელს “მშობლიურ ცხედრებთან” შეხებით გახარებულ მხეცებს, რომელთაც ჩვენშიც ჰყავდათ ადრესატები.

პოეტის ჩანაწერები მოწმობს, რომ ანტიპათიურად ყოფილა განწყობილი სტალინისადმი, რადგან 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა ოლია ოკუჯავა.

1959 წლის 9 მარტის წინად ეს გალაკტიონი არ აჰყვა ეგზალტირებული ახალგაზრდების ძახილს: “გაუმარჯოს დიდ სტალინს!”

გალაკტიონის დამოკიდებულება ბელადად აღიარებული სტალინისადმი ვლინდება ასეთ შენიშვნებში: “ასეც არ შეიძლება, ამხანაგო სტალინო. სტალინის შესახებ რაც ლექსებია... ჰმ...” (1, 465-466) იმ დროს დამკვიდრებული სახოტბო ლირიკის პათეტიკას გალაკტიონმა ასეთი მამხილებელი სტრიქონები დაუპირისპირა: “მაშ ძირს მფლობელობა კაენ-იუდების, ქნევა და თარეში ბერიას კუდების”.

პოეტს ბერია წარმოუდგენია ტოტალური ბოროტების რეჯისორად: “ბერიაა ნაშენებ შენობას რომ მოშლიდა, ბერიაა – ქართველი ერი რომ ამოჯლიტა, ბერიაა – ცხედრებით ქვეყანა რომ დაჰფარა, ბერიაა – სინათლე ბნელს რომ გადააფარა” (1, 479).

კონკრეტულ პიროვნებას მიმართავდა ერთ ლექსში: “შენ ხარ ის მხეცი, რომელიც ყეფას არ აგვიანებს. უცხო ნაჯახით სენ უპობ ყეფას ადამიანებს”.

“მწარე კბილის”, “ჯოჯოხეთური აღის დამნთები” საშინელი განადგურების მომტანი მხეცი ბობოქრობს ლექსში “არ არის იგი იმდენად ტკბილი”.

მხეცისა და მის თანამზრახველთა სახეები ამოიცინობა ლექსში “მთაწმინდის იქით”: “არ არის შეველა. ბნელი ჩრდილები მრავლდება, როგორც სიბნელეში დინგების გროვა...”

აქ დატრიალებული უბედურების ფონზე მსოფლიოს მწუხარება მხოლოდ ლანდად, ჩრდილად ისახება.

ლექსში “როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები” სიკეთე “მოკლულია, როგორც აფთარი”. მხეცის საქმეებია სისხლი, სიკვდილი, წარღვანაში მცურავი ცხედრები, “გადამსხვრეული სწორი კენარი” (უარყოფილი სიცოცხლის ხე, ანე დმერთი) (2, 181).

ნერონის ცეცხლი, ჯვარცმა, უბედურება, რღვევა, ცხედრები, გილიოტინა, ეშაფოტი ილანდება მხეცის ბრჭყალებში ჩავარდნილ თბილისში (თბილისი).

დროის მახასიათებელი აფთარია: “ეს დრო – აფთარი შენ საუკუნის სვლას მიანებე” (ელეგია).

მხეცი არ იცნობს მზეს, იგი სარამოს ბინადარია (აჩრდილი ჩუმი და მოთარეშე).

“სამგლოვიარო ეტლების დემონური წინამძღოლის” სახეში დიქტატორ იმპერატორთა საქმიანობა ცნაურდება.

“იმპერატორო, შენ დიქტატორო, მივინვარებ სისხლის კორიანტელით, მამის საფლაგზე რად დაგავიწყდა, აგენტო ერთი წმინდა სანთელი”, მიმართა საოცარი გაბედულებით ტერენტი გრანელმა მსოფლიო ტირანული პოლიტიკის გენიას – სტალინს (3, 398).

გალაკტიონის ჭინკაც ხსენებული ბოროტების ნაირსახეობაა. იგი ემტერება ყოველივე ამაღლებულს, სიმბოლურ აღის ჭიქას (აღი ქრისტეს, ჭიქა მარიამის სიმბოლოა) (4, 36, 117) “ლურჯ ედემს” (მარიამის სახეა) (5, 121). ქარს უგზავნის, სძულს “ბროლის რიტმი, მუსიკა” (სადვთო ჰანგები), მაისის ბაღი (ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით) ამარჯვებინებს უდაბნოს (ურწმუნობას, უსულობას), ჭინკა ქვითინებს პოეტის ბინაში და შემოქმედების ამაოების, სიკვდილის გარდაუვალობის ინტონაციებით წამლავს სულს: “რად გინდა ბროლის რიტმი, მუსიკა,

სიკვდილი გელის”. მაგრამ, საბედნიეროდ ჭინკა დაბმულია და მისი ბოროტების ასპარეზი შეკეცილი (დაბმული ჭინკა).

“ცალთვალა მეფისტოფელი”, ბნელცოდვილი ლუციფერი”, სატანა, ბელზებელი, შავი დემონი გალაკტიონის პოეზიაში ეპოქის ტოტალური ბოროტების მახასიათებელია.

სხვა სახელმწიფოს ძლიერი ცოფით მოწამლულ ხალხს ურჩევს პოეტი, სადად შეხედოს სინამდვილეს და მაშინ გულმართლის ნილაბში დემონი შეიცნობა: “გულმართლის, სახე – კდემობის ჩამოიშორე ნილაბი, რომ დაინახო დემონის ენერგიული ნიკაპი!”

“მწყემსი კეთილის” – ქრისტეს (იოანე, 10, 14) (6, 20) სიწმინდეს შეენაცვლა სისასტიკე, აღ-ქაჯების მეუფება ამ სოფელზე: “ცხოვრება გაწყრა და გაააღქაჯდა, მინდვრებში გატყდა ოცნება მწყემსის” (პორტრეტი).

ქაჯის უარყოფითი სახე, რომელიც შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსნიდან” არის ცნობილი, საბჭოთა სინამდვილის დასახასიათებლად გამოიყენა. ახალ დროში ხალხის მესვეურთ, მედროვეთ ცხვრის ტყავი აქვთ მორგებული, საქმით ქაჯები არიან: “თავმჯდომარე... ცხვარია, იმისი ენა, საქმე ქაჯივით ცხარეა” (ჩემი მეეტლე).

პოემა “მშვიდობის წიგნი” გაშუქებულია იმპერიული ამბიციების მქონე დიდი ქვეყნის მიმართება მცირე ერისადმი. მასში შეჯამებულია იმ მუხანათობების სერია, რაც ჩვენს ქვეყანას აწვნია “მტერმა მეორემ”, “მგობარმა მეგობარმა”, რომელიც სახელდება ქაჯად.

ქაჯის მცდელობით დაიკარგა “მშვიდობის წიგნი”. წიგნი ღნერტის სიმბოლოა (4, 151-152), ქაჯი რუსული ბოლშევიზმის, რომელმაც რწმენის სახელით გაგვაცურა, ჯერ დამოუკიდებლობა, მერე ღმერთის რწმენაც წავგართვა. ამ ურწმუნო იმპერიას იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ეშმაკის ტახტის მემკვიდრე ეწოდება და ის საბჭოთა კავშირია (7, 411).

გალაკტიონის პოემაში საუბარია მახეზე, ბადეზე, დიდ შეთქმულებაზე, წყლის ამღვრევასა და მზის გაუჩინარებაზე.

“ქაჯთ მიერ გადანაბირები” ზვირთები ანგრევენ სახლებს. იმუქრებიან ჩვენი ციხე-სიმაგრეების აღებით, ხალხის აკლებით.

მიდამოს სატანა დაეპატრონება, ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე აღმოჩნდება, სანთელი ქრება, მზე ჩადის (მზე და სანთელი საღვთო სახელებია) (8, 122), მამული ნისლის სამეფოდ იქცევა.

ქაჯებმა აღაზივეს მგლები, ძაღლები, ბაყაყები, ჭოტები, ჯოჯოები, დევები...

ნადირთა სათარეშოდ ქცეულ ქვეყანაში განსაკუთრებული მადით გამოირჩევა ვეფხვი, რომელსაც სურს “რამე ნამცეცი მიწის და ზეცის”. წარღვისმაგვარი სტიქიით იღუპებიან ადამიანები, იძირება ბავშვებიანი აკვნები, ხალხი ხდება სიცივის მძევალი, თოვლის, ზვავის მსხვერპლი, ხდება “გადაშენება იათ და ვარდთა” (ია და ვარდი საღმრთო სახელებია) (8, 122), ჯაგის, ყვავილთ მომშობი ეკლების მომრავლება.

ეს უბედურება მშვიდობის წიგნის დაკარგვის შემდეგ ხდება. ბოლოს, ხალხი ჩასწვდა თავისი ტრაგედიის მიზეზებს, ტარიელმა იპოვა ქაჯების მიერ გატაცებული წიგნი, მერე დაცხრა წარღვნა, ამინდი გამზიანდა, “მზის სვეტი” გამობრწყინდა, წიგნის კითხვით ხალხს “შუბლს დაესახა ცისიერება”, “ღიადად გათენდა”, “ცისკრის წამწამი ახამხამდა”, განთიადი დაბრუნდა (ცისკარი, განთიადი საღმრთო სახელებია) (8, 122), მაგრამ წყალდიდობის შედეგად დარჩა სიმყრალით სავსე ორმოები, სადაც ყვავილები ვერ იყვავილებს, პოემის ავტორი ხალხს ურჩევს, სომწრით ნაპოვნი წიგნი გალაგნიან ციხეში შეინახოს, კარები მაგრად ჩაკეტოს, ჭიშკვრები ჩარახოს და ყველა გადამთიელი არ ათარეშოს თავის მიწაზე, უფრო მეტი სიფხიზლე იფაროს ფარად.

ქმედითი ეროვნული იდეოლოგია ასეა გამოთქმული: “ხიფათში მყოფო ვაზო და მდელი, შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანდა იქნება მერე, უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად”.

ლექსში “მახაჯირი” იმპერიული რუსეთის მიერ აფხაზთა გადასახლების ისტორიული ფაქტია (1864-1877 წწ.) თემა.

მახაჯირობის რეჟისორია ქაჯი. მას ენაცვლება ნადირი და მხეცი. ნაწინასწარმეტყველება მათი დროებითი მეუფება: “გარდავა ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირი, აღმოსავლეთი მოირთვება ცისკრის ალუბლით”.

მხეცთა ბუნაგების იავარქმნის რწმენა გამოხატა პოეტმა ლექსში “ევროპავ, როგორ არ გახსოვს?” გალაკტიონის პოეზიის მხეცისა და მისი ვარიაციების სახეები პოეტის მიერ იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების უცდომელი გაგებით არის შთაგონებული. იოანეს გამოცხადებაში საყურადღებოა ორი მხეცის სახე. გამოცხადებაში მხეცი წინასწარმეტყველებს დახოცავს, მაგრამ ისინი სამნახევარი დღის შემდეგ გაცოცხლდებიან და ზეცაში ავლენ (გამოცხადება 11,7,8,9,10).

“წითელ გველეშაპს”, წუთისოფლის მაცდურს (თ. 12) ებრძვის მიქაელი ანგელოზებთან ერთად ზეცაში. მას ჩამოაგდებენ მიწაზე. გველეშაპი თავის ძალას, ტახტს და დიდ ხელმწიფებას მისცემს ზღვიდან ამომავალ მხეცს, რომელიც გმობს ღმერთს. მას თავყანს სცემენ ისინი, ვინც ჩაწერილი არ არიან სიცოცხლის წიგნში, რომელიც აქვს კრავს (“გამოცხადება”, 11,1-8).

შემდეგ გამოჩნდება მიწიდან ამომავალი მხეცი, რომელიც მხეცის ხატებას გააკეთებს და აიძულებს ყველას, თავყანი სცენ მას. ხელზე ან შუბლზე მხეცის ნიშნის მიძღვნი სვამენ ღვთის მრისხანების ღვინოს (გამოცხადება, 14,10), მათი წამების კვალი დის უკუნიითი უკუნისამდე.

ღვთის მძინვარების შვიდი თასის მიწაზე გადმოღვრის შემდეგ მხეცის ნიშნის მქონე ადამიანებს უჩნდებათ საზარელი ჭრილობები (გამოცხადება, 16,1,2).

მესუთე ანგელოზი გადმოღვრის თავისი თასიდან მხეცის ტახტზე და დაბნელდება მისი სამეფო (16,10).

ეშმაკის სულები ახდენენ სასწაულებს, გამოდიან მთელი მსოფლიოს მეფეებთან, რათა შეკრიბონ ისინი ყოვლისშემძლე ღვთის დიდი დღისათვის (გამოცხადება, 16,14).

ათი მხეცი შეებრძოლება კრავს, მაგრამ კრავი გაიმარჯვებს.

მხეცს და მის თავყანისმცემლებს ჩააგდებენ ცეცხლის ტბაში (გამოცხადება, 19,17,20).

ანგელოზი გველეშაპს შებოჭავს ათასი წლით და უფსკრულში მიუჩენს ადგილს (გამოცხადება, 20,10).

ბიბლიის კომენტატორები აკონკრეტებენ აპოკალიფსის მხეცთა ადრესატებს. “ზღვიდან მომავალი მხეცის თავი, რომელმაც სასიკვდილო ჭრილობა მიიღო და არ მოკვდა, ლემიშია. მან იმეფა 42 თვე, 1917-1921 წწ., ვიდრე შეეძლო აზროვნება, რის შემდეგაც მეფობდა მეორე მხეცი – სტალინი, რომელმაც შექმნა პირველი მხეცის ხატი და დახოცა ყველა, ვინც თავყანს არ სცენდა მას. პირველი მხეცი, ზღვიდან ამომავალი, ნიშნავს ხალხის მღელვარებიდან მოსულ ბელადს, ლენინს. მეორე მხეცი, მიწიდან მოსული, არის იატაკქვეშელი ბოლშევიკი სტალინი. ახდა ბიბლიური წინასწარმეტყველება. შეიქმნა უღმერთო იმპერია, მაგრამ წითელი გველეშაპის ყოვლისშემძლეობასაც მოელო ბოლო, დაემხო ბოროტების სისხლიანი მონსტრი. ბიბლიაზე დამყარებით, გალაკტიონი წინასწარმეტყველებდა ჩვენი უბედურების მოთავე ნადირ-ნხეცთა გადაშენებას და მართლაც, საუკუნის ბოლოს გაფხდით ტოტალური ბოროტების უკანდახევის მოწმე, ხოლო აღმოსავლეთი, საიდანაც გამოჩნდა ცოცხალი ღმერთის ბეჭდის მპყრობელი ანგელოზი (გამოცხადება, 1,2-3), ჯერჯერობით ისევ შეჭირვებულია და ცისკრის გამოჩენას მოელოს.

ლიტერატურა

1. ვახტანგ ჯავახიძე, “უცნობი”, თბილისი, 1991.
2. აკაკი ბაქრაძე, სასულიერო პოეზიის სახეები, კრ. “პოეზია”, 1981.
3. “ცისფერი სიშორე”, თბილისი, 1978.
4. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ღირიკის საკითხები, თბ. 1996.
5. ტიტე მოსია, “სადვთისმშობლო სახისმეტყველება”, ზუგდიდი, 1996.
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
7. იოანე-იონა, “რა უნდა ვაკეთოთ”, თბილისი, 1994.
8. ტიტე მოსია, “სადვთო სახისმეტყველება”, ზუგდიდი, 1995.

დემონის, მეფისტოფელის, სატანიც, ლუციფერის, ბელზებელის სახეებით მოვლენილი ეპოქალური ბოროტება

ათეისტურ ეპოქაში ღმერთის ადგილს ცრუ ბელადები, ტირანები და დიქტატორები ეპოტინებიან, იქმნება კერპები, რომელთაც ატყვიათ “დემონური ბეწედი, დალი აქვთ “სატანური შეთქმულების წევრობის”.

დემონი მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა გალაკტიონის პოეზიაში. ერთ-ერთი გაგებით, იგი გენიალობის იდენტურია (1, 63-73).

ამჯერად გვაინტერესებს დემონურის ბოროტეული არსი, ვინაიდან პოეტების მეფის შემოქმედებაში ჭარბად გვხვდება დემონის ვარიაციები: სატანა, მეფისტოფელი, ლუციფერი, ბელზებელი.

ირკვევა, რომ “ცეცხლის ენებით” დაფარულ დროში, საწამლავებით, შეჩვენებით, ჯოჯოხეთური ცეცხლით გამორჩეულ ეპოქაში სატანას უხმობენ ტოტალიტარული სახელმწიფოს მესვეურები, რათა ბოროტი ძალის დახმარებით მეტი განადგურება აწვინონ ადამიანებს: “არ არის იგი იმდენად ტკბილი დრო, დაფარული ცეცხლის ენებით, მაგრამ არც ისე მწარე აქვს კბილი საწამლავებით და შეჩვენებით. მან შეაჩვია სოფელს სატანა, ჯოჯოხეთური ალები ქურების, რათა შემდგომში შესძლოს ატანა უფრო საშინელ განადგურების” (არ არის იგი იმდენად ტკბილი) (2, 245).

ლექსი დაწერილია 1917 წელს და ჩანს უტყუარი განჭვრეტა იმისა, თუ ვინ მოვა ქვეყნის სათავეში.

1920 წელს პოეტს ისევ სატანის ხილვა არ ასვენებს. სიკვდილის აჩრდილი, ჩონჩხები, “შავი წიგნი”, ღამის დირიჟორი სატანა აემგზავრება. მისი მოვლინების შედეგი კი სიკვდილია, ყვაილების (ყვაილები ღმერთის სიმბოლური სახელია) “გადათიბვა”: “რას მოელიან ვარდები რგული? ყვაილებს თიბავს ელვათა ცელი. თენდება: ქარმა წაიღო გული და ათას ცხრაას მეოცე წელი” (მაგიდა აღემბიკებით) (3, 186).

1921 წელს იწერება ტოტალური უბედურების მომასწავებელი ლექსი “ბრმა ცალი თვალთ”, რომელშიც პოეტმა მთელი საუკუნე მიგნებულად მონათლა მეფისტოფელის სახელით. მეფისტოფელი არის გოეთეს “ფაუსტის” ბოროტი და მაცდური სულის სახელი, რითაც გალაკტიონმა მიანიშნა არა სიკეთეში გარდამავალ ბოროტებაზე, არამედ ცალსახა უკეთურობაზე, ცბიერებაზე, სიმკაცრეზე: “მან დაიბრმავა ეს თვალი განგებ და ამნაირად გახდა ცბიერი, მეორე თვალში არის განგება; მეტი სიმკაცრე და

სიძლიერე. უმარულიან დენათა შორის, მწარე დაცინვით მათი მგმობელი, იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის, ეს საუკუნე – მეფისტოფელი” (3, 189).

გალაკტიონი შექრული იყო მეფისტოფელური საუკუნის უსამართლობით და ბოლომდე ამხედდა მას.

1921 წელს პოეტმა “მარაოებით მოსიარულე მეფისტოფელი უწოდა (პოეზია უპირველეს ყოვლისა) (4, 17).

მიუხედავად იმისა, რომ მზის (ქრისტეს), “მარადი ჭიქის” (მარიამის) მოტრფიალე იყო პოეტი, მაინც დემონი მიუხმობდა “სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით” (მზის სადღეგრძელოს) (1921 წ.) (5, 221).

“ფაუსტში” მეფისტოფელის დევიზი იყო: “გაემგზავრე არსებულს იქით” (6, 555).

1922 წელს უკვე აშკარა იყო ეროვნულ უბედურებათა მთელი სერიალი: დამოუკიდებლობის დაკარგვა, უაზრო მსხვერპლი, სისხლი, ცხედრები, შავი ლუციფერი, რომელმაც დიდი ხნით წაშალა ნაზარეველის ნაკვაღევი და პოეტს ძილშიც არ ასვენებდა ბოროტი სულის საკუთრებად ქცეული სამშობლო, “გზა, დაფენილი მსხვერპლით, ცხედრებით და სისხლით სველი. გზა, სასიკვდილო გადათეთრებით, სამშობლო შავი ლიუციფერის. ჩვენ მწუხარებამ დაგვიძმობილა დამის ტყე-ველი, არასდროს ჩვენთან აქ არ ყოფილა ნაზარეველი” (სამშობლო შავი ლიუციფერის).

არც 1923 წელს იცვლება განწყობილება, რადგან სიავის დროშით მოვლენილია ტოტალური “ქარი ჩრდილის”, “წითელი ქარი” (მოგონებები).

მერაბ კოსტავა კონსტანტინე გამსახურდიას “წითელ გრიგალთან” მეგრძოლად სახავდა (გამოსათხოვარი) (7, 135).

პოემაში “მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა” უდაბურებაა, გამხმარია ჩინარი, ყოვლისწამლეკავი გრიგალი თარეშობს; “ფშანებში ჩამპალი ჩალის ღერები, მდინარის პირად გამხმარი ჩინარი, უდაბური ადგილი ნავის, შუა კერასთანაც ცეცხლიანი გრიგალი, სახურავებზეც ქარი” და პოეტი სასოწარკვეთილი კითხულობს: “საქარტველოა ეს მთა და ბარი თუ ის არ არის? სინამდვილეა ეს თუ ზღაპარი?”

უღმერთობა, უმწეობა ათქმევინებს: “სიცოცხლე არ ღირს უშენოდ არად...”

რევოლუცია მსვილობას ნგრევას უპირისპირებს, მოაქვს ტოტალური ტრაგედია, დევების, დემონების თარეში: “აღვიძებს დევებს დემონის ქაფი, გრიალებს ქარი... ცას სისხლისფერი მოედო ლუქი, გრიალებს ქარი, დაწეწილია აფრათა ძაფი, გრიალებს ქარი” (გრიგალი).

“ოცნება გულგაპობილი”, “ბედის მღვრიე ტბორი”, “მზის ჩასვლა ღრუბლებში და ისევ ქარი” გვაგრძნობინებს უნუგეშობას.

ლექსში “დაბრუნდა გრძნობა და სისადავე” (5, 202) “დემონმა ააღაშკარა უდაბურება და ღრიანცელი”.

ბნელზე ბნელი დამეა ბელზებელის საუფლო: “რამე ბნელზე ბნელი მისდევს უდროობის, როგორც ბელზებელ-ქარებს უსდარეს” (შენ და შემოდგომა) (3, 180).

დამეს მოჰყვება დემონი, რომელსაც მოაქვს “ახალი ქაოსები”, დაღლილი და დაფლეთილი სული, უშინაარსო და უდაბური გზები: “გასწიე! დამე ეშვება ზეწრად, მწარედ შრიალებს ტყეთა კალთები, მახლობელ დემონს იგრძნობ უეცრად და შიშის რდილით აკანკალდები” (იარე, კაცი შენ არარ გქვიან) (1925 წ.) (5, 146).

“ყრუ დედამიწა” უცხოობს მშობლიურ ხმებს, მხოლოდ იმედის იავარმქმნელი სატანაა ირგველივ, სიკვდილის სამეფოსკენ მომწოდებელი: “უბედურ საათს არვინ დაგიცავს, არვინ მეტყვის მსობლიურ ნანას, მაგრამ გახედავ ყრუ დედამიწას და მოიგონებ შენ შენს სატანას. იმედი, შენი ბრძოლის საგანი, გატაცებაა დაუღვრომელის. მოღუშულია შენი საკანი: სხვა რა, სიკვდილი მხოლოდ მოგელის” (უბედურ საათს არვინ დაგიცავს) (6, 41). ლექსი დაწერილია 1927 წელს.

ლექსში “რისთვის” დემონი სასიცოცხლო ძალას აცლის და ცინიკურად დაჰხარხარებს თავის მსხვერპლს. “...ჩემი დემონი ხარხარებდა ჩენსაც მახლობლად, თუნდაც მოკვდო, გატაცებით დაიხრიალა, გამომაცალა სასიცოცხლო გრძნობა და ძალა” (2, 288).

დემონი “სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით” მოუწოდებს გამუდმებით (მზის სადღეგრძელოს) (3, 190).

“უბედური საათის”, სიკვდილის შემამზადებელია სატანა (უბედურ საათს არვინ დაგიცავს). სატანის მოვლენილი “ვიღაც მახინჯი” სიკვდილის შიშს თესავს და შავი ღლის ბადეში შეჰყავს ცხოვრებაზე შეყვარებულნი (ელგარი მესამედ) (2, 165). ასე იქმნება მიღმური სამყაროს მკვიდრთა “ახალი მოსახლეობა”.

ანგელოზი კეთილია და აკვნის დამრწვევი, დემონი – სიკვდილის მომტანი: “თუ ანგელოზი გირწვედა აკვანს, შემდეგ დემონად მოვა სიკვდილი” (ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა) (2, 398).

ისევ სრული უიმედობა დააფიქსირა პოეტმა რეალური ვითარების ანალიზიდან გამომდინარე.

1927 წელს იწერება “ეს შეღამება”, რომელიც გვამცნობს: “...და გასაგონად: მსოფლიო, წყნარად! იქ ნანგრევებად იქცა სოფელი, დიდი ხანია იქცა არარად და დახარხარებს მეფისტოფელი” (2, 323).

ლაჟვარდებთან არა ანგელოზი, არამედ ისევ ლუციფერი ილანდება (თქვენ გართობდათ) (1927 წ.) (2, 323).

ადამიანებმა ვერ შეიფერეს “მზე კონებისა” (ჭეშმარიტი ღმერთი) და ბნელი დემონების ქვეყანაში ისურვეს ცხოვრება, რის გამოც სიკვდილის შემდეგაც მათ სულს ლუციფერი – ეშმაკი დაეპატრონება: “ვერ გაიგონეს თქვენი მხნე ნანა, ვერ შეიფერეს მზე კონებისაც და მოგესიზმრათ ისევ ქვეყანა, ქვეყანა ბნელი დემონებისა. მოკვდებით, ბნელი იქნება თოვა, რომ თქვენი გრძნობა ვერ შეიფერეს და სამარესთან ვინც კრძალვით მოვა, იქნება ლანდი ლიუციფერის” (ვერ გაიგონეს) (1927 წ.) (2, 332).

დემონი სულელებზე ნადირობს, სიკვდილის აჩრდილების მოვლინების დიდოსტატია, ჭიანურს, სამარის ლოდს ახმიანებს და ადამიანურს ემტერება: “მას მოეჩვენა, რომ ეს ხმაა სამარის ლოდის, თითქო დემონი უკრავს ჭიანურს, რაღაც აჩრდილი ქვეყანაზე მიდის და მოდის და ახშობს წყურვილს ადამიანურს” (სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს) (1927 წ.) (2, 333).

გოეთეს “ფაუსტში” მეფისტოფელი “ცეცხლის ხატებაა” (6, 560), არის არა განმანათლებელი, არამედ შემწველი, გამანადგურებელი ცეცხლი.

გალაკტიონი სიბნელეში გესლს, ყველაფრის გაუფასურებას, დემონის პროფილში ცეცხლს ჭვრეტს: “საშინელება, სიბნელე, გესლი, დემონიური ცეცხლის პროფილი” (ქვეყანა გაცვდა) (5, 810).

“მლოცველი” სატანის სახე – “ალოცება სატანის” (გვიანი ოცნება) (2, 57).

დემონთან წილნაყარი ადამიანი სულდაკარგული ცოცხალი ლეში ხდება, რომლისთვისაც სულერთია ყველაფერი: “შავ დემონს მივე ფრთა მოტივტივე და ყველაფერი ერთია ჩემთვის” (სხვა ყველაფერი) (3, 136).

ამიტომ მიზანი ხდება დემონთა დავიწყება: “...მხოლოდ დემონთა დავიწყება ეძებს სამყოფელს, ყოველივესთვის იყოს იგი სამაგიერო” (შენ და შემოდგომა) (2, 180).

დემონივით თავზე ადგა პოეტს “ცილისწამება ავი ზმანებით”, აწვალვდა თბილისი “სავსე გახელებული ინტრიგანებით”, ზვაგი გაიძვერათა, ჭორით და ენის მიტან-მოტანით” (თუმცა დემონივით დამადგა თავზე) (3, 263).

სიკვდილის პირად პოეტი დემონებს თხოვდა ყველა წიგნის დახურვას, და მხოლოდ ერთთან, უზენაესთან ზიარება ენატრებოდა (სიკვდილის პირად) (5, 576).

ცხოვრებისაგან განაწამებ პოეტს “მხეცი” “წერტილს ტყვიისას” – თვითმკვლელობას სთავაზობდა და ზოგჯერ თვითმკვლელობის დემონი ისადგურებდა სულში: “ჩემი ტვინი დაიღალა გამოცანებით, ჩემი სხეული დაიღალა სიცოცხლით, იდეა სიკვდილის, რომელიც განადგურებას ნიშნავს, ჩემთვის ტკიბილია. მე მიხარია, რომ ჩემივე საკუთარი ნებით შემოიღია შევაცერო ეს მოუსვენარი გულისცემა, ეს არეღვებული და მხურვალე სისხლი, ეს მტანჯველი ტკივილი ნერვების. მე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ სურვილი არსებობისა არარა მაქვს, მე ვერაფერს ვერ ვხედავ, ჩემი დემონის ცეცხლოვან თვალების გარდა” (8, 575).

ბოროტი სულის თარეში გლობალურ მასშტაბებს იძენდა და “კოსმიურ სიცივეს” აბატონებდა (ზამთრის დღეები) (3, 376).

“სატანური შეთქმულების წევრებს” “დემონური საშინელი ბეჭედი” და ყალბი “ენამჭევრობა” გამოარჩევდათ (ენა მშობლიურ მიწის) (5, 417).

პოემა “ჯონ-რიდში” სატანის სახეში არიან პერსონიფიცირებული რეკოლუციის მესვეურები და სარწმუნოებრივი გადაგვარება სახეზეა: “ალ-დემონებად ქცევა ადამიანების. რუსი წმინდანის ეშმაკი ბაგე. სარწმუნოება გახდა სატანის. ლოცვა ისე დაეცა. შემოვლელი დროთა ხავსებით ხატი პილატეს დაემსგავსება, მისი ასეთი ცოდვით დამწვარი ჯოჯოხეთიდან მიმოდის ჯვარი. მისთვის ჯოჯოხეთური სამოთხე შენდება და შეიძლება როს გათენდება, ედემის მსგავსი იგრძნოს ჯოჯოხეთი. უცებ გაჩნდა დემონი და ცეცხლს ფიხსს უკეთებს. ტანით შუათანა მოგვედეს სატანა” (5, 234).

“მშვიდობის წიგნში” ჩვენს ქვეყანას თავზე ადგა სატანა, რომელსაც აფროსილებს პოეტი: “აქ ყოველ ეშმაკს უჯობს მოეშვას თვის სათარეშოს და სანავარდოს” (9, 239).

უბედურ დროში ადამიანები დემონთან სისხლით დებენ ხელშეკრულებას: “ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი, ვინ იწყველება და იკრულება? მე, ის, დემონი, შენ ჟრუანტელი, ჩვენ სისხლით დავდეთ ხელშეკრულება” (ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი) (2, 121).

ფაუსტიც მეფისტოფელთან სისხლით აგვირგვინებს ხელშეკრულებას: “ქაღალდის მცირე ნაჭერიც კმარა, შენ ხელს მოაწერ მას სისხლის წვეთით” (6, 153).

გალაკტიონს სჯეროდა, რომ დემონის მეუფება დროებითი იყო, ამიტომ “როცა დაწყნარდა ქარი დელვათა, უცებ აენთო ყველა სანთელი” (2, 121).

“დროთა სიკვდილს” მოჰყვა დემონის აღზევება, მაგრამ ბედისწერის ძალით, ისევე აენთებოდა სიყვარულის, სიკეთის, მშვენიერების, რწმენის სანთელი, იმედოვნებდა პოეტი.

დემონი ემტერება სიკეთეს, მშვენიერებას, მოსვენებას უკარგავს “ბრძოლის რიტმი, მუსიკა”, “ალის ჭიქა”, “ღურჯი ედემი” (დაბმული ჭიქა) (2, 590).

ალი, ცეცხლი – ქრისტეს სიმბოლოა (10, 121), ჭიქა, ედემი – მარიამის (10, 124).

ბოროტ სულს აკრთობს სიკვდილის (თავის ქალის) დამმარცხებელი სიმღერები, წიგნები, პოეზია: “და ორნამენტით აკრთობდა დემონს იმ მშვენიერი წიგნების ძალა, წიგნთა ყოველთა მაშინდელთ ზემო ვარდით მორთული ჩნდა თავის ქალა” (ვარდები) (5, 537).

გოეთეს “ფაუსტშიც” მეფისტოფელს ეშინია ორნამენტის და ვირთხას სთხოვს, გაუსხნას ორნამენტის კუთხე, რთა ჰქონდეს შესაძლებლობა ფაუსტის ოთახი დატოვოს.

“ბინდის სტუმარში” გალაკტიონის ლექსის მარტოობით დატანჯული პერსონაჟი “ახალი მხარით” ცდუნდება, მერე კი აღმოაჩენს, რომ “ჯადოთა შიშველ-ტიტველ მხარეში” მოხვდა და ნიკოლოზ ბარათაშვილით შესძახებს ბოროტ სულს: “წყეულიმც იყავ!” (3, 130).

გალაკტიონი დარწმუნებული იყო, რომ დროებით მოხდა დემონის აღზევება და იგი ცაზე ვარსკვლავის (ღმერთის) აელვარების იმედით ცხოვრობდა: “ვარსკვლავი იგი,

ფიქრთა საგანი, ერთი უმრავლეს ვერსკვლავთაგანი აელვარდება ცაზე ოდესმე – სულო, დემონზე უბოროტესის!” (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა) (2, 2120).

იოანეს გამოცხადებაში ღმერთის ბრძანებით ანგელოზმა ათასი წლით სეკრა ეშმაკი და უფსკრულში ჩააგდო (გამოცხადება, 20, 1, 2, 3) (12, 516).

წიგნთა წიგნის სიბრძნეს ნაზიარები ქართველი პოეტი კარგად ერკვეოდა სიკეთე – ბოროტების ბრძოლის საიდუმლოებაში.

პოემა “მშვიდობის წიგნში” საქართველოს მტერი სახელდება, როგორც ავი ზრახვების ქაჯი, სატანა: “აქ შავი შავზე, ფიქრებით ავზე მიდამოს თავზე ადგას სატანა” (9, 239).

დემონი, ლუციფერი, ავი სული გალაკტიონის პოეზიაში მხოლოდ გარეგნული ძალა როდია, იგი სულში ეძებს ბინას და მისი მიზანი ადამიანის არსებიდან “უმანკო ნათელის” განდევნა ღმერთის ადგილის დაკავებაა.

ლექსი “სასწაულს” (1919 წ.) დემონური ძალისა და კეთილი საწყისის ურთიერთჭიდილის სიმძაფრეს ეხება.

ბოროტი ძალა სულში ჩასახლება მძვინვარე ლუციფერის სახით.

გალაკტიონის შემოქმედებას ახასიათებს კონტრასტი: ნათელი და ბნელი, კეთილი და ბოროტი, ქრისტე და სატანა.

თუ როდის ხდება სიკეთე ბოროტების წილხვედრი, ამაზე “ბინდის სტუმარში” გვესაუბრება პოეტი: “...ახალი მხარე, ახალი ბინა, ჯადოთა მხარე სიშველ-ტიტველი მე მარტოობამ შემამჩნევინა”.

“სასწაულს” ლირიკულ გმირს შეცნობილი აქვს ლუციფერის არსი და მისი ძალისხმევით ბოროტი სული მრისხანე ვეფხვივით დაკოდილი და მიძინებულია: “შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ-ცოდვილს, ლიუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს, ლიუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს და ეხლა მიძინარეს”.

ჯოჯოხეთია ლექსის ლირიკული პერსონაჟის თვალში, ხელებიც ბოროტებისთვის გარჯილან, მაგრამ გონსმოგებული სინანულით შეპყრობილია, შენდობას ითხოვს, ებრძვის, მიასიკვდილებს ბნელ ძალას, განწმენდის სურვილს ავლენს, განწმენდის უნარით მომადლებული კი ღმერთია, რომელსაც “უმანკო ნათელისა” და “სასწაულს” სახელებით მოიხსენიებს პოეტი: “შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ჩემს თვალებს, შეუნდე ჩემს ხელებს ბოროტად დადალულს, მე შენი იმანკო ნათელი მაწვალებს და ველი სასწაულს” (2, 162).

ნათელი ღმერთის სახელია: “მე ნათელი ვარ წუთისოფლისა” (იოანე, 8, 12) (12, 195).

სასწაული ძველი აღთქმის წიგნებში მრავალგზის ფიგურირებს უფლის სახელად.

მივმართოთ ფსალმუნს

“დიდი და სასწაულმოქმედი ხარ, შენ ხარ ღმერთი ერთადერთი” (ფს. 85-85, 10).

“მოუთხრეთ ერს მისი ღირსება, ყოველ ერს მისი სასწაული” (ფს. 95/96, 3).

“უგალობეთ უფალს ახალი აღთქმა, რადგან სასწაულები მოიმოქმედა” (ფს. 97/98, 1).

“მოიმოქმედე ჩემს მიმართ სასწაული სასიკეთო, შემეწირე და ნუგეში მეცი” (ფს. 85/86, 17).

“გადიდებ უფალო, ვილაპარაკებ შენს სასწაულებს” (ფს. 9, 2).

“აქეთ იგი, ილაპარაკეთ ყოველ მის სასწაულზე” (ფს. 104/105, 2).

“გაიხსენეთ მისი სასწაულები, საოცრებანი” (ფს. 104-105, 5).

სასწაულის სახე გვხვდება წინასწარმეტყველ მიქასთან: “გაჩვენებ სასწაულებს, როგორც იმ დღეებში (მიქა წინასწარმეტყველი, 7, 15).

დანიელის წინასწარმეტყველებაში ხაზგასმულია ღმერთის სასწაულები: “რაოდენ დიდია მისი ნიშნები, – რაოდენ ძლევამოსილია მისი სასწაულები” (დანიელი, III, 10).

“იგი შველის და იხსნის, სასწაულებს და ნიშნებს ახდენს ცაზე და დედამიწაზე” (დანიელი, 6, 28).

დანტემ ღმერთი მოიხსენია, როგორც “სასწაული” (13,348).

გალაკტიონის ექსში “ბნელცოდვილი ღუციფერის” მძვინვარება დაამარცხა “უმანკო ნათელმა” და “სასწაულმა” (ღმერთმა).

ხშირად პოეტი თვალთმაქცური ღიმილის მიღმა სატანური სულის შხამს და გესლს ვრეტდა: “მე ვიცი სახე, რომლის ნაკეთებზე მხოლოდ სატანის სული კრთებოდა, შხამით და გესლით უბერდა გული, იგი კი მაინც იღიმებოდა” (რიმილი) (6, 143).

გალაკტიონს ადაშფოთებდა “მაგნე ქვეყნის სული”, რომელსაც ხალხთა უბედურება უხაროდა და “სასიკვდილო არიას მდეროდა” (ვილანელი) (3, 312).

პოეტს არ გამოჰპარვია გველური ბუნების სატანა, რომელსაც პაციფისტის ნიღაბი ჰქონდა მორგებული: “...ისევ გველური მიპარებით იღება კარი და დემონივით ამ ლექსების შემოდის გმირი” (გაიცანით, პაციფისტია) (6, 179).

უკეთური სატანები, დემონები ტყვიებს არიგებდნენ, რომ დედამიწაზე სიკეთისთვის ეძიათ შური: “მან შეაჩვია თვის სულს სატანა, ალი ქურების, დემონიურად მიუძღვის ღამით რაზმებს ტყვიებით, რომ დედამიწას უჩვენოს ამით შურისძიება” (მოგონება) (2, 44).

პოეტი მომწრე იყო დემონთა მიერ ორგანიზებული სამგლოვიარო ეტლების ფრენის: “დემონიურად მიუძღვის ღამით, სამგლოვიარო ეტლების ფრენას...” (სამგლოვიარო ეტლების ფრენა) (2,36).

ბოროტების ქარის ორომტრიალში ბელზებელს ჭვრეტდა კიდიტ-კიდე (ქარიშხლის შემდეგ) (2, 128).

თითქოს დემონს ეპყრა ჭიანური დაადამიანურ წყურვილს ახშობდა (სხვისი სისპეტაკე უფრო ავიუებს) (2, 77).

პოეტი წინასწარმეტყველურად ჭვრეტდა იმპერიალიზმის საშიშროებას, რომელიც სატანური ცვლით ცდილოს მიწაზესიცოცხლის ათიბვას, სისხლიანი სამოსელის მორგებას: “მიწას კვლავ ეფინება იმპერიალისტური ომის საშისროება, რათა სატანიური ცვლით მიწა ათიბოს, რათა ასისხლებული მხრები მოიქათიბოს (მიწას კვლავ ეფინება) (6, 78, 512).

ეშმაკი გამუდმებით მახეს აგებს, მაგრამ “ალოცების” პოზა უცხო არ არის მისთვის (გვიანომ ოცნება) (3, 57).

დაფიქრება და შეეჭვება ჩვევია ბოროტ სულს (სადამოვ, ვიცი) (2, 57), მწუხარების ნიღაბს იკეთებს... (ვარ გენია რიმიანელი) (3, 265).

ხშირად კი, როცა იწყება “აგუგუნება დემონთა გუნდის” სახეზეა “ნგრევა ღრუბლების, დაღწილი ცა” (ზღვის ეფემერა) (3, 208).

ცა ღმერთის, ღრუბლები მარიამის სიმბოლოა (11, 124).

ლექსით მინიშნებულია დემონური ძალების მიერ სარწმუნოების უარყოფაზე.

მთაწმინდის იქით უხილავს პოეტს ბნელი ჩრდილების “დინგების გროვა”, დასისხლული მზე, და ბოროტების აყვავება (შავი და ჩუმი დღეს ყვავილები) და უსასოობის განცდა დაუფლებია (მთაწმინდის იქით) (3, 127).

დემონები წარუმატებლობის, დამარცხების შიშს უნერგავდნენ: “მე დემონები ქროლვით მარადით მომაგონებდნენ დაფარულ შხამით, რომ უიმედოდ მივქროდი ღამით გატეხილ შუბით და მუზარადით” (მაგრამ მე რა ვქნა?) (3, 111).

გველისგან მოწამლული “ყვავილოვანი სიყმაწვილე” და ქნარი ელეგიურ მოტივებს აძლევდა სტიმულს (ელეგია) (5, 30-31).

და პოეტი ნატრობდა დემონთა დავიწყებას: “...მხოლოდ დემონთა დავიწყება ეძებს სამყოფელს, ყოველივესთვის იყოს იგი სამაგიერო” (სენს სიყმაწვილეს) (3, 180).

საბოლოოდ, გალაკტიონი კი არ ემონებოდა, ამხედდა სატანას: “იყავ სატანა, იყავ დემონი!” (ბინდის სტუმარი).

ლუციფერთან ბრძოლაში “სასწაული” – ღმერთი ეიმედებოდა და უსმენდა რა ლუციფერს, თან ბრძოლით ასუსტებდა, რითაც სიკვდილს და სიბერესაც ამარცხებდა: “ყრუდ ვუსმენდი ლიუციფერს, ის ბრძოლაში მივანელე, ვგმობ სამარეს და სიბერეს მე, გენია რიმანელი” (ვარ გენია რომანელი) (3, 389).

ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა “ცხოვრებასა” და ბელზებელს” შორის იყო, რაც ერთ-ერთის გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო (გზადაგზა) (3, 445).

ცხოვრება, ყოფნა, სიცოცხლე ღმერთის სახელია: “მე ვარ გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება” (იოანე, 14, 6) (12, 211).

ლექსში “დემონიური” (5, 187) პოეტი გმობს სიცოცხლის – ღმერთის გარეშე ცხოვრებას: “არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე, შენ გაიარე სიცოცხლის ახლი... შენ გაიარე სიცოცხლის ახლო და სიცოცხლისთვის არ შეგიხედავს” (სატანები) (15, 508-509).

სამყაროში ყოველივე წარმავალია, სულისა და მშვენიერების გარდა, ლაჩრისთვის კი მხოლოდ სატანა უკვდავი: “არარა ჰკიებს უკუნისამდე, სულ ყველაფერი მიდის და ჰქრება, ღრუბელს ამართულს უზრუნველ ცამდე იდუმალება არ ესიზმრება. მშვენიერებას უხმო სიკვდილი მოელის ქვეყნად, თან არ მოელის... შენთვის, ლაჩარო, უკვდავი არის ხმა სატანასი და სამოელის” (დემონიური) (6, 102).

“აღარ არსებობს იგი დემონი, ის ბრძოლით არის დასუსტებული, იქნება ძალას იკრებდეს ისევე, რომ დაუწეწოს მსოფლიოს სული” – კითხულობს პოეტი.

სატანის, ბოროტის მძლეველი მხოლოდ სიყვარულის ღმერთია, რომელიც “ბნელეთის დემონს დაეჯახა, გაანადგურა და ქვეყნად ერთა სიყვარული დაასადგურა. ბოროტნი სუენი ხეობების იქით გარეკა, გამოცოცხლების, გაღვიძების ზარი დარეკა” (სვანის დაბრუნება) (14, 55).

გალაკტიონის სტაგონება ზღვასთან, უდაბნოსთან, დემონებთან იყო წილნაყარი: “ზრვას უდაბნოს და დემონებს ჩემი ბედისწერა შეეჩვია და სიმღერაც მხოლოდ მათთან სჯერა” (ბედისწერა) (5, 150).

მაგრამ “სიბრძნის დემონი”, დემონი, როგორც გენიალობის სიმბოლო, სხვა თემაა და მას სხვაგან ვეხებით (1, 63-73).

ლიტერატურა

1. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, თბ. 1991.
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993.
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, ლექსები, თბ. 1988.
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. V, თბ. 1995.
5. გალაკტიონ ტაბიძე, რცეული, თბ. 1977.
6. გოეთე, ფაუსტი, თბ. 1961.
7. მერაბ კოსტავა, შეწვევტილი ფიქრები, თბ. 1991.
8. ვახტანგ ჯავახიძე, უცნობი, თბ. 1991.
9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბ.
10. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
11. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.
12. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
13. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941.
14. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ. 1994.
15. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.

ავდრის, უამინდობის, ზამთრის, თოვლის სახეთა ქვეტექსტებით სამშობლოს ბედისა თუ უბედობის გაცხადება. ავდრისა და ზამთრის რელიგიურ-პოლიტიკური ქვეტექსტები

გალაკტიონ ტაბიძემ ზამთრის, ავდრის, უამინდობის, თოვლის, ყინვის სახეებში ჩააქსოვა რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული, ფილოსოფიური თვალსაზრისი, ამ სახეთა გამოყენებით შექმნა განუმეორებელი მხატვრული სახეები, ძალაუნებურად გაეფიქრა „თოვლის ნიღაბის“ ავტორს, რომელიც, მიუხედავად გერმანული წარმოშობისა, რუსული ცნობიერების იყო. მომავალი ალბათ გასცემს სრულყოფილ პასუხს, ამ შემთხვევით შემდგარ შეჯიბრში ვინ ვის გადაამეტა.

ცნობილია, რომ აღ. ბლოკმა გაგვანებივრა თოვლის და ყინვის გამოყენებით შექმნილი მეტაფორებით: თოვლის ემბაზში მონათვლა, ქარბუქის ქვები ყინულის ბელტის შუბლზე ნალესი, თოვლიანი ქარის შემოხვევა, თოვლის ღვინო, თოვლის მორევი თოვლიანი მხარის გემი, თოვლის ნამქერიანი გზა, თოვლში ჩაიკრულ სულის ძახილი, უნაპირო თოვლზე გადაფრენა, თოვლიან სევდით მკვნესარი ღირა, თოვლის ფრინველის ფარდებია, თოვლის ვერცხლისფერი გზები, შორეული ყინვის ნაპრალები, თეთრი სიკვდილის ველით გაყინული გული, გული, ქარბუქს გადაცემული, უკანასკნელი ეკლით თოვლში შემონათება, თოვლიანი ნეშტი, თოვლიანი მხარის გემი, თოვლის სანთელი, ცეცხლმოდებული თოვლის ეკლები (1, 28,29,30,34,35,36).

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ჩანაფიქრი სახეებისა: თოვლიანი მხარის ჯადოქარი სიცივე, სიავის გრძნობით შეფიფქული ქუჩა, უცნობის სკრიპკის ტირილი უამინდობაზე, ზამთრების მწუხარება, ზამთრის ყინვა-ქარბუქში ცხოვრება, თვითმკვრობელობის სუსხი, გულისდამსშობი ზამთარი, ძველი თოვლით და ყინვით შემოსილი მიუღწეველი მწვანე ნაპირები, იანვრის თოვლით დამტკნარი სულის იები, მწუხარე თოვლი, თოვლიანი ტყეები, თოვლიანი ალვა, მწუხარე, თოვლში ფერადი გემით სვლა, ყინვის შიში შორევი, უამინდოთა სასტიკი სული, თოვლის მიერ სილისთვის მინებებული ნოვალისის ყვავილი, თოვლიანი მინდვრების სასაფლაო, თოვლიანი მინდვრების თეთრი კუბო, თოვლის მხარე, ნისლიანი მთა-ბარი, სიშავეში გაყინული ოცნება, ივლისისფერი ყინვის თასები, მაისის ყინვა, გაყინული მთა, შავი თოვლი, ზამთრის სიკვდილი, უსაზღვრო დამე და ყინვა, ქარიშხლის ფიფქი, ზამთრის სუსხი მოკლული სხივი, თოვლში ჩაფლული უნუგეშოდ შთენილი გაყინული ფოთოლი, თოვლის ფერ-უმარილი, ფიფქით მტრობა, ბნელი თოვა, სამშობლოდ სახელდებული თოვლი, ყინვით გადაყინული ყვავილები, ყინვათა მფენი თვალები. გვიანი ზამთარი, ზამთრით დაჩაგრული გული, ზამთრისაგან განშორების ნატვრა, ზამთრების მწუხარება, ყინვით დაბინდებული თვალი, დათოვლილი ხიდები, დათოვლილი მწუხარება, უამინდობით შეწყვეტილი სიმების სიცილი, ელვარე თოვლში მავალი მარხილი, ზამთრის დღეები და თარეში სულის ბოროტის, დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე, ავდრით გადახრილი ქუჩა, ყინვის განგულება, ავდრით გადახრილი ქუჩა, ზამთარი ძნელი, გულისდამსშობი ზამთარი, წარმავალი თოვლი, თოვლის ფანტელივით გარდასული სიავე, საიმპეყენიო და საამსოფლო სიოსთან დაპირისპირებული ზამთარი, თოვლის უკანასკნელი სამსალა, არაწმინდა თოვლი, უამურ ზამთრის გულგასაგმირი სახლი, ზვავის ზრიალი, თოვლთა მსგავსად დღეთა სვლა, ნაზავთარი ბედის ავდარი, დღეების თოვლით გადაბადება, გაყინული ოცნება, სიზმარივით მდევარი ზამთარი, გული-ყინული, თეთრად სპეტაკი და მარად შავი, სული-აღსავსე სუსხით, დათოვლილი ხიდები, დათოვლილი ზმანებები და მწუხარება, ყინვამოსხმული გუნდი ლაშქართა, განათებული სიცივის ბრწყინვა, სიშავეში გაყინული ცა, გამწარებული სულის სიციხელე და ყინვის ამო განგულების გლოვა, მწუხარე თოვლში ფერადი გემით სვლა, ზამთრის დღეების მოსვლა

ეგზერსისებად, გულისდამხშობი ზამთარი, მაისის დღეების ყინვა, აგვისტოს თოვლი, ავდარს მოყოლილი ავდარი, დათოვლილი გამგლელები და გულცივი ბალები, გულში აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული, თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებში გაუჩინარებული მთის გრეხილი, თოვლის ფიფქით შემოსილი ნაძვი და მღელვარე გაზაფხულზე გაყინული ნაკადული, ყრუ ბაიათის ფიფქით მტრობა, ზამთარი, სიცივე და სიკვდილი, თეთრი თოვლის თეთრი სუდარა, თოვლი-სამშობლო, თოვა და გულის წუხილი, თეთრი ავდარი, ეღვარე თოვლში მავალი გემია, წვიმა და თოვლი... მხარეები სიბერის, ყინულის სასახლე, ქუჩა, ქალაქი, კოშკი, თოვლით თრობა, ირიბი, აღმაცერი თოვლი, ყინვა და ღამე, ყინვა ფეერიული, გამწარებული სულის სიციხელე და ამაოდ ყინვის განგულებების გლოვა, გადაუდებელი თოვა, ზამთრის მიერ წაშლილი ბილიკი, ბნელი თოვა, მაისის ყინვა, სულში ირიბი, აღმაცერი თოვლი, ითლისისფერი ყინვის თასები, თოვლთა მსგავსად დღეთა სვლა, თეთრი ავდარი, თეთრი ტყე. თბილისის ზამთრის გაზაფხულის მსგავსი თოვლის დაფიქსირება, მადლიანი ქედის თოვლი და მთუთქავი მზე. სითეთრე თოვლის, სისპეტაკე მხარეთ ზემოთა, თოვლის ვარდები, თოვლის მადონა, ვარდისფერი თოვლი, იისფერი თოვლი, წარსულის თოვლი ია-ზამბახის, ქალწულ თოვლთან ბინის ძიება, იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა, ფეერიული ყინვა.

თოვლის საშუალებით მოვლენათა სწარფწარმავლობაზე აქცენტირებაა: „მსგავსად თოვლთა მიდიან დღენი, ეს რაცა მოხდა, დამაცაა, იყო რაღაცა თოვლი, ფანტელი... ის დრო სად არის? იქ, სადაც თოვლი შარშანწინდელი“... (მშვიდობის წიგნი).

იდუმალი ხმით ბნელი ნატვრის, საშინელი ავდრის დამარცხების აზრია: „ისმენ იმ სხვა ხმას... იმ ბნელი ნატვრის, საშინელ ავდრის, უამურ ზამთრის გულგასაგამირად“ (მშვიდობის წიგნი). და ჩნდება სურვილი მუდმივი თოვლის სულის სითბოთი გადნობისა: „... ვნების რკალად მოვედები მუდმივ თოვლით შესადრულ მთებს“..

ყინულის სასახლის, ყინულის კოშკის, ყინულის ქალაქის, ყინულოვანი გარემოცვის, ყინულის ზღვის დადნობაა ცხელი გულის ძალით ლექსში „შეხედეთ, მიწა!“

თოვლიან მყინვარზე ყველას დასანახად დაწერილია სიტყვა: „... მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე ობლობის სიტყვა მგზავრმა დაწერა“.

და რწმენა ავდრის დამარცხებისა, „სიხარულის“ (საღვთო სახელია!) გამოჩენისა: „... რაც უნდა ათოვოს და ქუჩა ავდრით გადაიხაროს, დღეს უსათუოდ, ო, უსათუოდ, მე სასახლეში ვნახავ სიხარულს“...

გვიხილავს თოვლიანი დღის ხარება, იისფერი თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენის ფონზე: „...ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი და დაღალული სიზმრით დამთოვა“ (თოვლი).

მთავარა დევიზი, რაც, უპირველესია ყოველი გენიისთვის: „სული გკონდეს უსპეტაკეს თოვლისა!“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა).

ქარის, თოვლის შიშის დაძლევა, გამარჯვების უტყუარი გარანტიაა: „არმოშიშარს ქარისა და თოვლისა, ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად იქნება მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება: პოეზია უპირველეს ყოვლისა“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა).

საყურადღებოა ქართული ხასიათის წარმოჩენა თოვლის სახის გამოყენებით, ხალხური ინტონაციის გაქდერებით: „არათუ თოვლის ბრწყინვის, არ მეშინია მტრისაც, ვაჟაკსა გული რკინის, აბჯარი თუნდაც ხისა“.

ქართული ფენომენი ამ სტრიქონებშიც ხალხური სიდიადით არის ნათელყოფილი თოვლის საშუალებით: „რას ნიშნავს იყო ქართველი? ეს ნიშნავს პირველ ყოვლისა, მტრის გეშინოდეს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა“.

პოეტის გენიალური ირონია ისევ ხალხური სისადავით გაქდერდა თოვლის კონტექსტში: „... თოვლში მოგიყვანს ზაფხულის ყვავილს ჩემი ბახალა“...

გალაკტიონ ტაბიძე „ბედის ამინდის“ ამოცნობას ცდილობდა და ამინდს თუ უამინდობას დაუკავშირა ფილოსოფიური, ეროვნული, რელიგიური, სოციალური, სულიერი პრობლემები „მშვიდობის წიგნში“, რომელიც ეროვნულ-სარწმუნოებრივ ტრაგედიებს ეხება, პოეტი ამჩნევს „ბედის ავდარს“ და ამბობს: „რაგვარად ნასკავს აქ ბედის ვარსკვლავს უამინდობა“ (2,55).

„ავდრის მოლოდინში“ სულიერი ავდრის სევდაა და უამინდობა იმით არის გამოწვეული, რომ დავიწყებულია წარსულის ია-ზამბახი (მარიამის სიმბოლოებია), ალვა-მზეთუნახავი და მერთალი სახის (ალვა ქრისტეს სახელია), სათუთა „მებადის“ მოსვლა, მებადე კი ღმერთია. მარიამი ქალწულია, „ნელ ლერწამით და ვაზის მტევნებით“ დაგვირგვინებული, (ლერწამი და მტევანი მეტაფორაა), მაგრამ მებადეს თუ გაუუცხოვდა ხალხი, ყველაფერს დაღუპვა დაემუქრება (3,197).

„მშობლიურ ეფემერიაში“ „ზამთარს ბილიკი დაუტანია“ (ბილიკი საღვთო სახელია) (2,337)

სწორედ ზამთარი, ზამთრების მწუხარება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას გალაკტიონის პოეზიაში: „...მხოლოდ ზამთრების მწუხარებით შეიფოთლები“, რადგან სულში არც ყვავილია, არც მზე, დემონებია იველივ და მხოლოდ მის დავიწყებაშია ხსნა (ყვავილი, მზე საღვთო სახელებია – შენს სიყმაწვილეს) (4,173).

„გვიანი ზამთარი და ქარის ტირილია“ ელეგიური განწყობილების მაცნე „ელეგიაში“ (4,216).

ზამთარია სახის ნიღაბიც: „ფერი მზესა და ქარს მოჰყავს გაზაფხულის სადარი, შენ კი ლოყას გადაგკეროდა ზამთარი“.

„ზამთრის ყინვა-ქარბუქში“ მცხოვრებს, დავიწყებია ზაფხული, გაციებია სული, გულიც სიცივის სამკვიდროდ ქცეულა: „ვცხოვრობდი ზამთრის ყინვა-ქარბუქში, ხსოვნა არ იყო ჩემში ზაფხულის და ნელა-ნელა მიტკნობდა დღეებს, სიცივე გულის, სიცივე სულის“ (მე დავიბადე განთიადისას) (2,131).

ზაფხული საღმრთო სახელია. აშკარაა, პოეტი წუხს უღმერთო ცხოვრებაზე.

წასულ ზაფხულზე, ზამთრის ძონძებზე და წუთისოფლის ამაო დიდებაზე. ლექსის ლირიკულ გმირს ღამეში, ყინვაში ცხოვრება და „შორეულს შიში“ დაჰბედებია: „ვხედავ, ზამთრის ძონძები ხეებს ჩამოეკონა, მე კი, ეს გაზაფხული ისევ ჩემი მეგონა... ჰყინავს. ისევ ღამეა, მოდის შიში შორევი, რა ამაოდ ირევა წუთისოფლის მორევი“ (წამი წამს ეხიდება) (4,290).

აქ გაზაფხული ღმერთის, ზამთარი ურწმუნოების სიმბოლოა. უამინდო ქვეყნის მკვიდრთა სულის სისასტიკის განმცდელი პოეტი იტყვის: „სასტიკია სული უამინდოთა, განა ქვეყნად ბევრი რამე მინდოდა“ (შემოსილნი გამჭვირვალე ბლონდებით) (4,110).

„ყრუდ, უაღერსოდ ყინვათა მფენი თვალების“ სუსხიანი შეხედვაც დაჰბედებია.

„ნაზავთარი ბედის ავდარის წინ გრგვინვის ზარი წვევით დიადის“ მოუსმენია (მშვიდობის წიგნი) (2,907).

„მოგონებებში“ ხაზგასმულია „ზამთრის გმინვის სასტიკი ძალა, მკვლელი იარა“ (6,36).

პოეტი აფიქსირებს, რომ „ზამთრის სუსხმა სხივი მოჰკლა“ (დახუჭული თვეები) (3,27). ზამთარი ურწმუნოებაა, სხივი – ძე ღმერთის სახელი.

„სიზმარივით მდევარი ზამთარია“ ლექსში „თეთრი პელიკანი“ (4,70).

„მანტიითა და გვირგვინით“ მოსულთ ზამთარს მოაქვს სიცივე, სიკვდილი, კენარის მსხვრევა, სისხლი, ცრემლი, სხვა სიყვარულის მონატრება, იუდასა და კაენის მეუფება: „მანტიით მხრებზე, თეთრი გვირგვინით ეღვარე გზებით მოდის ზამთარი. მიდის ზამთარი, მოდის სიცივე, მოდის სიკვდილი... იუდას სახე, კაენის ლანდი და ღამეების შავი გუგუნი“ (როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები) (4,38).

ლექსი აშკარად რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური აქცენტების მატარებელია.

ზამთრის დღეები გაუთენებელ ღამეს ემსგავსება, მას რამე ახალი კი არა, ბოროტი სულის თარეში და კოსმიური სიცივე მოსდევს: „ზამთრის დღეები მოდის მწარე ეგზერსისებად, მე რამ ახალი მათი მოსვლით არ მეღირსება. მოდის სიცივე და თარეში სულის ბოროტის, დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე მოდის“ (ზამთრის დღეები) (7,376).

„გულისდამხშობი ზამთარი“ და „არაწმინდა თოვლია“ უბედურების მაცნე პოემაში „მშვიდობის წიგნი“ (2,260).

„გვიანი ზამთრით“ (ელეგია), „ზამთრის სიავით მთლად დაჩაგრული“ (ო, გაზაფხულო) პოეტი ნატრობს ამ „გულგამყინველი ვაების“ გაცილებას: „რომ წავიდეს ეს ზამთარი, სიზმარივით მღვეარი“ (თეთრი პულიკანი) (4,17).

„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვა“, ნათქვამია ლექსში „თოვლი“, რომელშიც თოვლში დაცემულია ზამბახები, უდაბნოში გაუჩინარებულია მანდილი (5,165-174). ზამბახი და მანდილი მარიამის სიმბოლოებია, უდაბნო ურწმუნოება.

„ნაზავთარია ბედი“, „ავდრით გადახრილია“ ქუჩა (მთელი დღე ვგრძნობდი) (3,2901). „სიცივის მძევალია“ ხალხი „მშვიდობის წიგნი“ (2,307).

პეტერბურგში რევოლუციური მოვლენების მაყურებელი პოეტი ავდრის უწყვეტობას წინასწარმეტყველებდა: „მე ვალმოხდილი ისევ ველი, როგორ მოჰყვება ავდარს ავდარი“ (როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები).

უამინდობა, ურწმუნოება ქნარის სიმებსაც აღუმებს: „უეცრად წყვეტენ სიმები სიცილს უამინდობით, უამინდობით“ (მას გახელილი დარჩა თვალები) (4,138).

„ზამთრების მწუხარებით“ „შეფოთილი“ პერსონაჟი გალაკტიონის ლირიკისა, მაინც დარწმუნებულია მიწიური უკეთურობების დამარცხებაში, ზამთარი ვერ შესძლებს „საამსოფლო და საიმქვეყნიო სიოსთან“ (ღმერთთან) გამკლავებას: „ზამთარო, ასე გულისდამხშობო, ვერ შესძლებ სიო რომ გადასწიო საამქვეყნიო და საამსოფლო“ (მშვიდობის წიგნი) (2,131).

ავდრის შიში საერთოდ დაებადა მეოცე საუკუნეს: „ცა იღრუბლება, მოდის ზამთარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“ – წერდა ტერენტი გრანელი (8,154).

1921წ. 25 თებერვალს ჩვენი სამშობლოს თავისუფლების ხელყოფისა და ხელახალი ოკუპაციის დროს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული ერთადერთი ასულის დაღუპვით სამუდამოდ დაზამთრდა დიდი ქართველი პატრიოტის კოტე მაყაშვილის გულში და იგი ვაება: „არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი, თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი“ (9,41).

პოლიტიკური უამინდობის მიუხედავად, გალაკტიონი არასოდეს წყვეტდა კავშირს უზენაეს საწყისებთან: „დავირთული მრავალ უამინდობით, კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით“ (მეოცნებე აფრებით).

კიდობანი მარიამის სიმბოლოა: „გიხაროდენ, კიდობანო ოქროვანქმნილო სულითა“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა) (10,12).

ლიტერატურა

1. ალექსანდრ ბლოკი, რჩეული ლექსები და პოემები, თბილისი, 1995, თარგმანი სოსო სიგუასი;
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი, თბ. 1977
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. IV, თბ. 1994

7. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ. 1994
8. ცისფერი სიშორე, თბ. 1998
9. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XXს. ქართული მწერლობა, ქუთაისი, 2002.
10. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009, □12.

სამშობლოდ სახელდებული „არაწმინდა თოვლის“ მხარე

გალაკტიონის პოეზიის თოვლის სახეში სოციალური, ეროვნული, რელიგიური, ფილოსოფიური ჩანაფიქრი იკითხება.

ამ სახეს, ერთი მხრივ, პოზიციურ კონტექსტში იყენებს პოეტი, რელიგიური გაგებით და მისი „თოვლის მადონა, თოვლის ვარდები, ღურჯი ფიფქი, იისფერი თოვლი, ვარდისფერი თოვლი მარიამ ღვთისმშობლის სახელებია (1,165-174).

„ელვის ბილიკზე მიდის ფეხები და მეცემიან თოვლის ვარდები“ (ხან უფსკრულები, ხარ მწვერვალები (2,271) ელვის ბილიკი ქრისტეს, თოვლის ვარდები მარიამის სიმბოლოა.

გალაკტიონის ლექებში გვხვდება არაწმინდა თოვლი, თოვლის სამსალა, თოვლის სუდარა, ფიფქით მტრობა, რომლის ქვეტექსტებსაც თოვლიან–ყინულიან იმპერიასთან მიყვავართ.

ჩრდილოეთის ქვეყნის თოვლი მოიაზრება, როგორც სასაფლაო. თეთრი კუბოები: „ფანჯრიდან სჩანს თოვლიანი მინდვრები, როგორც სასაფლაო, როგორც თეთრი კუბოები, როგორც მგლოვიარე ეზო, უკალო და უკუთნო“ (ჯონ–რიდი) (6,3,23-24).

და პოეტს ამ თოვლში ნაგულისხმევი მუხანათობის გამო უჩნდება შეუძლებელი სურვილი: ორთითა ორკაპით ანიავოს, ახალი ნიჩბით აზიდოს ეს მსახვრალი თოვლი: „აიღე ორთითა ორკაპი და ანიავე ეს თოვლი, ახალი ნიჩაბი აზიდავს ამოდენა თოვლს“... (3,24).

ლექსში „ალეები თოვლში“ (3,47), ალვა თოვლიანია, თასი გაყინული. ალვა სიცოცხლის ხეა, თასი მარიამის სიმბოლო. ლექსში უპირისპირდება „ჩვეული სიცივე“ და „უჩვევი ნათელი“ (იხ. დაწვრილებით (1,31,40).

დათოვლილი ხიდების, ზმანებებისა და მწუხარების ფონზე (ხიდი მარიამის სახელია) პოეტს ევლინება ზეციური დედა, „ღვთისმშობლის ცქერა სავსე ქართული პატიოსნებით“ (თბილისი), (4,183).

ლექსში „სამშობლო შავი ლიუციფერის“ (4,193) მშობლიურ მხარეში ერთდროულად იხილვება წვიმა, თოვლი, სიბერე, სისხლი, მსხვერპლი, ცხედრები, „სასიკვდილო გადათეთრებით“ ცნობილი გზა და პოეტი ასკენის: „ჩვენ მწუხარებამ დაგვიძმობილა ღამის ტყე–ველი, არასდროს ჩვენთან იქ არ ყოფილა ნაზარეველი“.

ჩვენთან დაძმობილებული, ნაზარეველის გარეშე არსებული „ღამის ტყე–ველის ქვეტექსტებში მოყვრის ნიღბით მოსული მტრის, მკვლელის სახე შეიცნობა.

გალაკტიონი განასხვავებდა საქართველოს გაზაფხულის მსგავს თოვლს ჩრდილოური თოვლისგან: „მთაწმინდიდან გაღმით ვხედავ თოვლის ლივლივს, ...გაზაფხულის მსგავსი თოვლი მოდის ზამთრის“ მშვენის მეღხიორის ტფილის თოვლის ტვირთი (4,533).

„მღვრიე ქარში“ თოვლის მხარეს, მის „ჯადოქარ სიცივეს“ შეიგრძნობდა: „თოვლის მხარე, ნისლიანი მთა და ბარი. მოვიმხარი მისი გზები, სიცივე და მღვრიე დარი. სული ძლიერ აფეთქების და სიცივე ჯადოქარი“ (2,17).

პოეტის ბედისწერად ქცეულა თეთრი სუდარის მაგვარი თოვლი: „და სიცივემ თეთრი თოვლი თეთრ სუდარად დათოვა“ (სასიკვდილო მწუხარება) (2,305).

გაზაფხულისმაგვარი თოვლისა და მზის სამეფოში პოეტი „იისფერი ჰავის. ულტრაიისფერი სხივის ძალას შეიგრძნობდა: „აგერ მადლიანი ქედი, სად თოვლია და მზეც თუთქავს, ბრწყინვალეობა პირისპირი იისფერი ჰავით სუნთქავს, სხივიც ულტრაიისფერი ვერა ძალას ვერ შთაუნთქავს (შეხვედრა მთაში) (5,440).

გალაკტიონს აწამებდა „უამინდოთა სასტიკი სული“ (შემოსილნი გამჭვირვალე, ბლონდებით) სული, აღსავსე სუსხით (918) თვითმყრობელობის საშინელი სუსხი (გული რკინადა ქცეული) (6,163).

არანაკლები კოდირებული სახეების შემცველია და ჩვენთან „დამობილებული“ მტრის მხლებით გამოირჩევა „ოფარტი“ (4,144), რომელშიც ელვარე თოვლის მარხილი და თეთრი ავდარი მიგნებული მინიშნებაა ჩვენი უბედურების რეჟისორზე: „ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი, რომ მოიხვიოს თეთრი ავდარი, ამ სივრცეებში მყავს დამარხული ზამთარი ცივი და ნაზავთარი“.

მისი „ელამი მზე“, „გაყინული მხედარი“ და სინჟმე, ავბედითი ნაკვალევი და ძალადობით სამშობლოდ აღიარებული თოვლიანი იმპერიაა სატკივრის მიზეზი: „რა სინჟმეა. როგორ აჩნია გზებს ნაკვალევი არსაამსოფლო, რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია... რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

მართლაც, საკუთარის დავიწყებას და თავისი თოვლიან-ყინულიანი მონსტრის სამშობლოდ აღიარებას ითხოვდა ჩვენგან „გაიძვერა მოყვარე“.

„დომინოში“ (2,203) „თოვლის ფერ-უმარილი“ და „ფიფქით მტრობა“ მიგვანიშნებს მტრის ავბედით ზრახვას.

ლექსში „გული გრძნობს“ (3,322) საოცარი კოდირებული სახით მიგვანიშნებს პოეტი ჩვენი მძიმე ხვედრის მიზეზებზე. ამჯერად შეხვედრა გვიწევს „მწუხარე თოვლთან“, მისკენ სვლის მიზეზი კი „ფერადი გემი“ ყოფილა: „...მწუხარე თოვლში წამიყვანაა ფერადმა გემმა, წინათ ანგელოზს – დედამიწას ვუცქერი ჯალათს. ო, შურს იძიებს როსმე ბოჰემა. გული გრძნობს დალატს“

„მწუხარე თოვლი“ ისევ უბედურების მომტანი იმპერიაა, გემი, ფერადი გემი-იგივე ძელი, ჯვარი, რწმენა...

ნათელია, რომ ერთმორწმუნეობის გამო მომხდარა თოვლის სამეფოსთან დაახლოება, მაგრამ მფარველ ანგელოზად მოვლენილი ქვეყანა ჯალათად ქცეულა, დალატით ყოფილა დალდასმული ეს ურთიერთობა.

„მწვიდობის წიგნში“ ალეგორიულად მხილებულია სატანური იმპერია, „მეორე მტერი“, რომლისგანაც „საშინელი ავდარი“, „უამური ზამთარი“, „ნგრევა-ხოცვა“ გვერგო.

მუხანათი მეზობლის თოვლით და ყინვით გათოშილ გულში ბევრი მიუღწეველი ნაპირია თოვლით და ყინვით შემოსილი: „და მიუღწეველ მწვანე ნაპირებს შემოსავს ძველი თოვლით და ყინვით“ (თოვლით და ყინვით) (3,50).

გულში ბევრია „აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული“ (ჩემს გულში დაჰქრის).

ეს ავბედითი, „ალმაცერი“ (არამშობლიური) თოვლი სულში არა – სიცივეს: „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება. ელვარებს ლუმელი. ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამოქრება. გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. იფანტება თეთრი ფიქრები. იფერფლებს ხელნაწერი... ნუ ჩამიქრები და იქაც, შიგნით, სულში... თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“ (თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“ (4,3267).

1921 წ. 25 თებერვალი ბოლშევიკური, ათეისტური იმპერიის მიერ საქართველოს ხელახალ ოკუპაციას მოასწავებდა და ამასთან რელიგიური რწმენის უარყოფასაც.

ამის შესახებ მეტაფორულად ამბობს პოეტი: „ყო ირგვლივ ზიანება და ყორნების ჩხავილი. თოვლმა სილას მიანება ნოვალისის ყვავილი“ (აღარ არის მენესტრელი (3,186).

სილაში მოქცეული ვარდი უნაყოფობის, ურწმუნოების სიმბოლოა სხვაგანაც (იხ. ჩვენი „სილაჟუვარდე ანუ ვარდი სილაში“) (1, 156-165).

„იანვრის მოძმედ“ („თოვლი“) არანებაყოფლობით ქცეული პოეტი სხვაგან იანვრის თოვლისგან სულის იების ჭკნობას აფიქსირებს: „იანვრის თოვლი, იანვრის თოვლში აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს“. აქვე საუბარია „დაფარულ ცოდვებზე, დამალულ დალატზე“ „შიშველი ყვავილით“ გამოწვეულ წუხილზე (სამრეკლო უდაბნოში) (3,40)

ია მარიამის, ყვავილი ქრისტეს სიმბოლოა.

მარადიული თოვლით, დალატი ცნობილი მონსტრი სახელდება, როგორც იანვრის თოვლი: „წუხილის მიზეზია „თოვლში ჩაფლული უნუგეშოდ შთენილი“ „გაყინული ფოთოლი“ (ქართ დატირებული) (2,355): შემდეგ თოვლი მოვიდა და ვით სულს მოტივტივე, შევაჩვიე სიცივე ჩემი სულის სიცივეს“, ამბობს პოეტი, მაგრამ სინამდვილეში სწორედ რომ ეს შეუჩვევლობაა მისი ტრაგედიის მიზეზი.

თოვლივით თეთრ სახეში „ირისისფერ“ სულს ჭკრეტდა უცდომელი მზერა: „სახეს სითეთრე თოვლის დაჰყოდა, სულს– ბურუსები ირისისფერი“ (918) (3,173).

„ელეგიაში“ წუხილის მიზეზია „გაზაფხულის მზიან ჩრდილს“ შენაცვლებული გადაუღებელი თოვლი, (2,86).

თეთრ თოვლის ქვეშ სიზმარეთში გაუჩინარებული მთა (მთა მარიამის სიმბოლოა), გაზაფხულზე გაყინული ნაკადული (სადმართო სახელია), თოვლის ფიფქით შემოსული ნაძვი (სიცოცხლის ხე სადმართო სახელია) ავლენს რწმენის გაქრობას ლექსში „თეთრ თოვლის ქვეშ“: „თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებს წაჰყვა მთის გრეხილი უხმო, შორი და მღელვარე გაზაფხულზე ფიქრს მიეცა ველ–მინდორი. თოვლის ფიფქით შეიმოსა ნაძვი ტოტებდახლართული და მღელვარე გაზაფხულზე გაიყინა ნაკადული“ (თეთრ თოვლის ქვეშ) (2,6).

ლექსში „შემოდგომა უმანკო ჩასხების მამათა სავანეში“ (2,247) გვაუწყებს, რომ ჩამქრალია სასახლის ჭალები, ზაფხულს ჭკნობა შეპარვია, განდევილ მამათა გაუქმებულ სავანეში „შავი თოლივით“ თოვს „ჭვარტლი და ბურუსი თავანის“ და პოეტს უდაბნოს ქარების ქროლვაში ჩაესმის ათეისტური ეპოქის განაჩენი, მორწმუნეთათვის გამოტანილი: „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“.

უდაბნოს ქარების ბატონობისას ისევ უზენაესი ახსოვს ლექსის ღირიკულ გმირს და სამრეკლოს ზარები ანგრევენ, პოეტის დადადისი მაცხოვარს მიემართება, პოეტისა, რომელიც გახელების ოსტატად იქცა, გახელები კი რელიგიური ლექსებია.

„შავი თოვლი“ ურწმუნობაზე, გაუქმებულ ეკლესიაზე მინიშნებაა მიგნებული სახით. განსაკუთრებით ჭარბად გამოიყენა პოტმა თოვლის და ზვავის სახე პოემაში „მშვიდობის წიგნი“.

მახის დაგების, დალატის, შეთქმულების ოსტატად ცნობილმა მეზობელმა იმპერიამ (მას პოემაში ქაჯეთი ჰქვია) ჩვენს ქვეყანას „მშვიდობის წიგნი“ (ღმერთის სიმბოლოა) მოჰპარა, თოვლი, ნისლი, ზვავი მოუვლინა, ბნელი დამე გაბატონა, წარღვნისმსგავსი სტიქიებით დაემუქრა, გაანადგურა მისი ხეები, ამ ედემისმსგავსი ქვეყნის „მიწის და ზეცის“ ნამცეცის წაგლეჯის სურვილით ჯვარზე აცვა, სატანა დაასვა თავზე, მაგრამ ხალხის მცდელობით, მოძიებულ იქნა წიგნი (რწმენა), ნაპოვნი იქნა „წმინდა გზა“ (ღმერთი) და ქვეყანა გადარჩა. პოემაში საუბარია „თოვლის სამსალაზე“, „არაწმინდა თოვლზე“, რომელიც მზის ელვარებით და ღვთის ნებით დადნა: „მოტებზე ის თოვლი, შენი ნიშანი – წარმავალია, თუმც მრავალია–წყალნი წარვლიან, რჩება ქვიშანი... თოვლი მზის სხივზე დადნა ან დნება თოვლო, შენ ისევ გინდა, იქნება, მისდით განვლილს? მიმღები დავლის, ძალა მომავლის არ მოიქნება უკანასკნელი შენი სამსალა

გვიჩვენო გინდა? ო, არაწმინდა! სიმართლე ვინ და ან რამ დასძალა? გინდა მომიკლა, მაგრამ ღვარებით დნება ის თოვლი მზის ელვარებით“ (7,132)

ზვავს ორბები და სვავები მოჰყვებიან: „ფაზისს დაეცა ზვავი ზრიალით, შეირყა ზეცა, გადმოიკეცა, ფაზისს დაეცა სვავთ ძალთა ძალი“.

ბოლოს თოვლის სწრაფ დნობას მიამსგავსა პოეტმა თოვლიანი იმპერიისგან მოვლენილი განსაცდელი: „მსგავსად თუ თოვლთა მიდიან დღენი, განა ბევრს გთხოვდა სამშობლო ჩვენი. ცოტა სიყვარულს, ცოტა სიმტკიცეს, რომ მის დათესილს სხვა არა მკიდეს და ჰქონოდა მას, რაიც მისია, წიგნია, ხმალი თუ სახნისია“.

იმედლიანობის საფუძველი ბოროტების სწრაფწარმავლობა ხდება: „მაინც არ ჩაქრა ჩვენი სანთელი, ვამბობთ: ეს რაცა მოხდა, დამაცა, იყო რაღაცა თოვლი, ფანტელი“ (7,351).

„უბინაო ბავშვებში“ (8,215) „ღღეები თოვლით გადიბადება“.

ღღე საღვთო სახელია, ბაღი ხალხის პარადოგმაა, ღღეების თოვლით გადაბადება ღვთის ხალხის გაუკუღმართებას უნდა ნიშნავდეს.

მიუხედავად თოვლისა და „ავდრით“ გადახრილი ქუჩისა, პოეტი სასახლეში მაინც „სიხარულს“ (სიხარული ქრისტეს სახელია) მოელოდა (მთელი ღღე ვგრძნობდი) (3,290) გალაკტიონის მიზანი იყო მუდმივ თოვლით შემოსილ მთებზე ტიტანური ძალის, სითბოს შეტანა: „მაღე მთებს და ველებს ტიტანივით მოვევლები, ვნების რკალად მოვედები მუდმივ თოვლით შესუღრულ მთებს“ (ავრორა) (3,75).

„თოვლიანი ალვა“ უარყოფილი სიცოცხლის ხე ანუ ღმერთი (31-40).

„ელვის ბილიკზე“ (ელვა საღმრო სახელია) მავალი პოეტი ეთაყვანებოდა „თოვლის ვარდებს (მარიამს) (ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები).

სწრაფვა „ქალწული თოვლისკენ“, „ღრუბლებისკენ“ (თოვლი და ღრუბელი მარიამის პარადიგმებია) ნიშნავდა უფლის დედის თაყვანისცემას: „ფრთები რომ მქონდეს, გავსწვევდი იმ მწვერვალს საზღვრად დადებულს, იქ ქალწულ თოვლთან ვპოვებდი ბინას მზით აფერადებულს; მე მსურს იქ დავასადგურო ჩემი ოცნება და ქნარი და ვკოცნო, ვკოცნო ღრუბლების ბაგე აღისფერ-ნარნარი!“ ფრთები რომ (მქონდეს, მზისაკენ გავექანები ზღვის ნავად, ცის კაბადონზე დავწერდი მსოფლიოს შესახედავად: გიყვარდეთ!“ იქნებ ყველასი შეხვდეს ამ ნაწერს თვალები და შეიყვარონ, რადგანაც კაცნი არიან და-ძმები“ (ფანტაზია) (3,154).

გალაკტიონის ოცნება იყო თოვლზე უსპეტაკესი სული: „სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა (3,300).

პოეტმა მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე და მკითხველის გულში ქვეყნის გასაგონად დაწერა სამარადისო სიტყვა (სიტყვა პოეტის (3,121).

მისი მიზანი იყო ტიტანური სულის ვნებით მუდმივი თოვლით შესუღრულ მთებში მარადიული სითბოს და სიყვარულის შეტანა: „მაღე, მაღე მთებს და ველებს ტიტანივით მოვევლები, ვნების რკალად მოვედები მუდმივ თოვლით შესუღრულ მთებს“ (ავრორა) (3,75).

თოვლის გამოყენებით ნაჩვენებია ეროვნული ხასიათი: „არათუ თოვლის ბრწყინვის, არ მეშინია მტრისაც, ვაუკაცსა-გული რკინის, აბჯარი-თუნდაც ხისა“ (პირველ აგვისტოს ღამით (8,754).

ქართული სულისა და მგოსნის სულის დახასიათება ხდება თოვლის გამოყენებით შექმნილი ხალხური ფრაზით: „რას ნიშნავს იყო ქართველი? ეს ნიშნავს პირველ ყოვლასა, მტრის გეშინოდეს მომხდურს, ვით შარშანდელი თოვლისა. რას ნიშნავს იყო მგოსანი? ეს ნიშნავს, პირველ ყოვლისა, მტრის გეშინოდეს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა“.

ლექში „ჰე, მამულო“ (4,438) ქართველი წარმოჩნდება, როგორც „არმოშიშარი ქარისა და თოვლისა: „არმოშიშარს ქარისა და თოვლისა ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება,

მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება: მამულს გული, უპირველეს უფლისა“. (ჰე, მამულო) (2,438).

ეპოქალური წვიმისა და თოვლის მიუხედავად, პოეტი გამუდმებით ეკებდა ღმერთს: „როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს, ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს“ (ქარი ქრის) (3,229).

პოეტის მხერა სიკვდილის წინ მიჰყოფილი იყო შორეული თოვლიანი ბილიკისკენ: „მხოლოდ შორეულ თოვლიან ბილიკს მივაპყრობ თვალებს“ (ქარი, ამწევი ფარდის). ბილიკი საღმრთო სახელია.

გალაკტიონის ვედრება მიმართული იყო თეთრი ფერის, ზეციური სისპეტაკის შენარჩუნებისკენ“. „... ოცნებაო, რა ამოდ დიდხანს გვედრე რომ შეგენახა ერთი ფერი: მშვიდი სითეთრე, სითეთრე თოვლის, სისპეტაკე მხარეთ ზემოთა, რომ მას უმანკო ბავშვის ცრემლი არ დასცემოდა“ (ორნამენტი) (3,514).

პოეტი აფრთხილებდა ღმერთის მგმობელთ, რომ ზეცის სპეტაკი სითეთრე კი არა, „ბნელი თოვა“ და ლუციფერის სავანე იქნებოდა მათი ხვედრი: „ვერ გაიგონეს თქვენი მხნე ნანა, ვერ შეიფერეს მზე კონებისა და მოგესიზმრათ ისევე ქვეყანა, ქვეყანაბნელი დემონებისა. მოკვდებით, ბნელი იქნება თოვა, რომ თქვენი გრძნობა ვერ შეიფერეს და სამარესთან ვინც კრძალვით მოვა, იქნება ლანდი ლიუციფერის“ (ვერ გაიგონეს) (3,332).

ღრმა აზრია „თოვლივით თეთრი ქარის“ სახეში: „თოვლივით თეთრი ბერავდა ქარი“ (მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა) (6, 36).

ასე შიფრით ნაწერით ამხილა პოეტმა ჩვენი ეროვნულ-რელიგიური, სახელმწიფოებრივი ტრაგედიები, ასე განუხრედად ემსახურა სიმართლეს, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იანვრის თვეშიც „მაისის ვარდნი გაფურჩქნის“ ხმით დიდინებდნენ და ქვეყნის სატკივარზე არც ფიქრობდნენ: „იანვარია. თოვლი ჰფარავს ქუჩებს და ბინებს, მაგრამ ვინაა, რომ ჯინაზე ასეთ ამინდის „მაისის ვარდნი გაფურჩქნის“ ხმით მიდიდინებს? (9,366).

ასეთივე ირონიულია „ყვავის სიმღერა“: „...თოვლში მოგიყვანს ზაფხულის ყვავილს ჩემი ბახალა“... (ყვავის სიმღერა) (4,328).

ღექსში „ქუჩაზე (2,1,336) თოვლიან ქვებზე მიყრილი ბავშვები ოცნებობენ „მკვლელობაზე, სისხლზე, ცეცხლზე“.

ორი საუკუნე აწვიმდა და ათოვდა ჩრდილოეთიდან ქართველი კაცის სულს, მაგრამ პოეტი იმედს არ კარგავდა, რომ გამოიღარებდა, დადნებოდა ეს ავბედითი თოვლი: „საუკუნეთა თოვლო, ითოვლე, მაინც დადნება ეგ ნათელარი“ (წარწერა თოვლის ორნამენტზე) (9,374).

ლიტერატურა:

1. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 2009
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1994
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ. 1994
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. IV, თბ. 1993
7. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
8. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. II, თბ. 1993
10. ალ. ბლოკი, რჩეული ღექსები და პოემები თბ. 1995, მთარგმნელი სოსო სიგუა.

“ახუნდენელთა დღესასწაულთ ღურჯი ყინული”

ყინვასაც მრავალმნიშვნელოვანი გაგება აქვს გალაკტიონის პოეზიაში და მის სოციალურ, პოლიტიკურ, ეროვნულ, რელიგიურ შეხედულებათა სამყაროში შეყვავართ. ლექსში „მე დავიბადე, განთიადისას“ (1,131) ზაფხული რწმენაზე მიგვანიშნებს, „ზამთრის ყინვა – ქარბუქი“ ათეისტურ პოზიციებზე: „ვცხოვრობდი ზამთრის ყინვა-ქარბუქში, ხსოვნა არ იყო ჩემში ზაფხულის და ნელა-ნელა მიჭკნობდა დღეებს სიცივე სულის, სიცივე გულის“.

„სვანის დაბრუნებაში“ (2,152) „აღქაფებული-თოვლის მსგავსი, ყინულებრ ცივი, ყვირის ნაკადი“.

ლექსში „რუს პოეტს“ (2, 347) ბლოკის თვალთა „დაბინდებული ნისლით და ყინვით“.

თოვლს და ყინვას ეკისრება განსაკუთრებული ფუნქცია ლექსში „ალეგები თოვლში“ (3,47). მასში ალვა) სიცოცხლის ხე) თოვლიანია, თასი ყინვიანი: „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით!“

ალვა სიცოცხლის ხეა, ღმერთის სიმბოლო.

თასი მარიამის პარადიგმაა.

თოვლიანი ალვა და გაყინული თასი უარყოფილ ქრისტესა და მარიამზე მიგვანიშნებს.

ვარდები დაცვენილია, შუქი ჩამოშლილი (ვარდი და შუქი საღვთო სახელებია), შორსა „უცნობი ღამის“ (საღვთო სახელია) საკურთხეველი.

გაყინულია ოცნებები, თეთრი მთა უჩვეულო ნათელს ეაღერსება, ირგვლივ კი ჩვეული სიცივეა: „დგას გაყინულთა ოცნებათ კრება: მთა თეთრი, როგორც მაღალი რაში... და უჩვევ ნათელს ეაღერსება ჩვეულ სიცივის მძინარებაში“.

მთა მარიამის სიმბოლოა.

„უჩვევი ნათელი“ უზენაესია.

„ჩვეული სიცივის“ და ძილის გარემო გაუცხოებულია უფლისგან (3,-140).

თეთრი, ყინულიანი გული სინამდვილეში მარად შავ ზრახვებს ინახავს და წმინდა ქართულ აზრს დანაშაულად გვითვლის. ვინ? რა თქმა უნდა, ყინულოვანი მონსტრის მესვეური: „ო, მეპატიოს, გული ყინული-თეთრად სპეტაკი, მარად შავია. წმინდა ქართული და რუტინული აზრისთვის იგი დამნაშავეა!“ (918) (3,173).

ყინულიანი გულის პატრონის „სული აღსაგესა სუსხით“ და ზიზღით“, მისი წინამძღვარია ჭოტი, იგი ცრემლის, უბედურების მომტანია, „საუნჯის“ (საღვთო სახელია) გაქრობის და დაღამების დიდოსტატი: „მაშინ საოცრად ტიროდა სახლი, ჩვენი ყრუ, ჩვენი მუნჯი სატანა, თითქოს სადღაცა გაჰქრა საუნჯე და შეღამებამ ითანდათანა“ (918) მის სახეს „სითეთრე თოვლის“ აყრია, სულს ბურუსები ირისისფერი.“

ლექსში „მე მარწმუნებდნენ“ (3,242) ცა არ არსებობს, იგი სიშავეში გაყინულია, ურწმუნო ეპოქაში კი დაუსჯელად არც უზენაესის სიყვარულია შესაძლებელი და არც ცხოვრების გარდაქმნის შანსი არსებობს: „მე მარწმუნებდნენ: ფოთლები გაჰქრა, ცა არ არსებობს მღვრიე თუ წმინდა, რაღაც უნიჭო ოცნებამ დაჰქრა და სიშავეში იგი გაყინდა. მე მარწმუნებდნენ: რომ არ იქნება შენ დაუსჯელად გიყვარდეს იგი, მარწმუნებდნენ, რომ არ გარდიქმნება მკაცრი დღეების ყოფა და რიგი“.

ყინვიან ზამთარში ამაოა „ყინვის განგულება“, თოვლი და სიცივეა ყველგან, გულში კი გრიგალის ყვირილია, წუხილია იმის გამო, ვისი ხსენებაც აკრძალულია: „ზამთარი

ძნელი, ყინვა ფიცხელი. გამწვავებული სულის სიცხელე, ამაოდ ყინვის განგულებას გლოვს, გადაუღებლად თოვს. სახლები აივსო თოვლით, ქუჩები აივსო თოვლით, შუშაბანდს ცვივიან კეცები, სიცვიისაგან დღე იკეცება. მოკლული ეცემა ფრინველი, მე შენზე მაწუხებს წუხელი: გულიდან გრიგალი ყვიროდა წუხილი. შენ არ გაქვს სენაკი, შენ არ გაქვს სართული, სადა ხარ, ვინ იცის. არც ტკბება ჰაერი, არც ცხრება ჟინი ცის, თავისი უჟინო სიმძაფრით გართული“ (ზამთარი ძნელი) (3, 328-289).

ლექსში „ქართო დატირებული (3,139) – „თოვლში ჩაფლული, უნუგემოდ შთენილი, იყინება ფოთოლი, ველად ჩამოცვენილი“.

გულშიც ყინულია, მწუხარების ყინული: „არ გებრალებით? მე მქონდა გული, ეხლა ის არის, როგორც ყინული... ვინ იცის, იქნებ გალხვეს ყინული, ღრმა მწუხარებით შემორკინული (წერილი სოფლიდან) (3,80).

პოეტს ასევე აწამებს „განმყინვებელ მკვლელ თვალთა ცქერა“ (დაღლილ წამწამთ ქვეშ) (3,39). „მზერაგამყინველი (დიდელას სათვალე, ტ. 4,311) „კრულ უაღერსოდ ყინვათა მფენი თვალები) (იბრძოდნენ შურნი (1,182).

1918წ. არის დაწერილი „მოგონება ყრუ შესახვევის“ (3,149). რომელშიც ღამე, ყინვა, კვნესა, ცეცხლი და სისხლია ავბედითი დროის მახასიათებელი: „უსაზღვრო ღამე. ღამე და ყინვა, ქუჩაზე მიდის სისხლი ღვარული“. მაგრამ მტარვალთა აზრით, „ამ სისხლში არის არა დაცინვა, არამედ სითბო და სიყვარული“...

ლექსში „თითქო არა აქ“. დედამიწა ქაოსებში იძირება თითქოს, ისმის ჭოტების კივილი, ძაღლების ყეფა, მერე „მშობლიური სინუმე“ ისადგურებს, მაღალი მთა გაყინულია, დაყრუებულია შარაგზები და ამ ნანგრევების სინუმეში, ქაოსებში დაფარულ, უჩინარ ცეცხლს ამჩნევს პოეტი (3,112).

„სიცვიის მძევალია“ ხალხი პოემაში „მშვიდობის წიგნი“, მას „გულს უყინავს შავი დღე“ (5,204).

მიუღწეველი ოცნებები და მწვანე ნაპირები თოვლით და ყინვით იმოსება: – „...და მიუღწეველ მწვანე ნაპირებს შემოსავს ძველი თოვლით და ყინვით“ (ჩემს გულში დაჰქრის).

პოეტს იანვრის თოვლი ჰყავდა „მომმედ“, ის უტკნობდა სულის იებს (თოვლი, სამრეკლო უდაბნოში).

მაგრამ მაისის დღეებშიც ყინვას, მდელის ტკნობას, უსაზღვრო საღამოს და მთის დაბინდებას მოელის: „მაისის დღეებს ის მოელის, ვით ზამთრის ყინვას, თითქო სამუდამოდ დამტკნარა მდელი, გაახსენდება რაღაც მკაეცრი და აღარ სძინავს და იმეორებს: გაჩუმდი მკვლელო! თითქო უსაზღვრო საღამოა და მთა ბინდდება, აირვეიან ქენჯნის კალთები. გახედავს სერებს, გაფითრდება, შეეშინდება და ფოთოლივით აკანკალდება. თითქო ვიღაცას უდარაჯებს წყვდიადი ღამით და უბოროტეს დღეთა ხელებით, წყვდიად დუმილის სამოსელში ფიქრების შვაგით ივსება გული საშინელებით (ვით აფეთქება) (3,332).

თოვლის ქვეშ სიზმრებს გაჰყოლია შორი მთა, მაისში ყინვას, ივლისში ყინვის თასებს, მდელვარე გაზაფხულზე გაყინულ ნაკადულს, გაყინულ ცის ლაჟვარდს, გაყინულ ქვეყნის გულს, თოვლიან ნაძვს, ყვავილთა გაუჩინარებას ჭვრეტს პოეტის უცდომელი მზერა: „თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებს წაჰყვა მთის გრეხილი უხმო, შორი და მდელვარე გაზაფხულზე ფიქრს მიეცა, მინდორ–ველი. თოვლის ფიფქით შეიმოსა ნაძვი ტოტებდახლართული და მდელვარე გაზაფხულზე გაიყინა ნაკადული. გაიყინა ცის ლაჟვარდი, გაიყინა ქვეყნის გული და მდელვარე გაზაფხულზე ტყე გარინდდა დაბურული. სად, სად გაქრა მშვენიერთა ყვავილთა და ფოთოლთ კრება? – იქ, სად მეფობს გაზაფხულის ოცნება და მოსიზმრება“ (თეთრ თოვლის ქვეშ) (1,233).

„ფერიულია“ გალაკტიონის ყინვა, სულის, გრძობების, ზრახვების მახასიათებელი (როდესაც ყველას სძინავდა (8, 178).

„ორნამენტში“ (3,514) „ყვავილები გადაიყინა“. ყვავილი საღმრთო სახელია.

„ჩვენ თან წამოგვეყვა მისი ყინული“ (ეს ლექსი) (3,236) ამბობს პოეტი და ქვეტექსტებშია საძიებელი ამ ფრაზის ადრესატი ისევე, როგორც „აღმაცერი თოვლის“, თოვლად სახელდებული სამშობლოსი.

პოეტის გულის „ბრწყინვალეობას და ელვარებას“ ჩრდილავს „აუხდენელთა დღესასწაულთ ღურჯი ყინული“ (ჩემს გულში დაჰქრის) (6,801).

პოეტს არ ასვენებს მათი ოკეანე, „შორი ყინული“: „მე განვიცოდე ოკეანე, შორი ყინული, მათი სიმშვიდე, მათი ვრცელი აურზაური“ (მაისმა ისევ მომიტანა ლაუვარდი ზღვები“ (3,200).

გარდასული გაზაფხულის სევდა, ყინვიანი ღამის „შორევი შიშია“ ლექსში „წამი წამს ეზიდება: „ჰყინავს. ისევ ღამეა. მოდის შიში შორევი. რა ამაოდ ირევა წუთისოფლის მორევი“ (3,399).

„მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ (7,36) ისევ ყინვას მიიჩნევს უბედურებად: „...ო, ძლივს ვუძლებდი გამგმირავ ყინვას, არ მქონდა ძალა. ზამთრის გმინვის სასტიკი ძალა... ისე შემიკრა ყინვამ კბილები, მკლავდა იარა“.

ასევე აწამებს პოეტს „გამყინვებელ მკვლელ თვალთა ცქერა“ (დაღლილ წამწამქვეშ), „ყრუდ, უაღერსოდ ყინვათა მფენი“ თვალეები (იბრძოდნენ შურნი“ (6,79).

ეს ყინული, როგორც ტოტალური უღმერთობა და უსამართლობა, განუსაზღვრელ მასშტაბებს იძენს და უზარმაზარ ყინულის ქალაქად იქცევა ყინულის კედლებით, ყინულის სასახლეებთ, ყინულის მთებით და კოშკებით... და ყინულოვან ზღვაში იკეტება მომავლის გზა...

მაგრამ მთვარის ზეწარში გახვეულ ნათელში პოეტი „სიცოცხლის გენიას“ ხედავს მაღალ ანძასთან დროშით და მისი სიახლოვით, გულის სითბოთი ინგრევა ყინულოვანი გარემოცვა, იფანტება ყინულოვანი ქალაქი ღრუბელივით, ცისფერი, კაშკაშა მთები იმსხვრევიან, გემის სავალი თავისუფლდება და იგი ელვის სისწრაფით გაიჭრება საოცნებო ედემის მხარისკენ, სამშობლოში კი „სიყვარულის“ და „სიცოცხლის ქნარის ხმებია და ათასწლოვანი ხეების სიმდიდრე.

ყინულის მთების ნაცვლად მშვენიერი და დიდებული მთები მოჩანს გარდაქმნილი, გადიადებული, „ახლად სრულყოფილი და ცამდის შეკიდებული.

პოეტი ადიდება მომავალი რწმენის ბუნებას, რომელსაც დღეთა შემობრუნების ძალა აქვს: „სადღაა ყინულთ ჟრიაშული და ქარის სტვენა? ო, მომავალის, დიდი რწმენის კარგო ბუნება... შენ შეგიძლია დღეთა ჩვენთა შემობრუნება, მშვენიერ დღეთა შეგიძლია მომადლო ენა!“ (შეხედეთ, მიწა!) (6,232).

მთა, ედემი, მთვარე მარიამის სიმბოლოებია,

სიცოცხლის გენია, სიცოცხლის ქნარი – ქრისტესი.

პოეტის სიტყვები არათუ მყინვარის მთის სიმაღლეზე წერია, არამედ ხალხის გულშია და ყველგან რომ ამოიშალოს, სამყაროში სიმღერად განიფინება, რადგან იგი საქვეყნოა: „მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე ობლობის სიტყვა მგზავრმა დასწერა, შიგ ჩააქსოვა დაგუბებული კაეშან–ფიქრი და გულის ძგერა... ქვეყნისთვის –იგი არ არის უცხო, უცხო არაა მისთვის ქვეყანა“ (სიტყვა პოეტის) (1,121).

გალაკტიონი მაინც იმედიანია და აქვს რწმენა, რომ გულის ყინული გალხვება: „...ვინ იცის, იქნებ გალხვეს ყინული, ღრმა მწუხარებით შემორკინული“ (წერილი სოფლიდან) (8,80).

რუსეთის „ქარ–ყინვის“ თოვლის, ყინულის, ყინულეთის ასოციაცია უჩნდება კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისის დიმილის“ პერსონაჟს–კონსტანტინე სავარსამიძეს რუს სლანსკისთან: „სლანსკი! შენ–ყინულეთი, მე–მზისგული, შენ თოვლი, მე–ცეცხლი, შენ– მურღალი, ღორის ტყავის ფარივით ფართო და მრგვალი, მე–

ქართული ხანჯალივით ბასრი და წვეტრიანი. მე და შენ ერთ სახლში ვერ დავეტევიო!“ (9,367).

„ადრიან გაზადხულში“ (1,3255) არის რწმენა, რომ „კეთილი გაზაფხულის“ „კარგი ხარება“ გაადნობს ყინულის ლოდებს, როგორც ბიბლიაში უზენაესის ძალა.

გალაკტიონს დავით წინასწარმეტყველივით სჯეროდა ღმერთის ყოვლისშემძლეობის, რომელიც ყინულის დნობის უნარით იყო მომადლებული: „წარმოგზავნის თოვლს მატყლივით, თრთვილს ფერფლით მიმოფანტავს. გადმოუშვებს სეტყვას პურის ნატყხივით, მის სუსხს ვინ დაუდგება წინ? მოაველენს თავის სიტყვას და დაადნობს მათ, დაუბერავს თავის ქარს და გადმოდინდება წყალი (ფსალმუნი, 147,5,6,7) (10,681).

ეზეკიელ წინასწარმეტყველის პირით დადადებს უფალი ღმერთი: „უთხარი მღესავთ, ჩამოწევა—თქო თქვენი კედელი. წამოვა თავსხმა და თქვენ, ყინულის ქვებო, ჩამოცვივდებით და ქარიშხალი ამოვარდება“. (ეზეკიელი, 147,11).

„ასე ამბობს უფალი ღმერთი: ავტყხავ ქარიშხალს ჩემი რიხვით, თავსხმა წამოვა ჩემი წყრომით და ყინულის ქვები ჩემი გაცეცხლებით განადგურდება“ (ეზეკიელი, 13,11,13) (11,203).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ. 1993
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
4. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფმხედველობის საკითხები, თბ. 2009.
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1947
7. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. VI, თბ. 1994
8. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთტომეული, ტ. 2, თბ. 1993
9. კონსტანტინე გამსახურდია, დიონისის დიმილი, თხზულებანი 20 ტომად, ტ. II, თბ. 1992
10. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
11. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II

„ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“.

„მშობლიურ ეფემერაში“ ყაზბეგის ღრუბლით შემოსილი შუბლი, დაცარიელებული „ყვავილთა ცა“ და ამირანის კენესა გვაგონობინებს ეროვნულ ტრაგედიას, ლექსში „ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“ ისევ ღრუბელზე მოდის აზრობრივ-ემოციური მუხტი, იგი ასოცირებულია ამღვრეულ ტვინებთან, ხოლო ციდან ჩაფვბით გადმოდერილი ცრემლები, გრგვინვა და ელვა—ღრუბლები ქვეტექსტებით გვაწვდის მთავარ სათქმელს: „ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს, ციდან ცრემლები მოდის ჩაფვბით. გრგვინვა ციდან ცით მიაგვირგვინებს ელვას—ღრუბელთა აკიაფებით“.

ამღვრეულ ტვინთან შედარებული ღრუბელი ტრაგიზმის უმთავრეს მიზეზი – სიბრძნის ნაკლებობაზე მიგვანიშნებს, რაღაც დიადის გამოტირება ხდება ცრემლებით, ხოლო გრგვინვა მტრის მუქარის შიშით გვაავსებს.

შემდეგ სტროფში კი კონკრეტდება ზევსის განრისხების, დაბნელების მიზეზი, რადგან ღამეში გზადაკარგულ მოხევს მიშველება სჭირდება: „განრისხებულა თვითონ ზევსი, დორბლმორეული თეთრი მელანით. დაკარგულია გზა მოხევსი ბნელდება. ღამე. მიეშველენით“ (1,72).

ბუნებრივად ჩნდება ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეალების ასოციაცია, „მგზავრის წერილებში“ რომ გამოხატა მოხევს სიტყვებით: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნესო“ და ეს მთელი ერის სათქმელის გამოხატვა იყო ძალზე მიგნებული.

გალაკტიონმა თავისი დიდი პოეტური წინაპრის მრავლისმეტყველ სახეს და სათქმელს მიმართა ახალ დროში და გვაგრძნობინა, რომ მოხევს და მთელი ქვეყნის საწუხარი ისევ აქტუალური და ძნელად გადასატრეელი იყო. ეს მდგომარეობა დაბნელების, უკუნეთის დადგომის ტოლფასად აღიქმებოდა .

ასე ორიგინალურად, განუმეორებელ მხატვრულ სახეებში ნაგულისხმევი ქვეტექსტებით შეგვიყვანა პოეტების მეფემ „ფარულ ტკივილებით დაბურულ ბაღში“. თვით მის სიტყვებს რომ მივმართოთ.

ამ პრობლემას ისევ სიმბოლური ფორმით აშუქებს პოეტი ახალ ასპექტში და აშკარა ხდება, რამდენად არსებითია და საზოგადო სატიკერით ნასაზრდოები ის ეროვნული სათქმელი, რაც მსჭვალავს მთელ მის პოეზიას.

ღექსში „918“ მწუხარება, საწამლავები, არაადამიანური წვალება შორეული პეტერბურგის ბურუსშია გახვეული, სინამდვილეში გული შავი ყინულია, ქართული ცნობიერება კი დანაშაულად აღიქმება: „ოჰ, მეპატოს, გული–ყინული! თეთრად სპეტაკი– მარად შავია, წმინდა ქართული და რუტინული აზრისთვის იგი დამნაშავეა“.

უდაბნოს ყვავილთა ძებნა, ქარში ღიანდაგს აცდენილი მატარებელი (გზადაკარგული მოხევს ანალოგიური ჩანაფიქრის შემცველი სახე!) ეროვნულ და სარწმუნოებრივ იდეალთა იავარქმნას მოასწავებს: „შემდეგ უდაბნოს ყვავილთა მზოგარ თვალით მძებნელი და მარებელი, ვუღარაჯებდით, თუ ქარში როგორ ასცდა ღიანდაგს მატარებელი“.

უდაბნოს ყვავილი ქრისტეს სახელია, ისევე, როგორც ყვავილი, რადგან ქრისტემ უდაბნოში იმარხულა და უდაბნოში გამოიცადა.

ქარი ის საბედისწერო ავი ქარია, ატმის ყვავილებს, ატმის რტოს და ხომალდებს რომ უსაფრდება...

„გზათა მიუვალობით“ უედემო ანგელოზების ტირილით შეძრულია პოეტი/, მისი დემონი (ამჯერად გენიის სიმბოლოა დემონი) ვერ შეეგუება ჩვეულ სტანდარტებს, იგი შეფარვით ამხელს მწარე სინამდვილეს: „სასტიკი იყო ჩემი დემონი, ვერ ითვისებდა ჩვეულ გალობას, ანგელოზები უედემონი ტიროდნენ გზათა მიუვალობას“.

ლოცვას ქიმერები ენაცვლება, პოეტის ღირიკული მე კი მარადიული იანიჩარია, ეს ქართველთა ბედისწერაა: „და მიგვაფრენდა ლოცვათ მაგიერ, ფრთიან ქიმერათ გვიანი ჯარი, ოჰ, ვერასოდეს გვერდს ვერ ავიარ მე, უდროობის იანიჩარი!“

შემდეგ ავბედითი ხმები გვაძრწუნებს, რაც მიგვანიშნებს საზარელ მომავალზე ძაღლის ყმუილი, ჭოტის კივილი, თანდათანობით დაღამება... საუნჯის გაქრობით სრულდება, შიში და უბედურების მოლოდინია. საუნჯე კი საღვთო სახელია, ანუ რეალობა, დაკარგული თავისუფლება, ღმერთწარმთმეული არსებობა (2,173).

ღექსი 1918–ით თარიღდება და პოეტის ავბედითი წინაგრძნობის სასწორში გვარწმუნებს, რადგან საუკუნეობით ნაოცნებარი 1918წ. მოპოვებული თავისუფლება მხოლოდ სამწლიანი გამოდგა.

ამ პრობლემას კიდევ უფრო გამძაფრებულად და ახალი კუთხით წარმოაჩენს 1918წ. დაწერილ ლექსში „ოფორტი“ (2,144).

ზამთარი, თეთრი ავღარი, თოვლი და მარხილი რეალურია ჩრდილოელი მეზობლისთვის და ჩვენც მის მოზიარედ გვაქცია ბედისწერამ: „ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი, რომ მოიხვიოს თეთრი ავღარი, ამ სივრცეებში მყავს დამარხული ზამთარი ცივი და ნახავთარი“.

რუსული მარხილით მოდის ჩვენში თეთრი ავღარი, მისი სივრცეები ცივი ზამთრის სამეფოა.

სიმბოლურია ეს მარხილი, რომელიც იღია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ რუსული „პოვოსკის“ ასოციაციას იწვევს... ჩრდილოეთის იმპერიის მზესაც „ელამი“ თვალი აქვს, ტყემლების აყვავილება კი სიზმარეულია...

„გაყინული მხედრის“ წუხილის მიზეზია სიჩუმე. ჩვეულ სიჩუმეში მაინც აშკარაა გზების „არსაამსოფლო“ ნაკვალევი, რომ აღარ არსებობს სხვა სამშობლო, გარდა თოვლისა, ანუ თოვლიანი მონსტრისა: „... რა სიჩუმეა! როგორც აჩნია გზებს ნაკვალევი არსაამსოფლო, რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია, რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

ედემის მსგავსი სამშობლოს პატრონს თოვლის სამეფო აღიარებინეს სამშობლოდ, დედას დედინაცვალი ამჯობინებინეს.

მისი თოვლი „იისფერი“ ან „ქალწული თოვლი“ როდია, ეს უფრო „შავი თოვლია“, ტალახიანი, გულისმომწვევი, რომელიც არ დნება...

1921 წელს დაწერილი „მუხა“ მეხით მუხის სიკვდილზე, მის ფულუროში დაბუდებულ ატირებულ ჭოტზე საუბრით მიგვანიშნებს შიშზე, სიმბოლური მუხის (ერის სულის) განსაცდელზე (1,52).

ტყე, ბაღი, მუხა, კაკლები ერის სულის სიმბოლოა.

მხეცის „აპოკალიფსური მხეცის ნაირსახეობა) ხელობაა „ძველი კაკლების“ იავარქმნა: „საშინელია, იგრძნო უეცრად, რომ აღარ დგანან ძველი კაკლები. შენი სახელი მათ მიუეცრად-მხეცი, არც მეტი და არც ნაკლები“ (სისხლი) (3-735).

ტოტალური რეპრესიების ასოციაცია გვიჩნდება, კაკლები კი ეროვნული სულის სიმბოლოა, რომლის შემუსვრას ცდილობდნენ ტრიუმფატორი იმპერატორები მეოცე საუკუნეში.

„დარიალისა ვიწრო კლდეებში“ (1911წ.) მონობის სიძულვილით ძილში შთანთქმული, უზრუნველი სამშობლოს გამო დარდით იქცევეს ყურადღებას (1,46).

მეგობრად მოვლენილი მტრის მუხანათური ღალატის მხილებაა ლექსში „გული“ (1919წ.) დამსხვრეულ ძეგლებსა და ქანდაკებებს შორის უგონო სიყვარულით შერყეული გული მარხია, „უსივრცო“ ბაღი კი ასპარეზწართმეული ხალხის ასოციაციას ქმნის, რადგან ბაღი, ვენახი ხალხის პარადიგმა ბიბლიაში (1,274).

გრიგოლ ორბელიანის გახსენება ამძაფრებს ეროვნულ ტკივილს ლექსში „ჩემო იარაღი“: „... ტფილისი ძველი მიინგრ-მოინგრა, სცივათ კახურებს და ნარიყალა, ცრემლებით სველი მატარებლების კივილს გაჰყურებს.“

შემდეგ სტრიქონებში კიდევ უფრო ძლიერდება სევდა. პოეტი ჯიუტად დგას სიმბოლურ მთაზე მარტო (მთა მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა) ზეციური გადასახედიდან კი „ახალი სანახავი“ სანუგეშო როდია: „მე ვდგავარ მთაზე, მე ვდგავარ მარტო, დამთვრალი ახალ სანახავითა, რითი გაგართო, როგორ გაგართო? ჩემო იარაღი, ის დრო წავიდა!“ (4,34).

შემთხვევითი როდია პატრიოტი რომანტიკოსი წინაპრების მოღანდება.

1959 წელს დაუწერია გალაკტიონს მრავალმნიშვნელოვანი სათქმელით სავსე ლექსი, რომელსაც გასდევს ნ. ბარათაშვილის ფრაზა პოემიდან „ბედი ქართლისა“: „ახლა კი დროა!“

მაგრამ აქ 50-იანი წლების საბჭოთა იდეოლოგია როდია, რომელიც მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის გაერთიანების დევიზით გამოდიოდა და ეროვნულის დავიწყებას გვასწავლიდა.

ალბათ, პოეტს სურდა მშრომელის „დაფასების“ ეპოქაში მშრომელზე საუბრით აეხვია თვალი ცენზურისთვის: „ახლა კი დროა, მშრომელო, რომა, დაფასდეს შენი ღვაწლი და შრომა, დარიგდეს წიგნი, იქუხოს ქართველის სადღეგრძელომა“.

წიგნი საღვთო სახელია, როგორც ჩანს, პოეტი სახელმწიფოებრივ დონეზე რელიგიის შემწენარებლობას გულისმობდა, ხოლო ქართველის სადღეგრძელოთი აშკარად პატრიოტულ აქცენტს აკეთებდა.

შემდეგ წარსულის გახსენებით ახალ საფრთხესაც უსვამს ხაზს: „ახლა კი დროა, მშრომელო, რომა ის გავიხსენოთ, რისხვა და წყრომა, რაც თავს დაგვატყდა, განადგურება რომ მოგვინდომა“.

უცხო გვარ-ტომთა დაუნდობლობის გამეორების შემთხვევაში ქართველ ვეფხეებსა და ლომებს ხმლისკენ მოუწოდებს პოეტი: „ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა, თუ არ დაგვინდო უცხოთ გვარ-ტომმა, ხმაღს იკრას ხელი ქართველმა ვეფხვმა, ქართველმა ლომმა“.

მომავალში მტკნარი მდელის აყვავების, მშვიდობის დამკვიდრების, თავისუფლების მიღწევის ნატვრით მთავრდება ლექსი: „ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა, მშვიდობა ნახოს საქართველომა, გრილი ნიავის ქროლვა შეიგრძნოს მტკნარმა მდელმა“ (5,303).

ლექსში „აქ მარმარილოს მაღალი სვეტი“ რეფრენად გამოყენებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის ფრაზა „ვაი, დრონი, დრონი!“

„ეპოქის გედი“ თვით პოეტია, რომელიც „ოცნებას მღერის გაბედითებით“.

სისხლიან ეპოქას შეუმუსრავს დღე-დღე საღმრთო სახელია.

ციხე-გალავანში დაღვრილი სისხლი მის მშენებელს სამარეშიც არ მოასვენებს: „ციხე-გალავანს სჩქევს სისხლის წვეთი, დღე შემმუსრველთა ალთა კიდებით. ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი? იგი არ ჰკვდება გულთმშვიდებით“.

სურო, ხავსი, თაღების ღრუბელი და ნისლთა პირამიდები მინიშნებაა ეპოქის ღრუბელსა და ნისლზე: „სურო და ხავსი დაღლით, გვრიტებით. ვამჩნევ თაღებზე ღრუბელთა რონინს, გაშლილან ნისლთა პირამიდები, ვაჰ, დრონი, დრონი!“

ნანგრევები, ძველი მითები, ამინდი თუ უამინდობა იყო პოეტის პირველი ბედი და ნუგეში მხოლოდ ის არის, რომ მაინც ქართან გაბედითებით მეტრძოლი მოჩანს სამშობლო.

ბედნიერების სურვილი, გამომშვიდობება და შეძახილი, ვაი, დრონი, დრონი“. ხურავს ტკივილების მატინანეს...

ლექსი დათარიღებულია 1927 წლით, „აღმავალი სოციალიზმის“ პერიოდით (6,334).

ასე ამოეფარარა გალაკტიონი წინაპარ პატრიოტთა სახელებს გადაუჭრელი ეროვნული პრობლემების გასაცხადებლად.. პოეტის შემოქმედებაში გამუდმებით ემეზობლება ერთმანეთს ეროვნული და სარწმუნოებრივი იდეალები, განუყოფელი ტრიადა: ენა, მამული, სარწმუნოება.

მთელი ეროვნული უბედობის შეჯამებად აღიქმება 1928 წელს დაწერილი ლექსი „შენ ობლად კვლავ ადგახარ გზას“.

ხეცის რღვევა, სოდომის ცოდვა, გრგვინვა-ქუხილის მუქარა, ურთიერთ შეუბრალებლობა, გზადაკარგულთა წუხილი, ობლობა, გრიგალისა და ქარის იმედად ეოფნა აშკარას ხდის, რომ ქვეყნის თავზე დატეხილი უბედურება მაგისტრალური გზის, სარწმუნოების, ეროვნული იდეალების დაღატის შედეგია: „შენ ობლად კვლავ ადგახარ გზას, ხეცა ჰქუხს, ხეცა ირღვევა, ოთხივ მხრივ გადმოხეთქილი მთელი სოდომი იღვრება. ელვანი იკლაკნებიან, არის გრგვინვა და ქუხილი, შორით შორს ისმის

ხევებში, გზადაკარგულთა წუხილი. დაბრუნდი! ერთიმეორეს ამ დროს არავინ იცოდებს, მშველელ ხელს მხოლოდ გრიგალი და ქარი გამოგიწოდებს“ (4,106).

1927 წლით არის დათარიღებული ლექსი „გული გრძნობს“. სევდის მიზეზია დაუსახელებელი მტრის დალატი, დამისგან აყირავებული ზამბახთა კალათი, მღვრიე ქარიშხალი: „ავტომობილის მღვრიე თვალებს დარევდა სევდა, ელვარე ღამე აყირავებს ზამბახთა კალათს, შენ გახსოვს? მღვრიე ქარიშხალი ჰაერს რომ რევდა, გული გრძნობს დალატს“.

„ზამბახთა კალათი“ მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

შემდეგ სტრიქონებში „მწუხარე თოვლში“ „ფერადი გემის“ წასვლა გამხდარა სანანებელი, დედამიწა ანგელოზებით კი არა, ჯალათებით ავსებულან და დალატით გულდახრული პერსონაჟი ლექსისა მხოლოდ შურისძიებაში ხედავს ხსნას: „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა, წინათ ანგელოზს– დედამიწას ვუცქერი ჯალათს. ო, შურს იძიებს უსათუოდ როსმე ბოჰემა, გული გრძნობს დალატს“ (4,63).

როგორც ვხედავთ, ლექსი ენიგმებით გვიმხელს სათქმელს. „მწუხარე თოვლში“ ჩრდილოელი ქვეყანა, ყინვიან–თოვლიანი მონსტრი შეიძლება ვიგულისხმოთ (თოვლი მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა გალაკტიონის პოეზიაში, ერთ–ერთ ჭრილოში მას პოლიტიკური ქვეტექსტებიც აქვს).

„ფერადი გემი“ გალაკტიონის ლექსში ქრისტიანობაა, ხოლო „ფერადი გემით“ მწუხარე თოვლში“ წასვლა ნიშნავს ქრისტიანობის, ერთმორწმუნეობის სახელით მისვლას თოვლის სამეფოში, ყინულოვანი მონსტრის ამაო იმედზე ყოფნას.

ასე სიმბოლურ–ალეგორიულად, ახლებურად, ენიგმებით გვაგრძნობინებს პოეტი სამშობლოს უბედურებას, რომელიც ხსნას მეზობელ ქრისტიანულ სახელმწიფოში ეძებდა, მაგრამ იმედგაცრუება არგუნა მორწმუნეობის ნიღაბს ამოფარებულმა ბოროტების იმპერიამ.

1927 წლით არის დათარიღებული ლექსი „დაიღუპა ის ხომალდი“, რომელშიც ბოროტი ქარისაგან დაღუპული ხომალდის სახით შეგვაგრძნობინებს პოეტი ეროვნულ – სარწმუნოებრივი იდეალების განადგურებას (4,61).

ავბედით 1937 წელს პოეტს საბოლოოდ გადაწურული ჰქონია იმედი, მამულის მონობას, ურწმუნოების გაბატონებას საბოლოოდ მოუკლავს სიცოცხლის ხალისი: „არ მეგონა, არ მეგონა, არ მეგონა, გულთ, თუ ამგვარი გახდებოდი–ცივი, უმამულო და ამგვარად თუ სიცოცხლის მოკვდებოდა კონა–არ მეგონა, სიცოცხლეო, არა, არ მეგონა“. მკვდარი „სიცოცხლის კონა“ უარყოფილი ღმერთია (4,374).

ერთგან „თოვლი“ ანუ თოვლიანი იმპერიაა პოეტის „სამშობლო“ (სამშობლო შავი ლუციფერის), საკუთარს დაგიწყებას აიძულებდნენ“, სამაგიეროდ სხვისი ყინულოვანი მოსნსტრის აღიარებას შთააგონებდნენ. მშობლიურ, ედემისმაგვარ მხარეს სახელიც დაკარგული ჰქონდა, იგი ბოროტების იმპერიის პროვინცია იყო: „ტროპიკულ ხეებს შავი ზღვის პირად, ვაზებს დახლართულს, რომ მიყვებოდი ზურმუხტისფრად ფიქრებში გართულს, ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი ერქვა მამული“ (შავი ზღვის პირად) (1,114).

მონობის, სირცხვილის ფიქრი უწვავდა გულს, დასაბრუნებელი იყო სატანისტებისაგან წაგვრილი მამული და ბედს ევედრებოდა: „გთხოვ, დამიბრუნე ჩემი სამშობლო, სადაც მალხენდა ოცნება ყრმობის, სადაც არ ვგრძნობდი, თუ რას ნიშნავდა ფიქრი სირცხვილის, ფიქრი მონობის“ (სამშობლოში) (1,136).

გალაკტიონის იდეალი იყო „სამშობლოს სანახავიდან“ ენახა „იმედის შუქი“, სიცოცხლის საგანი“, „შუქი მოციმციმე“ (რწმენის სიმბოლოებია), მაგრამ ბურჟის ფარავდა სანატრელ ოცნებას (ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა) (1934წ.) (4,293).

პოეტი ხედავდა სათაყვანებელი სამშობლოს იდეალების იავარქმნას და გულისტკენით ასკენიდა: „რაა მასზე გულდამწყვეტი, მეტეხო და დოდმის ველო,

მიდიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო. არის ხლართი რკინიგზების, არის ავტო-მოტო-ველო, არის ოჯახებიც, მაგრამ ეს არ არის საქართველო“ (რათა მასზე გულდამწვკვბი).

ქრონოლოგიურად რომ გავადევნოთ თვალი გალაკტიონს ეროვნულ თემაზე შექმნილ ლექსებს, აღმოჩნდება, რომ 30-40-იან წლებში კიდევ უფრო მეტი სიმწვავეთ იგრძნობა „უდარებელი სამშობლო მხარის“ გულისტკივილი, რადგან დროთა სვლას ერის, არცერთი იმედი არ აუსრულებია: „რა უწყალოა რონინი ხანის, აუსრულებელ იმედთა გარე“ (ეს წინათ იყო) (1927წ.) (6,288). გალაკტიონის ამ მამხილებელ ლექსებს რომ ვეცნობით, გვაგონდება აკაკი ბელიაშვილის სიტყვები: „გალაკტიონისთვის სინონიმებად იქცნენ სამშობლო და პოეზია. გალაკტიონი პოეზიის მეფე ერეკლე იყო და მის ხელში ისე ელვარებდა კალამი, როგორც ერეკლეს ხელში-ხმალი“(აკაკი ბელიაშვილი, პოეზიის უგვირგვინო მეფე)(8-577-579).

ლიტერატურა:

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ, 1993
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, 1988
3. გალაკტიონ ტაბიძე, თბ. 1977
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, T b. 1994
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, T b. 1994
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ წიგნად, წიგნი IV, 1988
7. ნეტარი აგვუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
8. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, ლექსები, პუბლიცისტიკა, მიმოწერა,

აპოკალიფსურ მხეცთა ნაშეიერების კრიტიკა ტერენტი გრანელის პოეზიაში

გასაოცარი იყო ტერენტი გრანელის ინტუიცია, იგი უცდომლად ცნობდა ადამიანის სულს და უკეთურთ, ბოროტეულთ ყოველთვის გაურბოდა. მოჩვენებითი ღიმილის, თეთრი კბილების, მოწონების შეძახილებს მიღმა ყოველთვის განჭკვრეტდა მოპირისპირეთა ზრახვებს და არასოდეს შეეფიცებოდა ბოროტებას, თუნდაც უზარმაზარ მიწიურ სიკეთეთა საზღაურად, თუმცა სწორედ მიწიური, ელემენტარული პირობები აკლდა ღამის გასათევს დანატრებულს და გამუდმებით თავშესაფრის მაძიებელს.

ამ მხრივ ძალზე საგულისხმოა ლავრენტი ბერიასთან დაკავშირებული ეპიზოდები, პოეტის თვალთ ხილული სტალინი. აპოკალიფსურ მხეცთა ნაშეიერები (ლ. ლოლობერიძე, ს. ორჯონიკიძე).

ტერენტი გრანელი ხედავდა სულს და ეს საშუალებას აძლევდა, „გაეშიფრა“ მოპირისპირეთა ზრახვები აწმყოსა და მომავალში, რათა ურთიერთობებში არ დაეშვა შეცდომა. ცდუნების სიტუაციები კი მრავლად იყო.

პოეტი ღმერთის გადასახედიდან ხედავდა მოვლენებს და მას არ აშინებდა ამა ქვეყნის ძლიერთა, მიწიერ, წარმავალ მტარვალთა მუქარა.

„ფოლადზე უმეტეს, კოლხეთის ჯავარდენის სიმტიცეს იჩენდა პოეტი, როცა ყველას გასაგონად სტალინს მიმართავდა“, წერს ტერენტი დის-ზოზიას შვილიშვილი, ექიმი,

პროფესორი მამანტი როგავა (მამანტი როგავა, ტერენტი გრანელი) „მწერლობა XXI“, □1/5, 2000).

„ყოველისშემძლე „პარტიული ინტელიგენციისთვის“ სულიერად გაუტეხავი და მოუსყიდველი ადამიანის– ტერენტი გრანელის და მისი სამყაროსმომცველი პოეზიის– როგორც თავისუფლების ჰიმნის არსებობა მათი ზეობის ხანაში წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო, რადგან მათ უსუსურობასა და არარაობას უსვამდა ხაზს. სხვადასხვა წარმომადგენელ კოლაბორაციონისტებისთვის თვით გრანელის სიცოცხლე, ცხოვრება და პოეზია იყო და დღესაც არის ყოველწუთიერი შეხსენება საკუთარი (როგორც პიროვნების და მოქალაქის) მოღალატეობის, სულმდაბლობისა და სამარცხინო არსებობისა“ (იქვე).

„ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით“, ამბობდა პოეტია „ცია თვალებით“ მზერა კი მხოლოდ ღმერთის, ღმერთის სახედ და ხატად შექმნილ რჩეულ ადამიანთა, წინასწარმეტყველთა პრეროგატივაა: „დიდგანმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32, 19).

პოეტს არ ტოვებდა ქართველი ერის, ქართული ენის–ლაზარეს აღდგომის რწმენა და ჩვენი მშობლიური ხალხის სანუკვარ იდეალს იმედიანად ეხმაურებოდა: „მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრებით, აღდგება, როგორც ღვთის სიყვარული“ (ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღე „ცისფერი სიშორე“, გვ. 18).

ტერენტი გრანელმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ბიბლია და „დიდი ღლის“ (მამაღმერთის სახელია) დადგომის, ცოდვილთა განკითხვისა და მართალთა გაბრწყინების იმედით ცხოვრობდა: „...მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი“...

ამავე დროს, მოსვენებას უკარგავდა ტოტალური კატაკლიზმები, პლანეტარული მასშტაბის სულიერი ავდრის მოლოდინი: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“... (1,154).

აპოკალიფსის საიდუმლოებაში ჩახედული, მეექვსე ბეჭდის მოხსნასა და კაცობრიობის გარდუვალ ურვა–მწუხარებასაც ხედავდა: „მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიჰქრის“...

ტერენტი გრანელი ხსნის გზად რელიგიას, რწმენას, ღმერთის გზით სიარულს, უზენაესთან შერიგებას მიიხნევა, როგორც წინასწარმეტყველები, ღვთისმეტყველები: „... და სულის ღანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (ისევ დადგება სურნელი ნისლის).

ურწმუნო ეპოქაში ისევ ღმერთისკენ მიბრუნებას, „ძველი ფიქრების“, რწმენის აღორძინებას ხედავდა განგების ძალით: „ძველი ფიქრები ისევ დგებიან, ალბათ ასეა ნება განგების“).

„შერიგების“ ცნებაში წინასწარმეტყველები, მოციქულები გულისხმობენ ადამიანის შერიგებას ღმერთთან, მიბრუნებას რწმენისკენ.

მალაქია წინასწარმეტყველი საუბრობს მამებისა და შვილების ღმერთთან შერიგებაზე (მალაქია, წინასწარმეტყველი (3,24) (2,307).

პავლე მოციქული შეგვახსენებს „შერიგების მსახურებას“ (II კორინთელთა, 5,18) „შერიგების სიტყვას“ (II კორინთელთა, 5,19) და გემოდღვრავს: „ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს“ (II კორინთელთა 5,20).

„და ქრისტე ყვავილს ისერის მთვარიდან“, აცხადებდა ტერენტი გრანელი და თითქოს ხედავდა ძე ღმერთის საშველად გამოწვედილ ხელს.

ცნობილია, ვანო სარაჯიშვილზე დაწერილი ტერენტი გრანელის ლექსით დაინტერესდა ლავრენტი ბერია, რომელიც ყველანაირი გზით ცდილობდა პოეტთან კონტაქტის

დამყარებას. ერთხელ თავისი დამქაშების მეშვეობით კაბინეტში დაიბარა, კარგად მიიღო, შეუქო პოეზია, მწვანე მზა მისცა მისი ლექსთა კრებულის გამოცემას.

უბინაო, სანახევროდ ქუჩაში მცხოვრები, უპოვარი ტერენტი გრანელი ბერიას მხრიდან ხელის გამოწოდებას აღტაცებით არ შეხვედრია. თავისი უტყუარი ინტუიციით იგრძნო პოეტმა, რომ ხელისუფლება იშინაურებდა, მის მოთვინიერებას იწყებდა, ქამანდს ესროდა და მიზანმიმართულად ეპატიუებოდა ხელმწიფის ეკიპაჟში – მისი განსაკუთრებული ნიჭის სამართავად, პარტიული დოქტრინის ყმად, ამა ქვეყნის ძლიერთა პოლიტიკის სამსახურში ჩასაყენებლად.

ტერენტი გრანელი არ აპყვა დიდმპყრობელთა ხრიკს, თავისი პრინციპული პოზიცია არ დათმო და „ღამესთან“ დადგა, „როგორც ქანდაკება“. მან კარგად ამოიცნო პოეზიის რჩეულთა ნიჭზე მონადირე მიწიერი სამყაროს თავადნი, რომელთაც სურდათ ავტორიტეტული მხატვრული სიტყვით მომადლებულნი თავიანთი სატანისტური საქმიანობის მეხოტბედ ექციათ.

„...მიდის ჩემი გზა სწორი“, აცხადებდა გულმართალი ლირიკოსი და კარგად არჩევდა ამა სოფლად დროებით მოვლენილ ფეოდალთ და ზეციურ თავადს, მიწიურს და მარადიულს.

ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას კი არ მიესალმებოდა, დამოუკიდებლობის იდეებს ერთგულებდა და ყინულოვანი მონსტრის მიერ გამეფებულ სიბნელეს, „ღრუბლებს“ ებრძოდა, ფინიად სახელდებულ უკეთურთ უპირისპირდებოდა: „და ჩაქრა შექი თავისუფლების, სიბნელე ირგვლივ დაფენილია, ნელა მიდიან ღრუბლები ცისკენ, გარეთ ვიღაცას უყევს ფინია“.

პოეტი ამხელდა ეპოქის საძულველ კერპებს, მარქსიზმ–ლენინიზმის შხამით მოწამლულ აპოკალიფსურ ტირანთა ნაშიერებს და უხენაეს, მარადიულ არსებათა თანამგზავრად მიიჩნევდა თავს.

ეს უკვე იყო ბოიკოტი, მედროვეთაგან განდგომა.

იმ პერიოდში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ტერენტი გრანელის ლექსი, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა, პოეტის მაღალ გულისთქმას ავლენდა, მთლიანად უპირისპირდებოდა „ძღვეამოსილი სოციალიზმის“ მეხოტბეთა დოქტრინას და შეახსენებდა მხატვრული სიტყვის უმაღლეს მისიას – რწმენის, სიმართლის მსახურებას, ეროვნული იდეალების ერთგულებას: „ფიქრი გადადის შორეულ ხეზე, როგორც სისწრაფე და შენელება, აქ სხვები წერენ ქალის ფეხებზე, როცა მე ვუმზერ საშინელებას! ვფიქრობ, ეს ქალი როგორ ვიწამე, ვფიქრობ, ეს ქალი ჩემთვის მკვდარია, აქ სხვები წერენ მხოლოდ მიწაზე, როცა მე ვუმზერ პლანეტარიას“.

აქ მთლიანად უარყოფილია ტრაფარეტული ესთეტიკური კლიშეები და უმაღლესი პოეზიის საგნად ქცეულია „შორეული ხე“ (სადმართო სახელია) ზეცა, კოსმოსი, სულიერება, რწმენა, მხილებულია ცოდვილი მიწის საშინელებები.

ამავე დროს, ლექსი არ არის დროისგან გაქცევა, პირიქით, მასში არის ცდა ეპოქის გამრუდებულ ორიენტირების გასწორების.

ლექსში ნაჩვენებია თანადროულობის ხასიათი, სოციალიზმის დიქტატორული მესვეურნი, ირონიული დამოკიდებულება ვლინდება წითელ დროშასთან, ნამგალთან.

მარადიულად მიჩნეულია არა ეფემერული საბჭოთა წყობილება, რომლის ნგრევა–წარმავლობას იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსი გვამცნობს, არამედ „შორეული ალი“ (ცეცხლი–ღმერთის სიმბოლო), მარადისობა (ღმერთის), ნაწინასწარმეტყველებია უკეთურთა, სატანისეულთა წარდგომა ღვთაებრივი სასამართლოს წინაშე. უაზრო ხმაური, უნიჭოთა მიეთ–მოეთი, წითელი დროშის „მშვენეერება“, ნამგლის გაფეტიშება მარადისობის ძალით დაიფარება, ასეთია პოეტის აზრი: „ფიქრის ტრიალი ისევ მოშადეს, ისევ ხმაურის დადგა დროება, აქ სხვები წერენ მხოლოდ დროშაზე, როცა მე

ვუმზერ უსაზღვროებას. ჩნდება ფიქრები შორეულ აღზე, ვიცი, ეს გრძობა არ მოისპობა, აქ სხვები წერენ მხოლოდ ნამგაღზე, როცა მე ვუმზერ მარადისობას“.

ნამგალი და ურო სატანისტური ბოლშევიზმის იარაღებია, ნამგალი მოცელავს, ურო ანგრევს.

ამ ლექსით ტერენტი გრანელმა უცდომლად განჭვრიტა სამართლიანობის სახელით მოსული ტირანია, ძალაუფლებისმპყრობელნი და შავბნელი ხელისუფლებისთვის გახდა შავსიელი.

პოეტი ნეგატიურად აფასებდა ხალხის სახელით მოსულ სისხლიან პროვოკატორებს და აღექსანდრე სიგუას (პატრიოტს, შემდგომ პოლიტკატორდელს–ლ.ს.) ეუბნებოდა: „ჩემო საბა, შენ რა, ეს წყობილება გგონია? ესენი დამხვრეტელები არიან, დამხვრეტელები“ (აღ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე“, ცისფერი სიშორე, გვ. 414).

ტერენტი შემთხვევას არ უშვებდა, რომ არ გაეკენწლა სოციალიზმის ფალავნები, ანტიეროვნული ვაიპოლიტიკოსები, ერის გადაგვარების მოსურნე ღამურები, უბირი ტირანები. სერგო ორჯონიკიძეს „ლუდაედს“ ეძახდა, მის მიერ გადაგვარებულ ახალგაზრდებს – „უთვისტომოებს, კაცუნებს“ და გადაუგდებდა რა მათ თავიდან ორჯონიკიძის მსგავს ძაბრისმაგვარ ქუდებს, იტყოდა: „მაგრად უნდა იდგე, მაგრად! მძიმე ხვედრი ერგო ჩვენს ტანჯულ სამშობლოს. უფრო მძიმე გზაც გაუვლიათ ჩვენს წინაპრებს, ჩვენც უნდა გაუძლოთ“ (იქვე, 415-416).

ტერენტი კიცხავდა „ავადსახსენებელ“ ლევან ღოღობერიძეს, ხშირად ამბობდა, რომ „ამ გიენამ ქართველ თავადაზნაურთა და მოაზროვნე ინტელიგენციის სისხლი ბოლომდე დალია. „ავადსახსენებელთა“ რიგში პოეტი სერგო ორჯონიკიძეს, ლევან ღოღობერიძეს, 1924 წლის „შემოქმედთ“ გულისხმობდა და ამბობდა: „ესენი უცხო თესლები არიან ქართველებისთვის, ჩემო საშა! და რბილად რომ ვთქვათ, მათ უხნეო დედათა ნაშიერად მიიხნევა“ (იქვე)..

იმდროინდელ ცხოვრებას ტერენტი გრანელი ჯოჯოხეთს უწოდებდა („როგორც გალაკტიონი, კ. გამსახურდია).

თურმე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში ტერენტის ლექსი, რომელიც თავის არქივში შეუნახავს აღ. სიგუას: „დავდივარ მარტო ლანდივით, დარდის პერანგი მაცვია, ცხოვრება ჯოჯოხეთია, სიცოცხლე – დეკორაცია“ (იქვე, 407).

ტერენტის ლექსი „სულის ცეცხლი“ ზოგიერთებმა „წითელი საუკუნის“ ხოტბად გამოაცხადეს. იგი ასე იწყება: „შრომის სამეფო და ქარხნების ნელი გრიალი, ქალაქის ცეცხლი, დაისრული დროშა წითელი, ბნელ შუაღამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე, ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი“.

შალვა დადიანი ამ სტრიქონებზე დამყარებით ლექსში საბჭოთა სინამდვილის თანაგრძობას ხედავდა, მაგრამ ტერენტი გრანელი აღაშფოთა ასეთმა გაგებამ და ხაზგასმა დანარჩენ ორ სტროფზე გააკეთა. მართლაც, აშკარაა, რომ მასში ნახსენები სისხლის მდინარე, ბურუსი, ტყვიები, განსაცდელი, კვამლი, მღელვარება, შორეული რაინდების უმწეო შფოთი, სამარადისო მწუხარება და ეშაფოტი ვერაფრით ვერ იქნებოდა ჯოჯოხეთური სინამდვილისადმი პოეტის მხარდაჭერის სტიმული: „სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა, დამწვარ ტყვიების სურნელება და განსაცდელი, ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა, კრთის ნანგრევებზე აღმაფრენა, როგორც სანთელი. ქალაქის კვამლი, მღელვარება, ღამის ალები და შორეული რაინდების უმწეო შფოთი, სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების და ჩემი სული ამართული, ვით ეშაფოტი“.

„შორეული რაინდების უმწეო შფოთი“ ქვეყნის თავისუფლებისათვის ამარო შემართებაზე მიგვანიშნებს.

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ შთააგონა პოეტს თავისი ცნობილი წიგნი „მემენტო მორი“. სწორედ ამ სიტყვებით მიმართავდნენ გამარჯვებულ ტრიუმფატორებს ძველ რომში – „გახსოვდეთ სიკვდილი, თქვენც ხომ მისი შვევა ხართო“ (იქვე, 397).

1924 წლის ტრაგედიაში სტიმული მისცა თავისუფლებაწართმეულ საქართველოს შვილთა განსაკუთრებული ნიჭიერების გამოვლენას ახალი, გენიალური ნაწარმოებებით, ესენია: კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისის დიმილი“, (ჯოჯოხეთის სცენები, სატანისტური წითელი კირიპა, ჩრდილოეთისკენ გაფრენილი წითელი გველი ბოლშევიზმის ტრიუმფითა და აჯანყების დამარცხებით არის შთაგონებული), გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“, ტერენტი გრანელის „მემენტო-მორი“, გალაკტიონის პოემა „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, მისივე დემონების, სატანების, მეფისტოფელ-ლუციფერებისა და ბელზებელის თარეშის ამსახველი ლექსები.

აღ. სიგუა გვამცნობს: „საქართველოს თავს დატეხილი ამ დიდი ტრაგედიის „შემოქმედს“ იოსებ სტალინს მიმართავს პოეტი, რომლის ერთი სტროფი დღესაც შიშის ქრუანტელს გვეგვის: „იმპერატორო, შენ დიქტატორო, მძვინვარებ სისხლის კორიანტელით, მამის საფლავზე რად დაგავიწყდა, აგენტო თუნდაც ერთი სანთელი“ (იქვე, 398).

თავისუფლებადაკარგული, „მკვდარი საქართველო“ იყო ტერენტი გრანელის იერემია წინასწარმეტყველისებური გოდების მიზეზი.

1921 წლის 25 თებერვლის კატასტროფის შემზარავი მოვლენები აუსახავს პოეტს ლექსში 1921, რომლის ეპიგრაფია: „დახოცილებთან ერთად დაჭრილი იუნკრებიც დაუმარხავთ: „ახლა ეს ლექსი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“...

ეშმაკის ხელდასხმული, სატანისტა მოძღვარი და მართალი სიტყვის ნამდვილი სულთამხუთავი ლავრენტი ბერია ადრე „აღტაცებული“ იყო ტერენტის ნიჭით, ვიდრე პოეტი ქვეყნის მესვეურთა დამღუპველი პოლიტიკის მხილებას დაიწყებდა, მერე კი სისასტიკით, მუქარით შეცვალა „მემენტო მორის“ ავტორისადმი დამოკიდებულება, „ცივი და გამყივანი ხმით“ მიანიშნა თავის რისხვაზე მოუსყიდავ და გადაუბირებელ პიროვნებას.

ამ ფაქტით ყოფილა შთაგონებული ტერენტი გრანელის ლექსი, რომელშიც კარგად ჩანს მართალი პოეტის აზრი „მზრუნველ“ ხელისუფლებაზე: „ამ ხალხის ქება არ მიხარია, ეს ხალხი ჩემს სულს როგორ ექცევა? ჩემი ცხოვრება ქარიშხალია და ჩემი გული მიწას ეცემა. რომელი იგრძნობს შორეულ საგანს, რომელმა იგრძნო ეს ატირება. და მე ამნაირ ცხოვრებისაგან თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამცირებას“.

ტერენტი გრანელი შეუცდომლად გრძნობდა მისდამი ბერიას ინტერესის შორსმიმავალ მიზანს, მაგრამ იგი არ გატყდა, არ გაიწვრთნა და ამის გამო დაუნდობლად გაუსწორდნენ ციხით, დევნით, ცილისწამებით, ბოლოს კი გიჟის დიაგნოზი დაუსვეს და იძულებით მკურნალობას დაუქვემდებარეს.

ბერიამ და მისმა დამქაშებმა მოშურნე, ხელმოცარულ პოეტებთან ერთად, საბედისწერო როლი შეასრულეს ტერენტი გრანელის ცხოვრებაში.

და ბოლოს, როცა შეშლილად მონათლული, შერისხული პოეტი ფიზიკურად წავიდა ამ ქვეყნიდან, კიდევ ერთხელ გამოჩნდა პილატესავით ხელდაბანილი ბერია და ცდილობდა, მისი რეჟისორობით ჯვარცმული პიროვნების თაყვანისმცემლად გამოჩენილიყო.

იქნებ ეს იყო სისხლიანი ტირანის ერთგვარი მონანიება და სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ მის ხელებს ერის საამაყო შვილების ბევრი სისხლი ეცხო?

შალვა დადიანს ბერიასთვის უკითხავს, ტერენტი გრანელს თუ იცნობდითო. ბერიას უპასუხნია: „ტერენტი დიდებული პოეტი გახლდით, ბატონი შალვა“. შალვა დადიანს გულისტკივილით შეუნიშნავს: „კი, დიდებული პოეტი იყო ის ცხოვრებული... მაგრამ ცხოვრებას მან ვერ გაუგო და დამარცხდა, თავი დაიდუპა“.

ტერენტისადმი შალვას ამ „ბრალდების“ პასუხად ბერიას პათეტიკურად უთქვამს: „ცხოვრებას კი არა, ბატონო შალვა, თვით ცხოვრებამ ვერ გაუგო მას“.

ბერიას ასეთი აზრით გაოცება ვერ დაუფარავს შალვა დადიანს და აკვიატება ტერენტის ლექსი: „ქართველმა ხალხმა გიჟი მიწოდა, მზე მიდის გაღმა, ცის ხმა ისმოდა“ (იქვე, 441).

ტერენტი გრანელის ინტერესი რელიგიური თემებისადმი, საბჭოთა წყობილების „სიკეთითა“ შეფასება და რაინდული დაპირისპირება აპოკალიფსურ ტრიუმფატორებთან, ხალხის მტრების გაბედული მხილება, საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წლის აჯანყების ასახვა ნათელ პასუხს იძლევა იმაზე, თუ ვინ და როგორ ცდილობდა პოეტის ზეშთაგონებული სახის წაშლას, მისი შედეგების „პესიმისტურად“, „უიდეოდ“, „შავ წიგნად“ გამოაცხადებას.

ტერენტის „დიქტატორი იმპერატორის“, „ლუდაელების“, „გიენას“ გვერდით „ავი თვალის, უღირსი თვალის, პატარა მტრების, ყაჩაღი ქარების, კაენის, გველის სახეებიც იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ნიდაბი აეხადა საქვეყნო-სახელისუფლო ბოროტებისთვის.

უეჭველია, რომ „მემენტო მორის“ ავტორის იდეოლოგიამ კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, მ. ჯავახიშვილის, გ. ტაბიძის მხატვრულ ნააზრევთან ერთად, დიდი როლი შეასრულა ბოროტების იმპერიის თიხის საძირკვლების შერყევაში.

ტერენტი გრანელი ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა ჩვენს ლიტერატურასა და ცხოვრებაში სიყალბეს, კერპთმსახურებას. მისი ლექსებიდან მონაბერი წმინდა ჰაერი სულს აჯანსაღებდა სიკეთის, სათნოების ფლუიდებით, აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერებს აფრთხობდა.

ობიექტურად შეაფასა პოეტმა სამართლიანობის სახელით მოვლენილი ბოლშევიზმი, ქვეყნის ტირანი მესვეურები, უცდომლად იწინასწარმეტყველა მათი ეფემერულობა და მომავალი სამსჯავროს წინაშე მათი სიავეების გამო უცილობელი განკითხვა, რაც ზედმიწევნით ახდა კიდევც.

ღმერთისკენ მიბრუნების და საქართველოს დამოუკიდებლობის წინასწარმეტყველება ათეისტურ ეპოქაში ბევრმა მედროვემ მიჰყიდა ეშმაკს სული. ისინი არათუ არ ებრძოდნენ ბოროტებას, მასთან სისხლით სდებდნენ ხელშეკრულებას და შავის თეთრად წარმოჩენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რადგან ხელისუფლებისაგან ბოძებული ხალათით იყვნენ სტიმულირებულნი.

ტერენტი გრანელი ეპოქალური სიავის მხილებით არის ცნობილი. მისი ტრაგიზმის წყარო ღმერთის უარყოფა და ანტიქრისტეს აღზევება იყო. ეზოპეს ენით, დაშიფრული მეტყველებით მიგვანიშნებდა რწმენისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიაზე: „ეს ყვაილები ვინ აურიო, და ქარიშხალთან ვარდის რტოები, შორეული ყვაილები ხმებიან, გრიგალი არხევეს სულის მიმოზებს, ღუნავს ქარები ალვას, და მიკავია დამტკნარი ია, ახლოს არ დარჩა ვარდი არცერთი და გლოვა კრთოდა ბედის წყაროდან, ზამთრის ვარდები დაიმსხვრევა ბაღის კარებთან, გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს, შენთვის მზე ჩაქრა, შენთვის ქარია, და ღამის ჩრდილმა დღის შუქი მოსპო, ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, ღამე თანდათან შუქს იპარავდა, ახლა ეს შუქი აღარ ინთება, ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესღაც, ეს შორეული იმედიც ჩაქრა, იმედი არ ჩანს, ქარმა დარეკა, ისევ მიცქერის მთა გადამწვარი, დაღის დემონი მთვარის და ავი ბედისწერა, მიპყრობს იისფერ თვალის ასე უღონო მხერა, და ჩემი სანთელიც ჩაქრა, ეს ცა შიშველი ვინ მოგვიტანა, შავი წირვები ატირდება წითელ ნარმაში...“

ტერენტი გრანელი ებრძოდა საშინელ დროს, გრიგალებს, ღამესთან იდგა, როგორც ქანდაკება“, რწმენის, სიკეთის ფლუიდებს ავრცელებდა თავისი ლექსებით და არ ტოვებდა ღმერთთან შერიგების, ღაზარეს აღდგომის, „დიდი დღის“ (ღმერთი) მოვლინების, სიწმინდის ქართველი ერის გადარჩენის რწმენა: „მაგრამ ღაზარე აღდგება მკვდრეთით, აღდგება როგორც ღვთის სიყვარული“.

პოეტს აწამებდა ადამიანის განშორება ღმერთისგან, მაგრამ სჯეროდა მომავალში ადამიანის განწმენდა და უზენაესთან შერიგება: „... და სულის ღანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (ისევ დადგება სურნელი კვირის).

ღვთისმეტყველებაში „შერიგება“ რელიგიური შინაარსისა და იგულისხმება ადამიანის შერიგება ღმერთთან, ადამიანის მიბრუნება სარწმუნოებისკან, რასაც ბიბლიაში დიდი ადგილი უჭირავს.

მალაქია წინასწარმეტყველი საუბრობდა მამებისა და შვილების შერიგებაზე ღმერთთან (მალაქია წინასწარმეტყველი 3,24).

პავლე მოციქული შეგვახსენებს „შერიგების მსახურებას“ (II კორინთელთა, 5, 18),

„შერიგების სიტყვას“ (II კორინთელთა, 5, 19), ღმერთთან შერიგებას: „... ქრისტეს სახელით გთხოვთ: „შეურიგდით ღმერთს“ (II კორინთელთა, 5, 20).

ტერენტი გრანელის სული „ცისფერი ყვავილის“ (ღმერთის) სავანე იყო: „და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“ (შორეული ყვავილები).

სულის თვალთ ჩერებდა „წმინდა შარას, წმინდა ქვებს“ (შარა).

გზა, შარა საღვთო სახელია: „აჰა, გზა, იარეთ მასზე, როცა მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვევთ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 30,21).

ქვა ქრისტეს პარადიგმაა: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, ქვა დავდევნი სიონზე საძირკვლად, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვაკუთხედი, მასზე მინდობილი არ აჩქარდება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 28, 16).

პოეტმა იწინასწარმეტყველა ქართველი ხალხის მიბრუნება ქრისტიანობისკენ, რელიგიური გრძნობის მარადიულობა: „კაცი, ეს გრძნობა არ მოისპობა“ (პოეზია).

ტერენტი გრანელმა ზემოწვევით კარგად იცოდა ბიბლია და „დიდი ღღის“ დადგომის (ცოდვილთა განკითხვისა და მართალთა გაბრწყინების) იმედით ცხოვრობდა: „მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი“.

ამავე დროს, მოსვენებას უკარგავდა ტოტალური კატაკლიზმები, პლანეტარული მასშტაბის სულიერი ავდრის მოლოდინი: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“.

აპოკალიფსის საიდუმლოებაში ჩახედული, მეექვსე ბეჭდის მოხსნასა და კაცობრიობის გარდუვალ ურუა-ტკივილებსაც ხედავდა: „მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიჰქრის“.

უცდომელი ინტუიციით გამორჩეულმა, რამდენიმე ათეული წლით ადრე განჭვრიტა ქართველი ერის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება. იგი თვალეგაბრწყინებული“ ეუბნებოდა ალ. სიგუას: ესენი (გულისხმობდა სერგო ორჯონიკიძეს, ლევან ლოლობერიძეს და მათ მიმდევრებს– ლ.ს.) საქართველოს ვერ დააჩოქებენ. მოვა ჩვენი დროც და საქართველო ისევ თავისუფალი ეიქნება“ (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, „ცისფერი სიშორე“, 1998, გვ. 416).

ტიციან ტაბიძის გაბედული სტრიქონები

1915 წელს ქართულ პოეტურ სინამდვილეს სიახლის პაროლით მოეკლინა “ცისფერყანწველთა” ლიტერატურული გაერთიანება. მათი მიზანი იყო ქართული პოეზიის განახლება “მსოფლიო რადიუსით”.

მეოცე საუკუნის ქართული რენესანსის კარიბჭესთან “ცისფერყანწველები” იდგნენ, ხოლო ამ მსოფლიო ისტორიული მისიის სრულყოფილი შესრულება წილად ხვდა გალაკტიონ ტაბიძეს.

ცნობილია, რომ “ქართველ სიმბოლისტთა დაჯგუფებამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ეროვნული პოეტური კულტურის განვითარების საქმეში”.

მაგრამ “განახლების პროცესში მონაწილე“ ცისფერყანწელებს არ შეიძლებოდა განახლების მედროშის პრეტენზია ჰქონოდათ. ამ პროცესს სათავეში ედგა გალაკტიონ ტაბიძე. იგი ქრონოლოგიურადაც წინ უსწრებდა “ცისფერყანწელებს”. მათი მანიფესტები, დეკლარაციები გალაკტიონ ტაბიძის “რტ პოეტიკე“-ს მოსდევს.

ტიციან ტაბიძე ქართველ სიმბოლისტთა გაერთიანების ერთ-ერთი თავკაცი იყო.

სიმბოლისტობის პერიოდის ზოგ მის დებულებას არც დღეს დაუკარგავს აქტუალურობა. მან გააკეთა ასეთი საგულისხმო განაცხადი: “მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს მაღარმე და რუსთაველი”, რაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების სინთეზირებას გულისხმობდა.

ეს თეორიული თვალსაზრისი კი პოეზიაში ასე გამოხატა: “გაფიხის ვარდი მე პრუდონის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავილებს” (წიგნიდან “ქაღდვას ქალაქები”).

ტიციანის სახელს უკავშირდება არანაკლებ საყურადღებო აზრი, რომ ყველა დიდი პოეტი ყოველთვის იყო ხელისუფლების ოპოზიცია და მას მოაქვს დანტეს, ბაირონის, შელის, შილერის, გოეთეს, შექსპირის, სერვანტესის, ბოდღერის, ვოლტერის, გრიბოედოვის, რადიშჩევის, პუშკინის, რილევის, ჩაადაევის, ლერმონტოვის, ბლოკის, მაიაკოვსკის, ქართველი მეფე პოეტების (ისინი თავიანთი თავის ოპოზიციად წარმოაჩინა), ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის მაგალითები (რევოლუცია და პოეტები).

შესანიშნავი ლექსების ავტორი, ნიჭიერი პროზაიკოსი, სიმბოლიზმის დიდი თეორეტიკოსი, ევროპული მასშტაბის მოაზროვნე და უცდომელი გამომგონების მქონე კრიტიკოსი, მოვლენათა წინასწარმეტყველური განჭვრეტის უნარით მომადლებული, ასეთად დარჩა ტიციან ტაბიძის სახელი შთამომავლობაში.

პოეტს ცხოვრება მოუხდა სატანური ბოდღერების ეპოქაში, როცა იდევნებოდა რწმენა, სულიერება, ეროვნულობა, როცა ხელისუფლებამ თავისუფალ მოაზროვნეთა რეპრესირებაში ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.

შესანიშნავი ლირიკულ-პატრიოტული შედეგების ავტორი ტრაგიკული მოვლენების განჭვრეტით, ავბედითი მომავლის წინათგონობითაც გამოირჩა.

ტიციან ტაბიძის განსაკუთრებული ინტუიცია შეუმჩნეველი არ დარჩენია რუს სიმბოლისტ პოეტს – ანდრეი ბელის: “ამ ქართველმა (ტიციან ტაბიძემ- ლ.ს.) ერთ დღეში ამოიციო ყველაფერი, მიმიხვდა გულისნადებს ის თურმე ყველაფერს გრძნობს, ყველაფერს ხედავს”.

“ის ნაღდი “აღმოსავლეთია”, მაგრამ დიდებული “აღმოსავლეთი”, რომლისგანაც ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ”.

ხოლო ცნობილი რუსი მწერალი ბორის პასტერნაკი წერდა ტიციანის მეუღლეს ნინო ტაბიძეს: “ტიციანი ბურჯია ჩემი ცხოვრებისა, ჩემი ღვთაებაა ბერძნული და მითოლოგიური გაგებით”.

პასტერნაკი აღნიშნავდა სიკვდილის წინაგრძობაზე რომელიც ტიციანის ლექსებში ყველგან შეუმჩნევია.

ქართველი პოეტის “ჯადოსნურ ნათელხილვაზე”, “ქარიშხლიან, ბუნდოვან წინათგრძობაზე” ამახვილებდა ყურადღებას გურამ ასათიანი.

ტიციანის და პაოლო იაშვილის პოეზიის წინასწარმეტყველურ მუხტზე მიაწინებდა აკაკი ბაქრაძე.

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი მიუთითებს ტიციან ტაბიძის “შეუმცდარ გუმანზე”, სიკვდილის ავ წინათგრძობაზე, მოსალოდნელი ტრაგედიის წინასწარ განცდაზე, ავი წინათგრძობის შემადრწუნებელ ხმებზე.

მწერალი და მეცნიერი რევაზ მიშველაძე ხაზს უსვამს პოეტის “მაგიურ წინათგრძნობას მოსალოდნელი რეპრესიების შესახებ, რაც იყო მიზეზი “გამოთხოვების რეჟიუმის” შექმნისა”.

პროფესორი სოსო სიგუა შენიშნავს: “ცისფერყანწელები” სიკვდილის მომღერლები იყვნენ და განგებამ ესთეტიური ქესტი რეალობად უქციათ, თუმცა საამისო წინათგრძნობაც გააჩნდათ: “მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ალბათ ჩვენც სადღაც ჩაგვაძაღლებენ”, წერდა ტიციან ტაბიძე.

პოეტი ებრძოდა შაბლონს, ეპიგონურ პოეზიას, მაგრამ კარგად ხედავდა, რომ სწორი გეზით არც ქვეყანა მიდიოდა და არც პოეზია, ხელისუფლებისაგან დაქირავებული პროლეტარული კულტურის წარმომადგენლები შორს იყვნენ ჭეშმარიტებისაგან. 1924 წელს დაწერა ტიციან ტაბიძემ: “ყველაფერი წინ მიდის, პოეზიის გარდა – იწყება ლექსის უკუღმა ელექტრიფიკაცია” (უქმური კვირა).

პოეტური დოქტრინის მსახური ლექსი ხალხის, ქვეყნის, სულიერების, რწმენის მსახური არ იყო, რამაც ათქმევინა ტიციანს: “ლექსს დღეს თან ახლავს სიმამაძაღლე” (ორპირი).

არც ეს ფრაზა დაწერილა შემთხვევით: “ლექსს რომ ხლებია თან საწამლაგი, ეს არ ყოფილა დასამალავი” (ეს არ ყოფილა დასამალავი).

პოეტი აშკარად ილაშქრებდა დაობებული ლექსის წინააღმდეგ: “ჩვენ უფრო უარესი დრო მოგვეწია, რადგან ჩვენს თვალწინ ლექსიც კი დაობდა” (ვარ უსათუოდ ამის მოვალე).

თვით პოეტის გული კი უცდომლად იკვლევდა “ლექსის ამინდებს” (არცერთი სიტყვა არ დამცდენია).

თავისუფალი სიტყვის ალაგმვის, პარტიული დოქტრინის გაფეტიშების პერიოდში ტიციან ტაბიძის ლექსისი ლირიკული გმირი გულისტკივილით გვამცნობდა თავის მდგომარეობას: “ ვარ გათელილი ლექის ნაბადი, ყველა სახსარი მაქვს დაღეწილი, მაგრამ ვაჟკაცმა მხოლოდ გაბედე და მეც ვაჟკაცის დამიდე წილი” (მეწყერი მეწყერს).

სულის ჩაკვლაზე, უღმერთობაზე, ბოროტების, ძალმომრეობის ბატონობაზე წუხდა გრიგოლ რობაქიძე “ჩაკლულ სულში”.

სულის მოღუნვა, სულის არევა იყო სასიკვდილო რეჟიუმის შექმნის მიზეზი ტიციან ტაბიძის პოეზიაში: “მე თქვენზე ადრე ვეკითხები ჩემს საკუთარ თავს – რად მოიღუნა ასე სული, ან რამ არია ? სიყრმიდან ვისმენ განუწყვეტლივ მე ერთ რეჟიუმს” (სატურნი და მაღარია).

“ რეჟიუმით ისმის ახლა ყველა არია”, გვამცნობდა ლექსში “მღვდელი და მაღარია”.

სულის, რწმენის სიკვდილის ეპოქაში ბუნებრივი იყო კუბოს, სიკვდილის ქარის ხილვები, რეჟიუმის აღვლენა: “ჩემი სულიც ხომ რუხ დილაზე მოკვდა ობოლი, წარსულ იმედთა ეკუბოვა მიმქრალი ბოლი სიკვდილის ქარად მე იგი ხმა წამომიქროლებს, რეჟიუმია ეს ხომ ჩემი, ვინ დაიჯერებს” (მასკარადში).

და ისევ სულის გამძლეობის პრობლემა ხდებოდა აქტუალური: “მოიღუნება ჩემი სული – წნელი ღაფანის” (ორპირის სეზონი).

პოეტის სულსაც კუზით ხედავდა, რადგან 1918 წელს აჭარაზე თურქეთის შეტევამ, ბათუმის დაკარგვის შიშმა სისხლიანი ცრემლი აწვიმა აპრილში: ”ბათუმი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი, ატმის ყვავილით სისხლიანი ტირის აპრილი, პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა” (ორი აპრილი).

სიმართლის, სულის სატკივრის გამჟღავნების აკრძალვა ყელის გამოღადრვის ტოლფასი ხდებოდა: ”ტრიალებს ჩემში რაღაც სათქმელი და გაღადრული მიშრება ყრონტი” (ექსინის პონტი).

სიმწრის სიმღერა, სიმღერით სიკვდილის იდეა გალაკტიონის “მთაწმინდის მთვარეში” გამჟღავნდა და ტიცვიან ტაბიძე, რომელსაც ესმოდა გურიის მთების სიმღერა, სიმღერით მოელოდა აღსასრულს, ამასთან, გულზე ტყვიის დახლის მოლოდინიც არ ტოვებდა, რაც აუხდა კიდევ: ” ატას სალამურს გააქვს გუგუნი, ერთად ამღერდნენ გურიის მთები, თუ ამ სიმღერით სიკვდილს მარგუნებ, არც სიკვდილისთვის დაგემდურები. ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი სინდისით აღარ მოეთხოვება, დამადეთ გულზე ცამეტი ტყვია, მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას” (რია-რია).

თითქოს წინასწარ გრძნობდა სიცოცხლის დღეების, პოეტური გზის შემოკლებას: ”ვინ გადაფისა ასე გული მშრალი ბაღდამით და არ გვაცალა შთაგონების დავაჟუაცება” (ილაიალი).

პოეტი უდაბნოდ აღიქვამდა ცხოვრებას, ადამიანებს – კენტავრებად (უაბჯარონი).

უდაბნოდ სახელდებულ საქართველოში ცხოვრობდა პოეტი, “ცეცხლის გრიგალები” ტრიალებდა მის სულში:” ყველა ცეცხლების დატრიალდა ჩემში გრიგალი, უდაბნო არის საქართველო მონომანისთვის” (მღვდელი და მალარია კუბოში).

უდაბნოდ აღიქვამდა სამშობლოს გალაკტიონი: “ჩემს სამშობლოში მე მოვლე მხოლოდ უდაბნო, ლურჯად ნახვერდები” (თოვლი).

“უდაბნო, კლდოვანი ლანდშაფტი განასახიერებს სააქაოს ცოდვილ ყოფას”.

ავის მაცნედ ევლინებოდნენ ბუს, ტურას, კენტავრის ნიღბებად გარდასახული თანამედროვენი, “ნაღველი შავ თოვლად თოვდა” (პრინცი მაგოგი).

გალაკტიონს “შავ თოვლად” ათოვდა “ჭვარტლი და ბურუსი თავანის” (შემოდგომა უმანკო ჩარხების მამათა სავანეში).

ტიციანმა თავის პოეტურ ძმას – პაოლო იაშვილს უძღვნა ლექსი რომელშიც პოეზიით დაღუპვა იწინასწარმეტყველა: “ საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით ვიცი, გავტყდებით და არასდროს მოვიღუნებით. ძველ პოეზიას კადნიერად ვახურავთ ჩაღმას” (პაოლო იაშვილს).

“სილაჟვარდეში” გალაკტიონის ღირიკული გმირი უზიარებლად სიკვდილს მოელოდა და ღვთისმშობელს მიმართავდა: “განსასვენებელ ზიარებაზე ჩემთან არ მოვა შენი ხსენება”.

ტიციან ტაბიძეს ის აწუხებდა, რომ თორმეტი მღვდლისაგან გასუდრული მამისგან განსხვავებით, ერთი მღვდლისგანაც არ ეღირსებოდა წესის აგება, მაგრამ ის ენუგეშებოდა, რომ ღმერთი სამიწედ არ გაიმეტებდა მის წმინდა სულს: “თორმეტმა მღვდელმა მამა გასუდრეს, მე ერთი მღვდელიც კი არ ამიგებს წესს და ვმადლობ უფალს, ჩემი სული მას აბარია, მან ერთმა იცის, რომ არ იყო იგი სამიწე” (სეზონის ფალაგანი).

სასაფლაოს, კუბოს მოღანდებას, ზარნაშოს, აფთრის ხმას, “შავი ნაღველის შავ ქარს” ღვთისმშობლის მუდარა ენაცვლებოდა, რათა ზეციურ დედას ემცნო მომავალი: “დღესაც საკუთარს მივსდევთ ჩვენ კუბოს, სასაფლაოს გზა რად არ ილევა!.. სტირის ზარნაშო ჰკივის აფთარი, შავი ნაღველის გეცემს შავი ქარი მადონავ, სატრფოვ სად დავისვენებთ, სად დავაწყობთ ძვლებს, გემუდარებით – გვითხარი, დედავ !” (თეთრი სიზმარი).

მაცხოვრის მავედრებელი წინაპრების პატრონი ძველ წმინდა აღთქმებს არ ივიწყებდა და მაინც სატანისეულთა მიერ უარყოფილ ღმერთს ვევედრებოდა: “მე დიდი მყავდა წინამორბედი, წინამორბედი მაცხოვარს ჰგავდა. მე ძველი მახსოვს აღთქმები – წმინდა და დავიწყებულ ღმერთს ვევედრები” (ბალაგანის მეფე).

ათვისტურ ეპოქაში “ცისფერყანწელი” ძმები მოვლენილნი იყვნენ ქრისტეს მახარობლებად: “ახალი ქრისტეს ოთხი დავრჩით მახარობლად – პაოლო, გრიგოლ, ვალერიან, მე – იოანე (დროშა ქიმერიელთა).

მათი იდეალი იყო “ძღვევის თავადი” – ქრისტე (ჩემი სიმღერა).

ბოლშევიკური დროის თანამდევნი იყო უღმერთობა, აშკარა გახდა დაობლებული სეგტიცხოვლის ტირილი, ღვთისმშობლის დახვრეტილი, ცრემლებით სველი თვალი.

სულში კი სიონის ზარი რეკავდა, ალავერდის წმინდა სანთელი ენთო, პოეტს ჩაესმოდა ომში მიმავალ სამას ხევსურის საყვირების კორიანტელი, არ ასვენებდა დედოფლის დაშანთული სხეული, ქართლს მისეული მონგოლების ხილვა, ბატონიშვილ ალექსანდრეს სევდა, წიწამურში გასროლილი ტყვიის წივილი

ეს სრულიად შეუთავსებელი იყო სატანური ეპოქის ხოტბასთან, რასაც მოითხოვდა ხელისუფლება და პოეტი აცხადებდა: “ვინ გააჩერებს ამ ხმების გრაილს – ამდენი ძვლები რად დამიგროვეთ, მე თუ მომთხოვდით სიმღერას ახალს, მე თუ გინდოდით თანამედროვედ” (ჩააქრეთ სულში სიონის ზარი).

ტიციან ტაბიძის ლექსიდან მოისმის დასაკლავი ხბოს ბლავილი, მოჩანს ეშაფოტი, ალა-მაჰმად-ხანის აჩრდილი და ასე შეჰყავს პოეტს მკითხველი შავბნელი ეპოქის გაუძლის სინამდვილეში: “დასაკლავ ხბოს ხმით მინდა ვიბლავლო, რომ ეშაფოტზე მეც დამარწიეს და ხვდება სული ალა-მაჰმად-ხანს, თბილისს რომ სცემდა მრისხანე ტორებს” (პოემა-ჩადატარ).

იალბუზი და მყინვარი ეშაფოტის ბოძებად ეჩვენებოდა, ევლინებოდა დესპოტი მტრების, მურვან-ყრუს სახეები, რომლებიც გაძარცულ კვართს ჰპოტნიდნენ ქვეყნის გაღავანში ძვლებს ჭვრეტდა, ეროვნული გმირის კახაბერის აგასფერად გარდასახვას ტიროდა: “ეს არ არის სიმღერა ეს არც ლექსია ჩემს წინ იყურებიან: იალბუზი და მყინვარი, როგორც ორი ბოძი – ერთი ეშაფოტის. მურვან ყრუ და ყველა დესპოტი მძინვარე გაძარცულ კვართს გრიგალივით ჰპოტნის ამ ქვეყანას ძვლებისგან აქვს გაღავანი. კახაბერი გახდა აგასფერი” (ეს არ არის სიმღერა).

“აგასფერი” არის მარადიული ურია, ებრაული ლეგენდის გმირი, შემდეგ სახარების ლეგენდის ცნობილი პერსონაჟი, იერუსალიმელი ხარაზი, რომელმაც გოლგოთის გზაზე მიმავალი ქრისტე დასასვენებლად თავის ქოხთან არ გააჩერა, გააგდო, დაარტყა კიდევ თავხედურად და უთხრა: “წადი, იესო, იარე სასიკვდილოდ! ქრისტემ მიუგო: “მე წავალ, მაგრამ შენ იცოცხლებ ჩემს დაბრუნებამდე (დამელოდები). მას შემდეგ აგასფერი განწირულია, სამუდამოდ უსახლკაროდ დაეხეტება”.

პოეტს აღაშფოთებდა თანამედროვეთა საბედისწერო ფერისცვალება, მტრედად მოვლენილთა სვავის სახეში გაცხადება, “სხვა ქარიშხლების” დრო: “მტრედიც გადაიქცა ახლა სვავად, სხვა ქარიშხლების მოდიან დრონი” (დასაბამიდან).

შემთხვევითი არ იყო ფიქრი განკითხვაზე, წიწამურის ტრაგედიაზე, მაჩაბლის ცხედრის მოლანდება: “სამშობლოში მხოლოდ ბეწვის ხიდს, ორპირის ცეცხლს” ჭვრეტდა “ორპირის ოქროპირი” და მოგვიწოდებდა, მაშინ გაგვესხენებინა მისი ტრაქტატი: “ყველას გაასწრებს სააკაძის ხმალი ნაფერი, თავის განწირვის ამ განკითხვას ვინ დაემალოს? კიდევ ამოვა წიწამურზე ორქიდეა, მტკვარი ამოიტანს მაჩაბლის გვამს. თუ საქართველო ბეწვის ხიდია, ბევრ სხვა გენიოსს ის ცეცხლით დასწავს ამას წერს ნაბოლარა პოეტების, რომელსაც დაელია ლექსის არაქათი. როცა ორპირის ცეცხლი მოგედებათ, მაშინ გაიხსენეთ ეს ჩემი ტრაქტატი”. (ეს არ არის სიმღერა).

გალაკტიონ ტაბიძეს სატანური ძალა – “მხეცი” მოუწოდებდა თვითმკვლელობისკენ, სატანებით, ცეცხლის ენებით, საწამლავეებით, ჯოჯოხეთური ალით და განადგურებით გამორჩეული დრო აწამებდა (არ არის იგი იმდენად ტკბილი).

თვითმკვლელობის დემონი სდევდა საქართველოში ტიციან ტაბიძეს, “ცისფერი ყანწების” ორდენის რაინდს ცხოვრება შხამით უვსებდა ყანწებს, საწამლავს აძალებდა და მორგისკენ უბიძგებდა: “მუხრანის ველზე დასახრჩობად კიდევ დავდგებით, საქართველოში, ცხოვრება ხომ თვითმკვლელობაა ჩვენი ორდენი პოეტების შხამის

ყანწებით. თავის მკვლევლობის თავზე დაგვფრენს იგი დემონი. მე ვხედავ იმ მორგს, მოწამლული სადაც დაგწებით” (ნინა მაყაშიელს).

ნიკოლოზ ბარათაშვილმა იწინასწარმეტყველა თავისი ტრაგიკული სიკვდილი, სატრფოს გარეშე, უჭირისუფლო გასვენება (“მერანი”, “ცისა ფერს”).

ტიციან ტაბიძეს საფლავზე, ძვლებზე, სატრფოს ცრემლების გარეშე მიცვალებზე ფიქრისას, ბუნებრივია, თავისი დიდი პოეტური წინაპარი ნიკოლოზ ბარათაშვილი ახსენებოდა: “ ბარათაშვილი არაგვზე სვამდა, მე კი დღეს მახრჩობს “ქიმერიონი”. მტრედიც გადაიქცა ახლა სვავადა, სხვა ქარიშხლების მოდიან დრონი. რა საჭიროა სატრფოს ცრემლები, არც ქარს ვაწუხებ საფლავის თხრისთვის. მოისვენებენ ისედაც ძვლები, თუ კრემატორი აღირსეს თბილისს” (დასაბამიდან).

ეს წინათგრძნობაც აუხდა. ცხოვრებაში ნაწამებს, უსაფლავობაც დაუბედა.

“ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები” – ასე უკეთებდა აქცენტირებას ეპოქის მოვლენებზე გალაკტიონი ლექსში “მზეო თიბათვისა”.

ტიციან ტაბიძის ლექსში გვხვარავს “სისხლის ტბორი”, ზღვად დაგუბებული სისხლის ნიაღვარი, შხამი, თვით პოეტი კი “ყელწაგდებულ გედს” დამსგვსვებია, უკანასკნელ სიმღერაში რომ სურს ჩაატოს მთელი ეპოქის სატკივარი: “ბაღდამიანი ეს სისხლის ტბორი ხმალით თუ არა, სიტყვით გაცურე. საბედისწეროდ ვიბრძვიტ ჩვენ ორნი და ბრძოლაც უნდა აქ ვაჟკაცურად. ზღვა იყო მშვიდი და მეორე ზღვად გაქონდა გული სისხლის ნიაღვარს, ეღირსოს მაინც ერთხელ მორეცხვა ამ გამოურწყავ შხამის იარას ? ერთი სიტყვა აქვს ყელწაგდებულ გედს, მე ვუცდი ამ ხმას – გულში ამოხდეს” (გვიანი დოდი).

პოეტ გედს სცემდნენ შუბლსა და საფეთქელზე, მაგრამ სჯეროდა გულიდან ამოჭრილი ლექსის ატომის სიცოცხლისუნარიანობის: “ყელწაგდებული იმღერის გედი, პირდაპირ სცემენ შუბლს და საფეთქელს. ხოლოდ იცოცხლებს ლექსის ატომით, რაც პოეტის გულს დაღად ამოჭრეს” (სკვითური ელეგია).

ლექსში “თბილისი” პოეტი-გედი “ყელწაჭრილი” და ცოცხალ-მკვდარია, მისი სულის ორეული – მიმინო “ხახამშრალია”, გული – “სისხლის ლექსით” სნეული, სასიკვდილო აგონიით სავსეს: “მეც მინდა გული სისხლის ლექსად შემოგალაქო და თუ შენ ახლა პოეტისაგან მოგესმის შესხმა, ეს გედი მღერის – ყელწაჭრილი და ცოცხალ-მკვდარი. მე ვარ მიმინო, ხახამშრალი და კაპოეტი, მე ვარ თბილისის აგონიით მკვდარი პოეტი”.

ლექსი დაწერილია 1923 წელს.

“ყელწაჭრილი და ცოცხალ-მკვდარი გედის” პარალელურად, ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში პოეტის სიმბოლოდ გვხვდება ძალზე მიგნებული სახე “ქვებზე გაჩენილი” და ლაყუნებახეული კალმახისა, ხოლო აღსასრულის მაცნეა შემართული ჩახმახი. ეს იყო მეფისტიფელის საუკუნეში მართალი სიტყვის საფასური და, პოტიც, ათასებივით, “თვითმკვლევლობის იავნანურს” ტოვებდა დროის ბრალდებად: “გაჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყუნები, შემართულია ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები! ასე კვდებოდა ალბათ ათასი და მოწმედ ჰყავდათ ეს ანანური. ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი და თვითმკვლევლობის იავნანური” (ანანურთან).

თვითმკვლევლობის მოტივი ერთ-ერთი უმთავრესია ცრემლით, ცეცლით, სისხლით, “აზიური დალატით” გამორჩეული ეპოქის შვილისთვის: “უბრალოდ ვკვდებით მეარღნეები და პოეტები, მაგრამ ჩვენც ალბათ თავის მოკვლაც გვკვატება” (მეარღნეები და პოეტები).

ტიციან ტაბიძის პოეზიაში ვლინდებოდა არა ლოკალური, არამედ გლობალური სატკივარი. ის პოეზიაში დაღვრილი თერგის წყალივით აღიდებული ცრემლი საყოველთაო, ეპოქალური უბედურებით, სახელისუფლო უსამართლობით გამოწვეული ცრემლია: “ღვას ლანქერების კორიანტელი, მთა მთას მისდევს და კლდეებს აწყდება,

რომ იყოს თერგი ორი ამდენი, თვალებს ცრემლებად ვეღარ გაწვდება” (რომ იყოს თერგი ორი ამდენი).

სხვაგანაც ისევ “ცრემლების თერგია” პოეტის ხვედრი, ჩამოქცეულ ცასთან ერთად “ წამექცა თავზე ცა გარღვეული და ცაზე კიდევ – სხვა მყინვარის ცა, და დარიალით გადარეული თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს” (მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე).

ერთ ლექსში “ცრემლების თერგს” ენაცვლება “ცრემლების არაგვი”: “დაბრუნდებიან კორიანტელად დაგუბებული ნიადვარები. შავ არაგვსა და თეთრსა არაგვს ჩემი ცრემლების არაგვი ერთვის” (დიდხანს ეძინა მყინვარს ტიტველი).

ცეცხლი და ცრემლი იყო სიტყვის მსახურის ხვედრი და სიკეთის, თანაგრძნობის დეფიციტით გამორჩეულ დროში მხოლოდ მყინვარი და იალბუზი ესახებოდა მესაიდუმლედ: “შორიდან ვუმზერ მყინვარს, იალბუზს, ამ ორმა დევმა მხოლოდ იციან პოეტის გული რა ცეცხლით მიღუღს და რაც ატირებს საწყალ ტიცინას” (რა მინდა მე აქ).

ტოტალური უბედურების მოლოდინით იყო პოეტი გათანგული: “ყველას გადაგვიტანს სიკვდილი მალე, ასე დატრიალდა ბოროტი საქანელა” (ვარ უსათუოდ ამის მოვალე).

ჯერ კიდევ 1916 წელს გარს ეხვია გამცემთა ურდო, ამიტომ ამბობდა ლიტურგიას და ქვეყანას პანაშვიდს უხდიდა: “ მე მახეზლებენ, რომ მხედავენ აქამდის მშვიდს. და თუ ვეღარ ვთქვი ლიტურგია მე თავის თავზე, ქვეყანას მაინც გადვუხდი ერთხელ პანაშვიდს” (მაგი წინაპარი).

შავნაბადას ტიტველ მთასავით უპოვარს, ცეცხლის საკირეში ჩაგდებულივით უტიროდა გული: “რა მაბადია – ან რა მებადა, მე ვარ ტიტველი მთა შავნაბადა, მაგრამ გული რომ მაინც მომტირის, თითქოს ჩააგდეს ცეცხლის საკირეს” (თბილისის ღამე).

გულს უფლეთდა საქართველოს წარსულის ტრაგიკული ფურცლები, მარაბადასა და კრწანისში უშედეგოდ დაღვრილი სისხლი, ყველა ლეკი და ყველა ურჯულო, კუბოსავით დაცხრილული ნარიყალა (სოღანლულიდან).

ტიციან ტაბიძის სატიკივარი თავისუფლებადაკარგული, რუსეთის მიერ ხელმეორედ დაპყრობილი საქართველო იყო, უდაბნოდ, სასაფლაოდ ქცეული სამშობლო: “საქართველოთი ვინ არ დამწვარა, ან ვინ არ სტირის საქართველოზე, ბევრის სიცოცხლე მან გაამწარა და ბევრიც დავრჩით სასაფლაოზე”, წერდა 1925 წელს (თბილისიდან დედას).

პოეტის იდეალი იყო მტრისგან, დამპყრობლისგან მოუხელთებელი და დაუმორჩილებელი ალექსანდრე ბატონიშვილი: “ამ საშინელ და უიღბლო ღამეს მე მრჩება მხოლოდ ერთი ანდერძი, რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი ბატონიშვილის ალექსანდრესი” (პოემიდან ჩაღათარ). ლექსი დაწერილია 1925 წელს.

და როცა თავისი პოეტური მომავლის რწმენას გამოხატავდა, “ურჩი მიურიდები”, შამილი, ალექსანდრე ბატონიშვილი – ეს თავისუფლებისმოყვარე რაინდები იყო მისი საფიცარი: “ და როგორც ერთი ურჩი მიურიდი ვფიცავ საყვარელ ვაჟკაცთა წვერებს, შამილის ფაფარს და თეთრ ჭადარას, ალექსანდრეს წვერს დროშად ნაკერებს, რომ მე დავტოვებ პოეტის სახელს თუ ვჟაკაცობას თქვენსას ვერ ვამხელ” (პოემიდან ჩაღათარ).

პოეტს არ ასვენებდნენ, უმიზეზოდ კბენდნენ სულით კაცუნები, ბუხები: “მე არ მაცხია მონგოლის თაფლი და ხელგაკრული არ ვზივარ მზეზე, მაგრამ ბუხები, რომ ვერ დაითვლი, კბენენ ჩემს სხეულს სულ უმიზეზოდ” (თამუნა წერეთელს).

ცხოვრებაზე დაკვირვება ჯერ კიდევ 1926 წელს არწმუნებდა, რომ მოკლდებოდა მისი დღეების რიცხვი: “მე ასე გიწერ შვილო, ორ აპრილს, არ ვიცი კიდევ რამდენი დამრჩა” (ტიციან ტაბიძე).

გალაკტიონი გვამცნობდა, რომ ის ცხოვრობდა “მეფისტოფელის საუკუნეში”, მას აღაშფოთებდა “სამშობლო შავი ლიუციფერის”, “ქვეყანა ბნელი დემონებისა” (ბრმა ცალი თვალით).

ტიციანის თანამდევნი გამხდარიყო დემონი, სატანური ქვეყანა-გიგანტი, შემოქმედის კისერს რკინის ბაწრით რომ ეპარებოდა, მხოლოდ უფსკრულები, ხრამების ფსკერი ისახებოდა უდაბნოდ სახელდებულ სამშობლოში და ენატრებოდა ვეფხვთან შერკინებული მწირის მამაცობა, თავის ტრაგიკულ აღსასრულს წინასწარ ჭვრეტდა, მაგრამ დამნაშავეს სულგრძელად პატიობდა ყველაფერს და ბოროტმოქმედის გადამისამართებას მიმართავდა, თითქოს ყაჩაღების ნახელავი იყო მისი სიცოცხლის ხელყოფა.

“და გადავეყურებ აღმას უფსკრულებს, კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს, ვხედავ გიგანტის შოლტის მუსკულებს და რკინის ბაწარს, ყელზე რომ მომდებს მაგრამ მიტაცებს ქარიშხალივით ამ თვალუწვდენი ხრამების ფსკერი მინდა, რომ ვიყო მწირი გულადი, საშინელ ღამეს ვეფხვი რომ დაბდღვნა. მინდა მოვირთხნა ამ შარაგზაზე, მინდა გავიხსნა გული ალალი, მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე, შენ ჩემს სიკვდილში არ გიდეგვს ბრალი” (მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე).

1926 წელს, როცა პოეტები ერთმანეთს ეცილებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ერთგულების დამტკიცებაში, ტიციან ტაბიძემ სახალხოდ წაიკითხა ლექსი, მიძღვნილი ცნობილი რუსი პოეტის – სერგეი ესენინისადმი, რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ტიციან ტაბიძის სტრიქონებში დაფიქსირებულია პოეტთა უსიხარულო ცხოვრება, ცრემლი და სირცხვილი, რაც გადარჩენასაც აუფასურებდა: “განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი, რომ გადარჩენა არ გხარებია?... ვინ დაითვალოს ცრემლის კურცხალი, სირცხვილი, რაც გულს გაჰკარებია!...”

თუ ზოგჯერ თვითმკვლელობაზე საუბრობდა ქართველი პოეტი, ამჯერად “სხვა დროს” მოთხოვნა მათი ჩაძაღლება იქნებოდა: “არ გამოცვლილა ხომ პოეზია, მუხები ცისკრის კარებს აღებენ, მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ”. შემოქმედის სულის და ხორცის ხელყოფით ხასიათდებოდა რჩეულთათვის სასაკლავოს მომწყობი ხელისუფლება: “ღმერთი და სჯული არა ვართ შორი, მონგოლის სისხლი გვიდღეს ორთავეს, სული დააპეს და მერე მძორი მძორიც ძერებმა გამოათავეს.

ამირანივით მკერდდაკორტნილებს არც საწამლავი დაჰკლებიათ: “ისე უჭირდა ალბათ ამირანს, რომ დაუღეწეს ჩვენსავით მკერდი შევსვამთ საწამლავს ჩვენ როგორც მირონს – პირველად შენ თქვი ეს ალავერდი”.

ჩაშვების, გაცემის, დამსმენთა ეპოქაში მარტოდშთენილი პოეტი საკუთარ თავსაც ვეღარ უმხელდა გულის ბაღდაძეს: “ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ, შენზე ღრიალით გასკდა არღანი, საკუთარ თავსაც ვეღარ გავუმხელ, რაც ჩაკირულა გულში ბაღდაძე”.

ცისფერი ორდენის ძმა რომ გამოიტირა, იწინასწარმეტყველა თავისი სიცოცხლის არაადამიანური ხელყოფა სადღაც, ღრმადელეში: “ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს, ყველამ იცოდეს – სხვა პოეტებში ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს” (სერგეი ესენინს).

ტიციანმა ათი წლით ადრე იხილა თავისი ტრაგიკული აღსასრული და ეს ხილვა 1937 წელს გაცხადდა კიდევ, სადღაც, სოდანლუდის ველზე.

პოეტის უტყუარი წინათგონობის შემცველი ლექსების უმრავლესობა დაწერილია 30-იან წლებში, 1924-26-27 წლებში.

ხოლო ტრაგედიაზე ერთი წლით ადრე ტიციანს დაუწერია “ავტობიოგრაფია”, რომელიც შეიცავს რიონის წყალდიდობის მოგონებას და ეს ადგილი გასაოცარი, მისტიკური წინათგონობაა პოეტის მოსალოდნელი უბედურებისა: “ადიდებულ მდინარეს თან მოჰქონდა დანგრეული სახლები, აკვნები, გარღვეული საფლაგებიდან წამოდებული კუბოები”.

მეცნიერი და ნოველისტი რევაზ მიშველაძე, რომელიც იმოწმებს პოეტის ავტობიოგრაფიის ამ ნაწილს, მართებულად შენიშნავს: “ხომ არ იყო ეს მაგიური პოეტური წინათგრძნობა იმისა, რომ მალე ტიცინსაც მისწვდებოდა დელგმა-წყალდიდობა, რათა პოეტის კუბოც გაეტაცნა და შთამომავალთათვის სამუდამოდ დაეკარგა მისი საფლავი”.

ქვეშეცნეულად გრძნობდა რა თავისთვის დამიზნებულ ტყვიას, ტიცინ ტაბიძეს შიში უკუგდებული ჰქონდა, რადგან პოეზიით მონათლულს, ეიმედებოდა, რომ უსამართლო სიკვდილი თვით დარჩებოდა შერცხვენილი: “სამჯერ ვარ დაბადებული, მონათლული ვარ სამჯერ, ერთხელ სიკვდილი რას მიზამს, ერთხელ სიკვდილის არ მჯერა მოვა სიკვდილი, შემხედავს და შერცხვენილი გაიარს, როცა ცა სისხლით შეღებავს თურაშაულის განთიადს” (სამჯერ ვარ დაბადებული).

საკუთარ მარადიულობაში აჯერებდა სიმაღლის სიყვარული, ცისა და მთის სიმაღლის დარი სიმაღლე სულისა: “ცაც მაღალია, მთაც მაღალია და კაციც უნდა იყოს მაღალი” (ცაც მაღალია).

პოეტს ეიმედებოდა ორბების შურდულივით გაქანებული ლექსის ძალა: “და დაწვევა ორბების შურდულს მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი” (მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი).

ტიცინ ტაბიძე ობიექტურად აფასებდა როგორც გალაკტიონის, ისე საკუთარ ღვაწლს ქართული ლექსის განახლების საქმეში: “ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით” (გალაკტიონ ტაბიძეს).

“შავი სიკვდილის” გაზაფხულსაც ჭვრეტდა და საფლავის მტვერშიც მზის მომღერალი პოეტის სული ენუგეშებოდა: “მაგრამ სიკვდილსაც, შავ სიკვდილსაც აქვს გაზაფხული – საფლავის მტვერშიც მზეს უმღერებს პოეტის სული” (სასაფლაოზე).

ტიცინის სურვილი იყო ქრესტომათიაში ადგილის პოვნა, მეცნიერული ინტერესის გამოვლენა მისი ნაღვაწისადმი და ამაზე ერთგვარი ირონიით საუბრობდა: “ყველაფერს მივცემდი, რაც რომ მაბადია, რომ მახსენებდეს ერთხელ მაინც ქრესტომათია. იქნებ ვინმემ ჩემზეც დაწეროს დისერტაცია. ლექსებისთვის ვინც მოიცლის, ის რა კაცია? კითხეთ თქვენს ნაცნობ პატიოსან პოეტს, თუ ის შინაურია – ვინ უფრო აღელვებს: შტეფან მაღარმე თუ დანიელა ურია?” (ორპირის ოქროპირი).

ქალდეას ქალაქების ციკლის ლექსების ავტორი დარწმუნებული იყო, რომ მოვიდოდა უსამართლოდ განწირული გულის გაცოცხლების დრო და მარადისობის თანმხლები იქნებოდა მომავალში: “და როგორც მკვდარი გავაცოცხლე მე ქალაქები, ჩემს მოკლულ გულსაც გაუჩნდება გამცოცხლებელი, ატირდებიან სახელები ჩემგან ნაქები და მარადისობის საუკუნოდ მე ვარ მხლებელი”. (ჩემი წიგნი).

ლექსი დაწერილია 1915 წელს და ცხადია, რომ ორ ათეულ წელზე მეტი ხნით ადრე იწინასწარმეტყველა პოეტმა მოსახდენი უბედურებაც და საკუთარი უკვდავებაც.

“ლექსი მეწყერის” ავტორი სამართლიანად ირწმუნებოდა: “აქედან ვიცი, მე რომ მოკვდები, ამ ლექსს რომ ვამბობ – ესეც დარჩება. ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამოსარჩლებად”. პოეტის რეპრესირებამდე ათი წლით ადრე დაიწერა ეს სტრიქონები და ეს საკუთარი პოეტური აღიარების წინასწარმეტყველური განჭვრეტაც ახდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი წინასწარმეტყველური ლექსები, რომელთა გარეშე შეუძლებელია მეფისტოფელური საუკუნის სრულყოფილი დახასიათება. ისინი საინტერესოა როგორც ეპოქისათვის წაყენებული ბრალდება, საყურადღებოა ფსიქოლოგიური თუ ესთეტიკური თვალსაზრისით.

“ცისფერყანწელთა” ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის – კოლაუ ნადირაძის სახელი დაუკავშირდა ქართულ სიმბოლისტურ ლირიკას, მოგონებებს თავის თანამოკალმეებზე (ლექსად ვერ ვთქვი, თბ. 1984).

ხანდახან ხდება: ერთი ნაწარმოები გადაწონის ხილმე მძიმე ტომეულებს და მის ავტორსე დავიწყების უფსკრულს გამოგლეჯს, თუ მან მოახერხა ერის ტკივილის, ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებული პრობლემის მაღალმხატვრული გაცხადება, თუ მასში აკუმულირებულმა სიტყვის ძალამ იდეალებით დამუხტა ხალხი.

საბედნიეროდ, ასეთი ოპოზიციური ქართველობის სულის შემარხვეელი ლექსია კოლაუ ნადირაძის “25 თებერვალი, 1921 წელი”, რომელიც ჩვენი ეროვნული ტრაგედიიდან თითქმის ხუთი ათეული წლის შემდეგ დაიწერა.

როგორ აიხსნას ასეთი მტკივნეული პრობლემის მხატვრულ სიტყვაში გაცხადება საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვიდან ამხელა ინტერვალის შემდეგ?

ვფიქრობთ, მრავლისმთქმელია ეს ფაქტი.

კოლაუ ნადირაძე არ ყოფილა შემგუბეელი, მედროვე, სოცრეალიზმის მედროშე პოეტი, არც ორდინალური პიროვნება.

ცნობილია, ტოტალიტარულ სახელმწიფოში ხელისუფლების მიერ მიზანში ამოღებული ადამიანი აბსოლუტურად დაუცველი იყო, უდანაშაულო დამნაშავეს წართმეული ჰქონდა თავის მართლების უფლება, ვერც მის გამოსარჩლებას ბედავდა ვინმე, რადგან ისიც მოღალატეთა სიაში აღმოჩნდებოდა, არც ამა ქვეყნის ძლიერთა მიერ განკიცხულის შებრალება იყო ნებადართული, იკრძალებოდა ქვეყნის მტრად გამოცხადებული ადამიანის საფლავთან მისვლაც. ერთადერთი ადამიანი, ვინც გაბედა უსამართლოდ განწირული, თვითმკვლელობით აღსრულებული პაოლო იაშვილის საფლავთან გლოვა, ეს იყო კოლაუ ნადირაძე, რომელმაც ადამიანური მწუხარებით და ცრემლით მოიხადა მეგობრული ვალი ამქვეყნიდან უსამართლოდ, უღმერთოდ გასტუმრებული მეგობრის წინაშე, ადრე კი სიყვარულით სავსე სტრიქონები უძღვნა. ცხადია, ეს ნაბიჯი საფრთხეს უქმნიდა კოლაუ ნადირაძის სიცოცხლეს და გამბედაობის, ჭეშმარიტი მეგობრობის მაგალითად უნდა დავსახოთ.

ბერიას ჯაშუშმა ქობულოვმა ეს ფაქტი მაშინათვე თავის პატრონს აცნობა და ელოდებოდა მის დავალებას, თუ როგორი სასჯელი მოეფიქრებინა რაინდული ბუნების კოლაუ ნადირაძის წინააღმდეგ.

ბერიას ამჯერად ეყო ჭკუა, ბოლომდე არ გადაებიჯებინა ადამიანობის ზღვრისთვის და თავისგანვე ხელყოფილის, გაუბედურებულეული ცხედართანაც არ წაებოდა სული, ტირან ხელისუფალს ასე უპასუხნია ჯაღათი, სულით მონა ქობულოვისათვის: “მოეშვი, გაანებე თავი, სანიმუშო ვაჟაკი ყოფილა და სამაგალითო მეგობარიო” (1,77).

როგორც ირკვევა, პოეტს მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე უტარებია ერის საერთო-სახალხო სატკივარი გულში, სამშობლოს ოკუპაციიდან ათეული წლების გასვლის შემდეგაც არ განელება თავისუფლებაწართმეული სახელმწიფოს ტრაგედიით გამოწვეული გულისტკივილი, ვერაფრით შეჰგუებია მონობის კირთებას და მოგვიანებით, პოეტურ შედეგში გამოუხატავს საყოველთაო უბედურებას.

ლექსი აღიქმება, როგორც მოსალოდნელი განსაცდელი წინათგრძნობით აფორიაქება, ძილღვიძილში, მდუმარებაში იკითხება ჯვარცმაზე მიმანიშნებელი ქვეტექსტი.

თოვლი, მრავლისმეტყველი დუმილი, ძილღვიძილში ყოფნა, საშინელების გამოსატყდად გამზადებული გრდემლი, გოლგოთა, სიწსხლის და ცრემლის, გაყიდული მშობელი დედის, წამების, დაუნდობლობის, შეუბრალებლობის გაცნობიერება სერავს იმთავითვე სულს და გულს: “თოვდა და თბილისს ებურა თაღხი, დუმიდა სიონი და დუმიდა ხალხი, ძილღვიძრად იყო ქალაქი ჩემი, საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი –

ისევ გოლგოთა, სისწხლი და ცრემლი! მშობელო დედავ, ისევ გაგვიდეს, ისევ წამების ჯვარი აგვიდეს, არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!”

გაყიდვას მყიდველიც სჭირდება და ქვეტექსტებში ნაგულისხმევია შინაური და გარეშე ძალა.

თებერვლის თოვლი თანამდევს სიწმინდე კი არ არის, თალხად ებურება იგი დედაქალაქს, უბედურებით დამუნჯებულა სიონი, ხალხი უკვე ჩავლილია ტაბახმელასა და კოჯორში მომხდარი ტრაგედია და მისი შედეგებია შემზარავი, თოვლის თალხი კიდევ უფრო აძლიერებს უსიტყვო მწუხარებას, გმირების გვამებს, განგმირული მკერდების შემყურეთათვის აღარ არსებობს ნუგეში, შავი თოვლი ფარავს შემოგარენს: “თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი. დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა, მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა, ეფინებოდა გმირების გვამებს – განგმირულ მკერდებს, დაღეწილ მკლავეებს, და უძრავ იყო თებერვლის ღამე. თოვდა და თბილისს ებურა ტალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი”.

უმანკო ჩასახების მამათა სავანეში გალაკტიონს “შავი თოვლის” სახით ევლინებოდა “ჭკარტლი და ბურუსი თავანის”, რადგან ერისთვის მლოცველ მამათა ნავთსაყუდარი გაუქმებულიყო და უსაშველობაზე გამოსავლის არქონაზე ფიქრი ბურღავდა ტვინს: “ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის!” (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში) (2,128).

“ჩრდილოის წითელი ქარი” ქროდა გალაკტიონის პოემაში “მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა” (2, “შავი გულისნადებით” სავეს ქარია მის ლექსში “როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები”) (?????????????)

კომუნისტების მიერ იავარქმინდ გუდამაყარში შავი წვიმა მოდიოდა, შავმა წყალმა დაფარა მიწა, მერე წითელი თოვლი წამოვიდა, აგბედითი წითელი გახდა გარემო, წითელი ემოსათ ადამიანებს (3,197).

გაწითლებული მღვდელი გვეცნაურება გოდერძი ჩოხელის “მღვდლის ცოდვაში”.

“თოვლის თალხი” ანუ იგივე შავი თოვლი მოასწავებს მოსალოდნელ უბედურებას კოლაუ ნადირაძის ლექსში.

სამას არაგველ გმირთა ნავალ გზაზე აღარ ელავენ პატრიოტ ქართველთა ხმლები, მძიმედ დაშვებულა ქართლის დედის ცრემლით ნანამი დროშა, თოვლიანია გმირთა სისხლით გაპოხილი კრწანისის ველი, სადაც წითელი დროშით თავხედურად, უსულგულოდ მოაბიჯებენ პატრიოტ ქართველთა გვამებზე სიკვდილის ცელისმპყრობელი ჩრდილოელი მტარვალეები... და ისევ თოვლი, მკვდრული დუმილი, აღარც სიონის ზარები რეკენ, არარც ხალხი ბობოქრობს: “იმ გზით, სად წინად ელავედნენ ხმლები, სად სამას გმირთა დაიფშვნა ძეგლები, სად ქართლის დედის ნანამი, მძიმედ დაეშვა ჩვენი ალაში, სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი, თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, – წითელი დროშით, მოღერილ ყელით, თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით შემოდოდა სიკვდილი ცვლით! თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი” (25 თებერვალი, 1921 წ.) (4,48-49).

აკი კრწანისს და თებერვალს “ერის ტანჯვის გამომსახველი ორი მწვერვალი” უწოდა მიგნებულად ალექსანდრე აბაშელმა (შორეული ნაპირი) (4,26-31).

კრებულ “ამირანის” იმ გვერდს, სადაც კოლაუ ნადირაძის ზემოთხსენებული ლექსი დაიბეჭდა, დართული აქვს გამოქვეყნების ისტორია: “ამ ლექსის გამოქვეყნებისათვის გარდაქმნის ხანაში სამსახურიდან დაითხოვეს გამომცემლობა “მერანის” მთავარი რედაქტორი მამუკა წიკლაური, მთავრი მხატვარი სპარტაკ ცინცაძე, მთავარი რედაქტორის მოადგილე იზა ორჯონიკიძე, რედაქციის გამგე გრიგოლ ჯულუხაძე, რედაქტორი ეილა ბეროშვილი, მხატვარი კარლო ფანულია, ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომელი გურამ ვანიძე, მთავლიტი მარო არუცევა, სამსახურიდან

განთავისუფლეს გამომცემლობის დირექტორიც კი – გურამ გვერდთელი, მაგრამ მას შემდეგში აპატიეს. მკაცრად დაისაჯა, აგრეთვე, მხატვარი გ. წერეთელი (4,48).

როგორც ჩანს, კომუნისტური ცენზურა მეოცე საუკუნის 70-იან წლებშიც ფხიზელ დარაჯად ედგა და ცერბერივით იცავდა ხელისუფლების ანტიეროვნულ პოლიტიკას, ისევ და ისევ დევნიდა მართალ, თავისუფალ სიტყვას.

ლიტერატურა

1. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, პაოლო იაშვილი, ცხოვრება და შემოქმედება, ქუთაისი, 1995
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
3. გოდერძი ჩოხელი, “მგელი”, თბ. 1988
4. ოპოზიციური ლიტერატურა, ამირანი, თბ. 1990

იოსებ გრიშაშვილი – საბჭოთა ხელისუფლების მოუსყიდავი მსაჯული

იმ ერთი შეხედვით მოთვინიერებულ პოეტა შორის, რომლებიც ხელისუფლებამ თითქოს თავისი დროისა და ამა ქვეყნის ძლიერთა, არყოფილ წარმატებათა და ცრუ ბელადების მეხოტბედ აქცია, არ შეიძლება უპირველესად იოსებ გრიშაშვილი არ გაგვახსენდეს.

ისე ჩაათავა თავისი სამწერლო გზა პოეტმა, რომ ოფიციალურ, სოციალისტური რეალიზმის მედროშეთ იგი საბჭოთა ეპოქის გულწრფელ მომდერლად ესახებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარული კრიტიკის წარმომადგენლები წარსულის სიყვარულისა და ეროტიკული მოტივების გამო უკიუინებდნენ.

მაგრამ 1992 წელს გამოცემული იოსებ გრიშაშვილის კრებულით – “დაუბეჭდავი ლექსები” (გამომცემლობა “ნობათი”, შემდგენელი ნოდარ გრიგორაშვილი) აშკარა გახდა, როგორ თრგუნავდა თავისუფლებისმოყვარე პოეტის სულს იმპერიული მანქანა, რომელიც აიძულებდა სხვა ეწერა და სხვა ეფიქრა ერის ჭეშმარიტ გულშემატკივარს.

პოეტმა მრავალჯერ იწვინა ტენდენციური საბჭოთა კრიტიკის უმართებულო, გესლიანი გამოხდომა, მას უწოდებდნენ “მოცლილ ქართველ ქალთა საყვარელ მგოსანს”, მის სადამოებს – “საკუთარი დაცარიელებული ჯიბის გასასქელებელს”, მის ლექსებში ეძებდნენ “საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ დაწერილ” ღვარძლეს (1,3).

ასეთი მიზანმიმართული კრიტიკა პოეტისა მრავალჯერ გამეორდა რესპუბლიკურ პარტიულ გაზეთ “კომუნისტში”. მისი პოეზია მიხნეული იყო “მიუღებლად” “მშრომელ ხალხთა თვალტახედვით”, რომელსაც მხოლოდ “ბურჟუაზიულ-მეშხანურ საზოგადოებაში” ჰქონდა და აქვს გასაგალი”...

პოეტის ლექსებს უწოდებდნენ “ქუჩურს”, “მუშურ-გლეხური წყობილების წინააღმდეგ” მიმართულს, “შავი ზრახვების” მატარებელს, გახრწნილს. “ლამაზი ფეხები” მან შეცვალა “რუსის ჩექმებზე”, მაგრამ ამით ის სრულიად არ შეცვლილა მშრომელი ხალხისთვის”, დაიწერა 1921 წელს (1,3).

ქილიკობდნენ რა ი. გრიშაშვილის და გ. ტაბიძის “უკვდავ სადამოებსზე”, იოსებ გრიშაშვილს აბრალებდნენ “თავხედობას”, “ადვირახსნილობას”, აკრიტიკებდნენ “სოციალისტ-ფედერალისტის” ფურცლებზე “ქარაგმებით” და “უქარაგმოდ” დაწერილი ლექსებისათვის, უწოდებდნენ “ჩუმ მოღალატეს”, “გამოუსწორებელ კუზიანს”, “ჩვენი ხალხის მეტხორცს”, რომელიც უფსკრულში უნდა გადაიხეხოს და სიამაყით აცხადებდნენ: “ახალმა ძალამ ძველი მოსპო, ალაგმაო” (იქვე).

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების “ჩამორჩენაზე”, “გაყინულობაზე”, “გარდაცვალებაზე” ამხსვილებდა ყურადღებას ჟურნალი “მნათობი” (2,23).

პროლეტარულმა კრიტიკამ განსაკუთრებით მიზანში ამოიღო პოეტის ოცნება: “თბილისი ისევ გამრავლდება და ნაგუბარში ჩადგება წყალი”. ასეთ იმედს “პირწავარდნილ”, საზიზდას და “უბადრუკს”, “შუბლმაგარ რეაქციონერს უწოდებდნენ (იქვე).

ცნობილია იოსებ გრიშაშვილის ლექსი “გენიოსების ბედი ბაზარზე”, რომელშიაც პოეტი ჭეშმარიტი მამულიშვილის გულისტკივილს ამჟღავნებდა და ცხარედ დასტიროდა ქართული ინტელექტუალური ძალების აბუჩად აგლებას, ქართველ პატრიოტთა წიგნების, ეროვნული ნაღვაწის კაპიკებად გაყიდვას ბაზარზე.

მაგრამ ეროვნული სულიერი ენერჯის წინააღმდეგ მებრძოლმა, ეროვნულობისადმი მტრულად განწყობილმა პრიმიტიულმა კრიტიკამ, რომელიც გახდა ნამდვილი, ხალასი ნიჭის “მეურვე და გზამკვლევი”, დიდი პოეტის ეს ლექსი აღიქვა როგორც “ქართულ რომეოსა და ჯულიეტას წმინდა წარსულის მომდერალი”, პოეტის ცხარე ცრემლით ტირილი “ნათავადარ წიგნებზე”, კურიოზული, ნაციონალისტური. “სექსუალურ მოტივებთან ერთად” “სენდება ახალი ქვეყანა” და გრიშაშვილი კი ისევ მიკიტნების ლიკვიდაცია” დასტირისო” (3,4).

იოსებ გრიშაშვილის პოეზიას “ამოწურულს, დასრულებულს”, მკვდარს, “საბჭოთა მწერლობისთვის ანაქრონიზმს”, “მეშხანობის და ობიგატელობის მესაიდუმლეს”, “ქალის კაბით შემოფარგლულს” უწოდებდა ბენიტო ბუაჩიძე (4,171-172).

მეოცე საუკუნის 30-იან წლებში დაუსრულებლად გრძელდებოდა ქილიკი ამ პოპულარული პოეტის შემოქმედებაზე. გრიშაშვილს “წვრილი ბურჟუაზიის, მეშხანობის გულის მესაიდუმლეს, ეროტიკის, გუქსავატური სიყვარულის”, “ოქროს ფეხის” და “კოცნის” მომდერალს, “პრიმიტიულ რეაქციონერს” უწოდებდა შ. რადიანი (5,223-224).

“სიმართლის მსახურის” ქართული კრიტიკა არ ცხრებოდა, პოეტს უწოდებდნენ ჩამორჩენილს, “ტრაგიკულადგარდაცვლილს, დაღუპულს”, “არისტოკრატიული ეროტიკის სამსხვერპლოზე” დაცემულ-განგმირულს და ასეთ თეზას სთავაზობდნენ სიტყვის მსახურთ: “კოხტა ფეხების პოეზია უნდა შეიცვალოს კუნთებად ქცეულ მკლავების პროზით” (6,242-243).

თავისი პოეზიისადმი ასეთ ტენდენციურ მიდგომას აკრიტიკებდა იოსებ გრიშაშვილი, მისთვის მიუღებელი იყო “ცეცხლოვა გრძნობის” “სადიზმსა” და “მაზოხიზმში” არევა: “რასაკვირველია, გადამღაშებული სქესობრიობა მავნებელია, ვინ უკმევს გუნდრუკს?... უბრალო მკითხველს მართალი ეგონება, თითქოს მთელი ჩემი მწერლობა ქვეყნიური გრძნობა იყო” (7,92-96).

იმჟამინდელი კრიტიკოსების საყვედურს, თითქოს თითქოს იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში არ ჩანდა ეროვნული სატკივრები, პოეტი პასუხობდა ლექსით “ოდონდ მაცალეთ”: “ვის შეუძლიან ცილი დამწამოს, ვის შეუძლიან მითხრას ართქმული, რომ არ მიყვარდეს ჩემი სამშობლო, ჩემი ერი და ჩემი მამული”. პოეტის პატრიოტულობის დასტურად იკმარებდა თუნდაც 1912 წელს დაწერილი ლექსი: “სამშობლოს ნანგრევები”, რომელშიც სისხლის ზღვაში მობანავე სამშობლოს ხილვა, ქარი ფრთებზე მოქანავე დაფლეთილი დროშა, მაუშულისათვის დაჭრილი გმირები ტკივილს ამბაფრებს, ჩვენი წარსულ დიდებაზე მოღალადე მონასტრები და წინაპართა აკლდამები პოეტის სიამაყეა, ამავე დროს უდიდესი გულისტკივილის გამომწვევი, რადგან “სხვას მიაქვს ჩვენი სულის სიამაყე წმიდათ წმიდა”...

მაგრამ პოეტს ამინც არ სტოვებს ქვეყნის აღდგენისათვის ბრძოლის სურვილი: “არ შევდრკებით, რაგიმდ მტერი ჩვენს წინააღმდეგ ბადეს ქსოვდეს: უნდა აღსდგეს საქართველო – ეხლა, ანდა არასოდეს!”

გამომამზეურა რა იოსებ გრიშაშვილის “ტაბუდადებული” ნაწარმოებები, პოეტის “დაუბეჭდავი ლექსების” შემდგენელი ნოდარ გრიგორაშვილი წერს: “1920-იან წლებში და 1930-იანი წლების დასაწყისში იოსებ გრიშაშვილმა შექმნა ღრმა პატრიოტული განცდით დაწერილი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, სავეს მშრომელი ხალხის სატკივართ” (8,6).

“დაუბეჭდავი ლექსების” ავტორისთვის უმთავრესია ეროვნული ფენომენის, ქართველთა ალტრუიზმის, მშვიდობიანი ბუნების, კეთილმოსურნეობის ჩვენება, მონობასტან შეურიგებელ, თავისუფლებისმოყვარე სულზე აქცენტის გაკეთება, ჩვენი სინაური და გარეშე მტრების მხილება.

ლექსში “საქართველოს მტრებს” დაწერილია 1919 წელს და წარმოადგენს იმ საშიშროების წინათგრძობას, რაც შექმნეს დამოუკიდებელი საქართველოს შთანთქმის სურვილით შეპყრობილმა შინაურმა და გარეშე ძალებმა. ჩვენი ქვეყნის მიზანი კი არასოდეს ყოფილა სხვატა ტერიტორიების მიტაცება, პირიქით, იგი ყველა ბედკრული ერის შემფარებელი და მზრუნველი იყო: “რა სურთ ჩვენი? – რომ სამსობლოს სხვას არავის ვედავებით, რომ სხვა ერთა აზატ ჩონგურს ერთ ტკბილ სიმაღ ჩვენც ავებით, რომ ვუსინჯავთ ყველა ერთა ხმას, სახისფერს, კბილს თუ კილოს... და ამიტომ საქართველო განა უნდა გაიკილოს?... საქართველო კეთილია, უწყინარი, ჩუმი, წრფელი, მაგრამ თუმ ის აზიზ სულსი აფათურეს ბილწი ხელი... საქართველოს ყველა უყვარს, იგი ყველას შეიხიზნებს, მაგრამ თუკი გველაძუებს ჩვენ შევუტყობთ გველურ მიზნებს, ავზავთდებით ისე რისხვით, ისე მწვავედ, ღრმად, საგრძნობლად, რომ მტერს ერთ კაცს არ გადაურჩნთ მათი ამბის მოსათხრობლად”.

პოეტის მახვილი თვალი ხედავდა ყინულოვანი მონსტრის, ჩვენი ჩრდილოელი ვერაგი იმპერიის ზრახვებს, მის მცდელობას – ჩვენს წინააღმდეგ გამოეყვანა ყველა ჯურის მოლაღატეები, მედროვეები, ამყოლები, რათა თავისუფალი საქართველოსთვის ისევ დაედგათ მონობის უღელი: “დღეს ჩვენს ირგვლივ ბნელმა ძალამ დარაზმა და დაამზადა ყველა ჯურის მოლაღატე, ვერაგი და არამზადა. ყველა მეთქი! ვისაც გულში არ უღვივის წმინდა გრძნობა, ვინც საკუთარ ტვინის ბოგირს ვერასოდეს დაეყრდნობა, და უნდათ, რომ საქართველო – ეს პატარა ნატვრის თვალი კვლავ გახადონ სხვისი მონა, მორჩილი და შენამკრთალი”.

მაგრამ მონობისადმი დაუმორჩილებელი ქართული სული დაღადებს შემდეგ სტრიქონებში: “არასოდერს! ვიდრე ზეცა არ შესწყვიტავს მზის ჩანჩქერებს, ვიდრე მტკვარი თავის ბუტბუტს არ მოსპობს და შეაჩერებს, ვიდრე ერთი ქართველიც კი სამშობლოსთვის ასე ზრუნავს, არ მოკვდება საქართველო, მაინც ბრუნავს... მაინც ბრუნავს”.

ავბდითი მოვლენების წინათგრძნობით აფორიაქებული სული პოეტისა წინასწარ ჭკრეტს იმ ცეცხლს, რომელიც უნდა დაანთონ ყველა მტრის, პოლიტიკური მაჭანკლების წინააღმდეგ მრავალტანჯული ქვეყნის შვილებმა: “...ჩვენს ზღვა გულში ჩუმი ცეცხლი ბუდობს ჯერე, მაგრამ თუ კი გაგვახელეს? მაშინ მტრებო, დაგვიჯერე, რომ დავანთებთ ცეცხლის კოცონს, გავაჩაღებთ ცეცხლის რკალებს და შიგ ჩავწვავთ ყველა ერის პოლიტიკურ მაჭანკალებს. დე, იცოდნენ სხვის სამშობლოს ჩვენ არასდროს შევეხებით და, ჩვენსასაც არ დაუთმობთ, რომ გაჰქელონ ტლანქ ფეხებით” (8,7-9).

დემოკრატიული საქართველოს თავზე მძიმე ღრუბლები გროვდებოდა. სოციალ-დემოკრატიული იდეებით ძუძუნაწოვი მენშევიკური ხელისუფლება აშკარად ხედავდა “ვერაგი ჩრდილოელის” “ძღვეამოსილ სვლას” სამხრეთისაკენ (9,1-2-3).

ლენინის განაცხადი “საქართველოს გათავისებებაზე” აშკარას ხდიდა, რომ რუსეთის ურთიერთაუხსმელობის ხელშეკრულება “კატისა და თავის დაზავებას წააგავდა” (9,2).

იოსებ გრიშაშვილი საქართველოს მენშევიკურ მთავრობას აკრიტიკებდა მოსალოდნელი საფრთხის გაუთვალისწინებლობის გამო და რაღაღად ნათლავდა მათ

ნაბიჯს, უნიათობად მიიჩნევდა ბანდიდან ჯარის შექმნის სურვილს: “რა გჭირთ! ყველგან კარი გელვობთ, ხომ გაიმარჯვებთ ღალატით ჩვენზე! წაიღებთ ეხლა რაც წაგელვობთ, რომ კრამიტს არც კი დასტოვებთ სხვენზე. თქვენ ჯარს ვერ შექმნით ამგვარ ბანდიდან, უმეთაუროდ, უწინამძღოლოდ. დღეს ყაზბეგამდე დარუბანდიდან თქვენდამი ზიზღი გუგუნებს მხოლოდ”.

მაგრამ ამოა “სისხლსა და ხორცზე” დამყარებული დროის “საუკეთესოდ” გამოცხადების, მუშისა და გლეხის გაბრიყვების მცდელობა.

არსებული სასტიკი დროისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოეტი ილია ჭავჭავაძის სიტყვებით ამხელს რუსული ძალის დაუნდობლობას და დიდი წინაპრის სურვილებსვე უგზავნის მას: “მაგრამ არ ვაქებ ხანას სასტიკსა, ვიტყვი ილიას ამ სიტყვებს მეცა: “რაც კარგი სურდეს რუსისა შტრიკსა, ღმერთმა იმ რუსსვე მისცეს ასკეცად” (8,10).

წითელი რუსეთის იმპერიამ დაარღვია თავისი ხელსეკრულება და ჩვენი ქვეყნის ხელახალი ოკუპაცია მოახდინა 1921 წლის 25 თებერვალს.

საქმეს ვერ უშველა ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ რუსეთის ამ ნაბიჯის აგრესიად გამოცხადებამ, მსოფლიოსთვის მიმართვამ სუვერენული სახელმწიფოს ხელყოფაზე, ევროპამ ქმედითი ნაბიჯი არ გადადგა, ჩვენი ქვეყნისთვის სიტყვიერი თანაგრძნობით შემოიფარგლა.

საქართველო ხელაღებული თვინიერებით არ შეხვედრია ჩრდილოელი ყინულოვანი მონსტრის ამ ვერაგობას, არც მსხვერპლს დარიდებია, მაგრამ ამოდ.

XI არმიამ ცინიკურად გატელა ქართული ეროვნული დროშები, პატრიოტ ქართველთა გვამებზე გადაიარა თბილისში რუსეთის ყოფილი ელჩის კიროვისა და მოღალატე ვაი-ქართველის – სერგო ორჯონიკიძის წინამძღოლობით, რომელმაც წითელი იმპერიის მესაჭეებს – ღრნინს და სტალინს აცნობა, “თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა ფრიალებსო”.

ამ ფაქტზე ქართული პოეზიის მებრძოლი ფრთის განწყობილება სრულად გამოხატა ახალგაზრდა იოსებ გრიშაშვილმა ლექსში “ახალ ხელისუფლებას”. მისი მახვილი მიმართული იყო იმ გადაგვარებული ქართველების წინააღმდეგ, რომლებიც იმთავითვე ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და თანამემამულეებს კვლავ ვერაგი რუსული იმპერიის მუცელში ჩაბრუნებას ურცევდნენ. “...მართალია, დღეს ეს ლექსი ბევრ მოშურნეს გააჯავრებს, მაგრამ მაინც თამამ სიტყვას მოვახსენებ ახალ მთავრობას: “...თქვენ ამბობდით: საქართველომ რაც გინდ ბევრი გაიბრძოლოს, დიდ რუსეთის პროვინციად გადაიქცევა მაინც ბოლოს!”

სწორედ ქართველი მოუძღოდა ამ მტარვალთ და სხვისი ხიშტით შემოსვლა სამშობლოში უპატიებელ შეცდომად აღიარა პოეტმა: “ჰა, აღსრულდა! თქვენ მოხვედით, ჩვენც მივიღეთ ცრემლით ცხელით, მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ, რომ სხვის ხიშტით შემოსხვედით!”

კიდევ უფრო უპატიებელი იყო მამულიშვილთა წმინდა სისხლის დაღვრა, ყველა ბილწისა და სკვითელის მიერ ცინიზმის საგნად ქცევა ქართველი ხალხისა: “განა ჩვენ აქ გვქონდა ტახტი, ან ზედ დავსვით ვინმე მეფედ, რომ ქართველთა წმინდა სისხლი დაღვარეთ და ააშხეფეთ? განა ჩვენი არწივები გაურბოდნენ დროშას წითელს, რომ დღეს ჩვენზე ახარხარებთ ყველა ბილწს და ყველა სკვითელს”.

აუტანელი იყო ბრძოლით მოსული გადამთიელის ძალმომრეობასთან შეგუება და იოსებ გრიშაშვილი უმრავლეს ქართველების აზრს ასე გამოხატავდა: “ო, ჩვენ ისე ვერასდროს ვერ ავიტანთ გამარჯვებულ რუსულ ჩექმას, ზეინაბად გადავიქცევთ, გულს ჩავუკლავთ აღთქმას შმაგურს და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ არც ერთ კუთხეს, არც ერთ აგურს”.

ახალ ხელისუფლებასთან შერიგების პირობა შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ უანგარო მამულიშვილობა, ჭეშმარიტ ივერიელთა მზის ერთგულება, ქართველი ერის

სილამაზის, ენის, დოვლათის დაცვა, ქართული ცხრათვალა მზის ერთგულება და არა გაცვლა “ჩრდილოეთის მსუსხავ თოვლზე”, საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენა და არა ქართული ფენომენის გადათელვა-მოსპობა, რაც ქვეყნის სიკვდილის ტოლფასად ესახებოდა ლექსის ავტორს: “...მაგრამ თქვენში თუ ვიპოვნით ჩვენზე კარგს და ჩვენზე ძლიერს, უანგარო მამულიშვილს, სასახელო ივერიელს; თუ დაიცავთ ჩვენი ერის სილამაზეს, ენას, დოვლათს, თუ ჩვენ ცხელს მზეს არ გარდაქმნით ჩრდილოეთის მსუსხავ თოვლად, თუ აღადგენთ საქართველოს ისტორიულ მთლიან ხაზად, მაშინ ჩვენს გულს სულს, სიყვარულს ვეშ დაგიფენთ ფიანდაზად... მაგრამ ვინმემ თუ გაჰბედა, რომ მოგესპოს და გადაგეთელოს – ვიტყვი: მოკვდა საქართველო – გაუმარჯოს საქართველოს” (8,11-12).

სამართლიანად აცხადებს პროფესორი რევაზ მოშველაძე ამ ლექსთან დაკავშირებით: “ბოლშევიკებმა სამსობლოს ყადრი არ იცოდნენ, თორემ ძალაუფლების მიტაცების და დრაკონული ხერხებით მისი შენარჩუნების ხელოვნება ძვალ-რბილში ჰქონდათ გამძღარი. გაგებული ჰქონდათ, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უნდა დათრგუნო და აღიკაპი ამოსდო მასათა განწყობილებაზე ზემოქმედების ყველა ქმედით საშუალებად-ლიტერატურას.

...და ბუნებრივია, ახალი ხელისუფლება იოსებ გრიშაშვილს ამ მამხილებელი პათოსით გაჟღენთილ, სატევარივით გაშიშვლებულ ლექსს არ აპატიებდა. პოეტი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს” (9,2).

თუ როგორ გაჟღერდა ეს ლექსი 1921 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში თვით იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებით სარამოზე ოპერის თეატრში, ამაზე არსებობს რეჟისორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის – მარიამ აბრამიშვილი მოგონება, რომელიც “კომუნისტის” რედაქტორისთვის მიუწოდებია როდამ ქუმსიაშვილს. გასაბჭოებული საქართველოს დედაქალაქში თითქოს სიმშვიდე იყო, დაიდგა სუმბათაშვილ-იუჟინის “ლალატი”, გაიმართა იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი საღამო. მთავრობის ლოჟისკენ მიბრუნებულ პოეტს წაუკითხავს ძემოსხენებული ლექსი, რომლის პირვანდელი სათაური ყოფილა “ქართველ ბოლშევიკებს”.

დარბაზიდა წამოსულა შეძახილები: “მოლაღატენო”, “წაეთრიეთ ჩვენგან, სისხლიანებო” და სხვა.

ფეხზე მდგარი დარბაზის სემადგენლობა მუქარას მიმართავდა ლოჟაში მსხდომ მახარაძისკენ და კიდევ 2-3 კაცისკენ.

ფარდის დაშვებას, სინათლის ჩაქრობას მოჰყოლია ასჯერ მეტი ყიჟინა, ტაში, შეძახილები: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

ოპერისა და ბალეტის თეატრის ფარდაზე ადრე გამოსახული საქართველოს სახელმწიფო გერბი, წმინდა გიორგი, ძალიან დიდი მხატვრის შესრულებული, მახარაძის განკარგულებით შეუღებიათ. როცა დარბაზი ჩააბნელეს და სცენაზე კი ისევ სინათლე იყო, უზარმაზარი ფარად დაუშვეს და წმინდა გიორგი უფრო მკაფიოდ, მთლიანად აღმართული მაყურებლის წინ, შუბს ხალხს უმიზნებდა. მთელი თეატრი ზანზარებდა და ამოდ ითხოვდა სარამოს გაგრძელებას, მერე კი, როცა ქუჩაში დემონსტრაციის გამართვა დააპირეს და კოლონებად დაწყობა დაიწყეს, დარბაზი განათდა, კონცერტი გაგრძელდა, მაგრამ მთავრობის ლოჟა ცარილეთი იყო, სიბნელეში გაპარულიყვნე მტარვალნი და მედროვე პოეტები. დიდი ოვაცია მოჰყვა იოსებ გრიშაშვილის გამოსვლას, რომელმაც ასეთი ლექსი წაიკითხა: “ჩემთა საყვარელ ძმატა გვამებზე პოტენტოტივით დავებოტები, არარც მთვარე სჩანს, არც ვარსკვლავები, მხოლოდ ჭყვიანი ბუ და ჭოტები”...

ყველაფერი აირია, მერე დარბაზში დაურიგებიათ ი. გრიშაშვილის მეორე ლექსის ხელნაწერი სატაურით: “ფილმასს”, ე.ი. ფილიპე მახარაძეს, რომელშიც პოეტი წყევლიდა “ფილმასს”, უსურვებდა ტანზე ბეწვის და ბუსუსების ნაცვლად გრძელი მახადების

გამოსვლას, ცოცხლად ჩაკეტვას დიდ ყუთში და მანამ წამებას, სანამ ხორცი და ძვალი ყუთში არ გაქრებოდა...

იმავე საღამოს რაედენ გვეტაძეს წაუკითხავს მარო მაცაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი.

ქუჩაში ხალხის ბობოქრობა არ ცხრებოდა, საოცარი ის იყო თურმე, რომ ასე უცბად საიდან მოეყარა თავი ზღვა ხალხს.

იოსებ გრიშაშვილი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში გამოამწყვდიეს (აპრილის ბოლო რიცხვებია) (10,3).

იმავე 1021 წლის დეკემბერში იოსებ გრიშაშვილმა ვასო აბაშიძის საიუბილეოდ დაწერა ლექსი “ხნიერი დროშა”, რომელშიაც მთავარია არა მხოლოდ ცნობილი მსახიობისადმი გამოვლენილი კეთილმოსურნეობა, არამედ მისი ავტორის პოლიტიკური პოზიცია, უფრო სწორად, მისი ოპოზიციური დამოკიდებულება ახალი დროის მიმართ: “მე არ მივსდევ ახალ დროშას, ახალ ქარზე დარხეულსა, მე ვაფასებ დროშას ნაცვეთს, დაგლეჯილს და დახეულსა”.

ლექსში ღარადებს დაპყრობილი, დატანჯული, მაგრამ მაინც “ამაყი და მსვენიერი” ერის გულისტკივილი: “...მაგონდება საქართველო, საქართველო დაპყრობილი. ჩვენც შენსაგით დავლასლასებთ, სამშობლოში არ გვაქვს ბინა, ჩვენს თავზედაც ცხრა თვემ, ცასო, საუკუნეთ გადირბინა” (8,13).

მედროვეებს, ყალბ პოეტებს, სიცრუის მსახურთ მჭვავედ ამხედდა ი. გრიშაშვილი: “ჩემი სიტყვები ვერ გაიგეს. ტფილისისთვის ვინც ხართ თამამი, ნიჭიერი, მოუსყიდველი! თქვენ კი წანწალებთ სულიერად შიშველ-ტიტველი, თქვენ, ო, მონებო, წითელ ფერის და თეთრი დათვის” (8,13).

მოდლატეების, მსტორების, გამცემლების, მუმლივით შემოხვეული თბილისის ცრუ მეხოტბეებს, უსწავლელთ, ყალბთ, ზერელეთ ამხელს პოეტი და თავის პრინციპულ პოზიციას ასე აფიქსირებს: “მე უნდა მოვკვდე, მე ვერ ვუმღერ ჩაქუნს და ლითონს. მე მინდა მოვკვდე, რომ არ მერგოს ჯალათის თოფი. ნაძალადეგად არას დავწერ... რადგან მე თვითონ მოწამლული ვარ საქართველოს ლექსების ცოფით” (ტფილისის ყალბ პოეტებს) (8,15-16).

შემთხვევითი როდია, რომ თავის გულისტკივილს ერეკლე მეფეს უზიარებს პოეტი.

მეტეხის ციხეში მყოფი იოსებ გრიშაშვილი 1922 წლის 9 სექტემბერს “ჩრდილოს ხორშაკის” დაბერვას, “უცხო ყინულით” დაბინდული მზის ტკივილს აფიქსირებს (მეტეხი, 1922 წ. 9 სექტემბერი).

უცხო ყინულის სიცივეს, ყინულოვანი იმპერიის ყინულოვანი ქუჩების, სახლების, ყინულოვანი კოშკების ტრაგედიას, “აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინულის”, გაყინული ცის, გაყინული გულის, “მწუხარე თოვლში” მავალი “ფერადი გემის” მოტანილი საბედისწერო შედეგების ერიას აფიქსირებდა გალაკტიონი თავის შემოქმედებასი (შეხედეთ, მიწა! გული გრძნობს, მშვიდობის წიგნი) (11,232,394,877-922).

ჩვენს სასიქადულო რეჟისორს – კოტე მარჯანისვილს, “ფუნტე ოვესუნას” დამდგმელს, რომელიც რუსეთში სწავლობდა და მოღვაწეობდა, მოწონების სტრიქონებს უძღვნის იოსებ გრიშაშვილი და იუღების რუსეთს თუ უარყოფს, პუშკინების რუსეთი აღაფრთოვანებს: “...ცნობილია, როგორც პოეტს, მე არ მიყვარს ცივი ჩრდილო, მაგრამ გეტყვი შენ, ვავილო ყინულეთში ამოზრდილო, რომ თუმცა მოჰკვდა დღეს რუსეთი, თუმც გაჰყიდა ის იუღამ, პუშკინების რუსეთი კი ცოცხალია ჩემთვის მუდამ” (კ. მარჯანისვილს) (8,18).

თავისუფალ საქართველოზე მეოცნებე პოეტს ტირილიც ეკრძალებოდა, “ქვის ხურჯინი”, მიწის ორმო, ბორკილები, ჯალათები ელოდებოდა და უცხოეთისკენ სწრაფვაში ეხებდა ხსნას, როგორც ვრ, რობაქიძე, როგორც გ. ტაბიძე (წავალ! წავალ!) (8,20-21).

პატიმრობიდან გათავისუფლებული პოეტი ჩასაძირად განწირული გემის კაპიტანს ჰგავდა, დაღუპვას მოელოდა, ალაღბედზე წერდა წერილებს და ათავსებდა ბოთლში, იქნებ ოდესმე ვინმეს ეპოვა... მწარე გამოცდილება უკარნახებდა გულწრფელი აზრების საიდუმლოდ შენახვას.

“წითე სენსე”, სხამსა და ბოღმაზე ჩიოდა, ამო ლოდინი ტანჯავდა: “ძამო, მოგველო სენი წითელა, ყველას აუწყე, ყველას უთხარი. აწმყომ სიცოცხლე გადაგვიოთელა გაუფურჩქნავი, დაუკუთხავი... და მეც ძირამდის სევსვი მატარა, სხამით და ბოღმით რომ აპირთავდა”.

წითელ სენს ავადმყოფივით უფროხოდნენ საქართველოს უბედონის გამო ემიგრანტებად ქცეული ემიგრანტები: “გიუს მეზახიან, რომ მეშინია წითელი ფერის”, წერდა გიორგი ყიფიანი. იგი საუბრობდა “წითელ ქვეყანაზე”, “წითელ მესზე”, “წრდილოეთის წითელ მოდგმაზე” (12,586-590).

წითელი ფერის საშისროებას აფიქსირებდნენ კ. გამსახურდია (წითელი გველი, წითელი მამალი, წიტელი კირიპა, შაფროხიანი წითური, წითელი გზა, წიტელი ზღვა...), მ. ჯავახისვილი (წითელი გოლიათი, წითელი ეშმა), გალაკტიონი (წითელი ქარი, ჭიტელი მხედარი, წითელი ზღვა...).

იოსებ გრიშაშვილი ხედავდა საშინელი სიზმრების ახდომას, “ხნიერი მუხების” აკაფვას, ყელში აპეურს: “...ძველი სიზმარი ტფილისზე ახდა. ბევრი ხნიერი მუხა აკაფვს, მაგრამ ადგილი ვერ გაპარტახდა. ყელში ამომდეს მეც აპეური, ჩემს სამშობლოში დავდივარ ქეშად. გავყიდე ხმალი მე პაპეული, მამის სურათი და აზარფეშა”.

ბიბლიური დავითისა და საულის ისტორია მეორედებოდა დევმილ პოეტზე, ნატყვიარების ტკივილი ტანჯავდა, მაინც სამშობლოსათვის დაღუპულ ძმათა საფლაგზე დაიარებოდა (როგორც ტერენტი გრანელი) და თვისტომთა კუბოები აბოდებდა: “ხელში კორძები დაგვაქვს ბეჭდებთ ამდენ კუბოთა მადლა აწევით”.

ერთადერთი ოცნება ჰქონდა: ქალაქის გარეთ არ დაეხვრიტათ, ანდერძად იბარებდა დაეწვათ, ფერფლად ექციათ მისი სხეული (წერილები ბოთლში) (8,23-24). ეს ლექსი თარიღდება 1923 წლის 2 აგვისტოთი.

“წერილები ბოთლში” დაიბეჭდა სათაურით “წერილი სამშობლოდან” (გაზ. “კალმასობა”, 1997 წლის 17 თებერვალი). საგაზეთო კომენტარის მიხედვით, ეს ნაწარმოები მიუნხენში გამოცემულ ემიგრანტული ლიტერატურის კრებულში – “საქართველო” ყოფილა დაბეჭდილი ასეთი სარედაქციო მინაწერით: “ეს ლექსი ერთ ჩვენს თანამედროვე, ცნობილ მგოსანს ეკუთვნის, იგი დაწერილია 1924 წლის აჯანყების შემდეგ ხელნაწერის სახით. მან მოიარა მთელი საქართველო და უცხოეთშიც მიადწია. “კალმასობა” სთხოვს მკითხველებს, თუ ვინმემ იცის ლექსის ავტორის ვინაობა, შეატყობინონ რედაქციას”.

როგორც ნოდარ გრიგორაშვილის მიერ მიკვლეული საარქივო მასალებით ირკვევა, ამ მშვენიერი პოეტური ელეგიის ავტორი იოსებ გრიშაშვილი ყოფილა...

ამ პოეტური ბარათის ადრესატი აკაკი პაპავა უნდა იყოს. ეს აშკარად ჩანს მისი ლექსიდან “პასუხად ძველ მეგობარს”, რომელშიც იოსებ გრიშაშვილის ტერმინოლოგია ფიქსირდება: “მწერ, რომ ღრმა სევდა შენს გულს დააჩნდა, ჩვენი რაზმების უკან დახვეით, კორძები ბეჭდად ხელზე დაგვაჯდა ამდენ კუბოთა მადლა აწევით”, განმარტავს პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი (12,580-581).

იოსებ გრიშაშვილი ბედნიერი იყო ტფილისის ჰაერს რომ ისუნთქავდა, თბილისის კენჭებს რომ ფეხს ახვედრებდა, ეთაყვანებოდა პოეტებს, მხატვრებს, თამარს, რუსუდანს, სურდა ადგილის დედის ძალით ავსება, თუმცა ამოდ: “მაგრამ არ მწყალობს ბედი ფიცხელი, მიწა – გამსკდარი, ცა – მოღრუბლული, საქართველოც ისე მიცქერის, როგორც ილიას დაჭრილი შუბლი” (ტფილისის მიწა) (8,25).

საბჭოთა ეპოქის მახასიათებელი იყო დასმენა, ჭორების გავრცელება, დაუმორჩილებელთათვის ხუნდების გაჭედვა, ხსნის გზა არსად იყო: ‘ხსნა აღარ არის არც აქ, არც ზევით, არ გვწყალობს ეშმა, არც ანგელოსი და არც შენც დაეცი, ძვირფასო სეით, ასეა ბედი საქართველოსი!’ (შენც) (8,26).

ასეთი გულისტკივილით სავეს სტრიქონები უძღვნა პოეტმა რეპრესირებულ სეით დევდარიანს 1923 წელს.

გალაკტიონიც ხომ ხსნის გზის მიუგნებლობას ჩიოდა: “ჯვარს ეცვი, თუ გინდა საშველი არ არის, არ არის, არ არის?” (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში) (11,128).

მეოცე საუკუნის დასაწყისში ფუტურიზმის აპოლოგეტიც მარიონეტი შეაგონებდა ხელოვნების და კულტურის თაყვანისმცემელთ სიახლის სახელით უარეოთ წარსული, რაც აბსულუტურად მიუღებელი იყო იოსებ გრიშაშვილისთვის: “მესმის როცა იტაღეთში მარინეტი თავის ქნართ სწერს მანიფესტს და გაჰკვივის: “თქვენ, რომელნიც დაბრზანდებით არქივებში, მუზეუმში და მომავალს ვერ უყურებთ, ეზიარეთ სიახლესა და წარსული აპანდურეთ” (ტასოსთვის). ლექსი დაიწერა 1924 წელს.

პოეტის დევიზი იყო ძველი ნიჭის ახალი გზებით სვლა: “გაუმარჯოს ძველ თეატრსა – მომადახე შენც აღგზნებით, გაუმარჯოს ახალ თეატრს ძველი ნიჭის ახალ გზებით” (8,27-29).

1924 წლის აჯანყება სისხლში ჩაახშო რუსეთმა და ამ უაზრო მსხვერპლით გაოგნებული პოეტი კითხულობდა: “ო, ეს ცოდვა ვინა ზიდა? რა გინდოდათ, შორის გზიდან ნუთუ მისთვის ჩამოვედით, რომ დაგვტანჯოთ რკინის ღვედით? რომ გასწყვიტეთ ხალხი... ხალხი... და ჩააცვათ მშობელს თაღხი?!... ვინ ჩავითვლით მოსაწონად, მიწა ჰქონდეს ხალხს საწოლად, ცხვარივით და უბრძოლველად!... შორს ეგ ჯანყი სულელური; გადავრეკოთ მთაზე ნისლი... როგორც პოეტს, არ მსურს სისხლი” (როგორც პოეტს არ მსურს სისხლი) (8,31).

1924 წლის აჯანყებას უძღვნა გალაკტიონმა “მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა” (11,33-49), რისთვისაც მეტეხის ციხე იწვინა. შორაპანტან ვაგონებში დახვრეტილტა სისხლი წითლად ღებავდა ყვირილას, რაზედაც დაიწერა პოეტების მეფის ლექსი “მოწმეა რბევის და ტარეშის ხვადაგურის” (11,559).

ცნობილია, არც გრიგოლ რობაქიძე იყო ამ აჯანყების მომხრე, რადგან წინასწარ ჭერეტდა სავალალო შედეგებს...

1924 წლის აჯანყების ტრაგიკულად დასრულებამ შთააგონა ტერენტი გრანელს მტარვალთა საოცარი გაფრთხილების მანიშნებელი წიგნის დაწერა “მემენტო მორის” სახელწოდებით.

ტრაგიკული 1924 წლის კოშმარები მოსვენებას არ აძლევდა იოსებ გრიშაშვილს, პოეტი “სულის დადუმებას” ჩიოდა, გულს უკორტნიდა სამსობლოსთვის ჩასობილი არწივის ჭანგი, ხსნას ღმერთის სასწაულში ხედავდა, “გველესაპის ლახვარჩამცემ” რაინდს, ზეთისხილის რტოს ეძებდა: “არწივის ჭანგი ჩემს ქვეყანას ისევ ჩაესო, მტრედის სიმსვიდე მომანიჭე, უზუნაესო. აღარ ჩანს მიჯნა არც ბოროტის, არც კეთილისა... ღმერთო, სად არის შტო ბრწყინვალე ზეთისხილისა? (ვედრება უფლისადმი, როცა ღამით მადვიზებენ) (8,32-33).

როგორც იოსებ გრიშაშვილი კარგად ხედავდა, ქვეყნის უკეთესი შვილები როგორ იღუპებოდნენ ხსნის გზის ძებნაში და მხატვრული სიტყვით გლოვობდა გამოჩენილი ნოველისტის, სამშობლოს ნამუსის, კლდესავით მტკიცე პიროვნების, შიო არაგვისპირელის უდროოდ გარდაცვალებას, ამასთან წინასწარ გრძნობდა უფრო უარესს: “გულმა როდემდის უნდა ათრიოს ქვეყნის ოხრობა გლოვის ზარებად? ვინ იცის, კიდევ რამდენ პატრიოტს შენსავით გული გაეზარება. ძვირფასო! გაჰქრა

ჩვენთვის ყოველი, კაპასი სხივი ჩრდილმა დანისლა, ვინ იცის, კიდევ რამდენს მოელის აგრე სუქუმით მიწასთან მისვლა (გაბზარული გული) (8,34-35).

მედროვენი მოთვინიერებულნი, ხოტბას აღუვლენდნენ სატანურ ეპოქას, “საამურ ცხოვრებაზე” დარადებდნენ, იოსებ გრიშაშვილი “ურმის გადაბრუნების” ჟამს გველის ნაკბენს, “ჩრდილოეთის ჩახმახით” წამებას ამხელდა, “ჰამლეტის წამოსასხამს” ირგებდა და “ყოფნა-არყოფნის” დილემას ვერ გაქცეოდა პოეტი: “...და რომ გველის ნაკბენი ახლად დავათარილო – მსურს წამოვდგე ჰამლეტის ძველი წამოსასხამით. აჰა! “ყოფნა, არყოფნა!” ჩამწურხულებს რაღაც ხმა და არ ვიცი ტუჩები როგორ ავამეცხველო! რა წამებაც მარგუნა ჩრდილოეთის ჩახმახმა, იქნებ შენ დამავიწყო, საქართველოს ტყველო!” (ჰამლეტის წამოსასხამით) (8,36).

ლიტერატურა

1. გაზ. “კომუნისტი”, 1921, №84
2. ჟურნალი “მნათობი”, 1928, №7
3. “ლიტერატურული გაზეთი”, 1935, 25 თებერვალი
4. ჟურნალი “მნათობი”, 1930, №1
5. ჟურნ. “მნათობი”, 1931, №1-2
6. ჟურნ. “მნათობი”, 1928, №7
7. იოსებ ღორთქიფანიძე, იოსებ გრიშაშვილი, თბ. 1984
8. იოსებ გრიშაშვილი, დაუბეჭდავი ლექსები, თბ. 1992
9. რევაზ მიშველაძე, პოეზიის ეკლიან სარეცელზე, “მწერლის გაზეთი”, 2002 წ. 4-10 აპრილი
10. გაზ. “კომუნისტი”, 1990, 30 აპრილი
11. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
12. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი, 2002
13. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 4, თბ. 1995
14. გრიგოლ რობაქიძე, “ჩაკლული სული”, თბ. 1991
15. ნანა გაფრინდაშვილი, მარიამ მირესაშვილი, ნინო წერეთელი, სოციალისტური რევოლუციის თეორიული ისტორია ქართული ლიტერატურის მაგალითზე, წიგნი I, თბ. 2010
16. აკაკი ბაქრაძე, ტ. III, თბ. 2004

აღექსანდრე აბაშელის ობიექტური პოზიცია

აღექსანდრე აბაშელმა მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში არამარტო თავისი ლირიკით, “შაფხოხიანობითაც” დაიმკვიდრა ადგილი. ცნობილია მისი ფოტოსურათი, გადაღებული ვახტანგ კოტეტიშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, პავლე ინგოროყვასთან შავი ჩოხით 1921 წლის 25 თებერვალს. რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორე ოკუპაციით დამწუხრებულმა ამ რაინდებმა, ნიშნად დაკარგული თავისუფლების გლოვისა და არსებული ხელისუფლებისადმი პროტესტისა, შავი ჩოხები ჩაიცვეს, რაც იმ დროს დიდ გამბედაობას ნიშნავდა.

“შაფხოხიანთა” სახელს დაუკავშირდა აკადემიურ მწერალთა ასოციაციის შექმნა, რომელიც გამოირჩეოდა ანტიბოლშევიკური პოზიციით, ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის კრიტიკით. ამ ასოციაციამ გამოსცა ერთ-ერთი პერიოდული ორგანო “ხომალდი”, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო აღექსანდრე აბაშელი.

1929 წელს გამოვიდა პოეტის მესამე პოეტური კრებული “გაბზარული სარკე”, რომელიც საბჭოთა კრიტიკის განქიქების საგნად იქცა.

წიგნის ავტორს “მემარჯვენე რეაქციონურ” საქმიანობას საყვედურობდნენ, “წერილბურჟუაზიულ-მენშევიკურ, პროლეტარული რევოლუციისგან გაბითურებულ” პიროვნებად წარმოაჩინენ, რომელიც “მენშევიკების, მიკიტნების, მანდილოსან მამულიშვილების და სხვა რევოლუციისგან გაბითურებულ ხალხთა სევდას გამოხატავს”. ამ წიგნში პროლეტარული კრიტიკოსი პოულობს “გლოვის ზარს”, “გულამოსკენილ ზუზუნს”, “მეგრულ ქალების გაბმულ ტირილს გასვენების დროს” (1,38).

პროლეტარული კრიტიკისთვის მიუღებელია ა. აბაშელის ეროვნულ-მოქალაქეობრივი პოზიცია, “პოეტური ოსტატობის დაბალი დონე”.

“გაბზარული სარკის” მიხედვით აშკარაა აბაშელის გზა თავისი რეაქციონურ-მენშევიკური განწყობილებებით, ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის, გალაშქრება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობის წინააღმდეგ, ამასთან დაცვა ყველაფრის ძველის, წარსულის (შ. რადიანი) (2,71-73).

აღ. სულავა “გაბზარულ სარკეში” ხედავდა რევოლუციური პოეზიის აპოლოგეტის სვლას “ლიკვიდატორულ-პესიმისტურ დაცემულობამდე და აპოლიტიკურ წერილბურჟუაზიულ ესტეტობამდე. “ეს არც არის გასაკვირი, რადგან მისი შემოქმედება, მენშევიზმის წერილბურჟუაზიულ მერალ ჭაობში აღმოცენებული, მენშევიზმის ისტორიული სიკვდილის შემდეგ “გაბზარული” განწყობილებებისა და იდეების პოეზიას დაბადებდა”, ასკენიდა პროლეტარული ლიტერატურის ნაფიცი კრიტიკოსი (3,102).

აღ. აბაშელის პოეზია ქრისტიანულია, რწმენაში ხედავდა პოეტი გადარჩენის გზას და მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილი ასე მიმართავდა ჩვენს ციურ დედას: “ციურ დედავ, აგვიპერია შენსკენ ხელები, ტანჯვის წუთებში დაკბენილი მტკივან თვალებით”, რასაც ასე ოდიოზურად გამოეხმაურა ურწმუნოთა წინამძღვარი ბენიტო ბუაჩიძე: “აღმაშფოთებელი ის კი არ არის, რომ აბაშელი ლოცულობს, პოეტ ღვდელსაც არავინ დაუშლის რამდენიც უნდა ევედროს “ციურ დედას” და ამ “საქართველოს” მფარველმა დედამ თუნდაც ფოქსტროტი იცეკვოს და დააწყნაროს დასევდიანებული პოეტი; მაგრამ საბჭოთა მუშამ რა დააშავა, რომელიც იძულებულია 1929 წელში ააწყოს და დაბეჭდოს ეს მონაზვნური ბოდვა, ქაღალდის კრიზისია და ლენ-რაიონის 800 მუშამ რაღა დააშავა, რომელთაც, როგორც გამომცემლობა “ქართული წიგნის” ხელის მომწერებს, მიუვათ ეს წიგნი” (1,158).

კიტა ბუაჩიძე წერდა აღ. აბაშელზე: “აღ. აბაშელს – ამ ცივს, მეტად მშრალსა და განყენებულ პოეტს, ამ “მზის სიცილს” მდარე და მდორე პესიმით გამჭვარტლულ უგულო სარკეს წილად ხვდა მენშევიკების, მიკიტნების, ხანჯლოსან მამულიშვილების და სხვა რევოლუციისგან გაბითურებულ ხალხთა სევდის გამოხატვა” (მნათობი, 1930, №1, გვ. 156).

საპირისპირო შეფასებას ახდენდა პავლე ინგოროყვა 1940 წელს, პოეტის 60 წლის იუბილეზე: “გაბზარული სარკე ნამდვილი შედევრია პოეზიისა. ეს სარკე შესაძლოა გაბზარულია, მაგრამ გაბზარულია ამ ძვირფასი ქვების სიმძიმით, რომელიც აქ ხვავად მიმოუბნევია პოეტის ხელს” (4,89).

ტენდენციურმა კრიტიკამ, პარტიულობის პრინციპის გაფეტიშებამ აღ. აბაშელს უბიძგა საბჭოთა სინამდვილისადმი შემგუებლური პოზიცია დაეკავებინა 30-იანი წლებიდან, რაც, ფაქტიურად, მის პოეტურ დეკადანსს მოასწავებდა, მაგრამ ხელისუფლებასთან შეფიცული პრიმიტიული ლიტერატურული “არბიტრები” ამას პოეტის სულიერ აღმავლობად აცხადებდნენ.

1921 წლის 25 თებერვლის სახელმწიფოებრივი ტრაგედია აღ. აბაშელმა აღიქვა, როგორც ეროვნული უბედურება და არც დაუფარავს თავისი აღშფოთება.

ლექსში “ჩამქრალი სანთელი” (1921 წ.) საქვეყნო უბედურება ნახვენებია უცებ მოვარდნილი ქარიშხლის ზღაპრულ დევთა, ცეცხლის რვალების, დანგრეული ბროლის კოშკის, გაბზარული მიწის სახეებით: “უცებ მოვარდა ქარიშხალი ზღაპრულ დევებით და ატორტმენდა მწვანე სივრცე ცეცხლის რვალებში. აივსო ჩემი ბროლის კოშკი ცის ნანგრევებით და ქარმა სილა მომაყარა ღია თვალებში... გუგუნებს ქარი და ოცნება თვალს ველარ ახელს. გაბზარულ მიწას სშირად უვლის ტანს ქრუიანტელი. შარავანდელი ეკარგება პოეტის სახელს. ვაიმე, ჰქრება პოეზიის წმინდა ნათელი!”

სისხლის და ცეცხლის, დანგრეული კოშკის, ქარის გუგუნის, გადაფერდებული მიწის სახეებით გვიჩვენებდა საქართველოს ეროვნულ ტრაგედიას გალაკტიონ ტაბიძე (როგორც ებრძოდნენ ზარებს ზარები, კოშკი, მეოცნებე აფრებით) (5,138,72,211).

რევოლუციის კოშმარებით შთაგონებულია ალ. აბაშელის ლექსი “შორეული ნაპირი” რომელიც დაწერილია 1921 წელს. იგი დაიბეჭდა ჟურნალ “ხომალდში”, ამ ლექსში სრულიად დაუფარავადაა გამოთქმული ის ღრმა ემოცია, რომელიც მხოლოდ ანექსირებულ საქართველოში შეიძლებოდა გასჩენოდა პოეტს (ნანა გაფრინდაშვილი, მარიამ მირესაშვილი, ნინო წერეთელი, სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია, წიგნი II, თბ. 2010, გვ. 26).

ლექსის დასაწყისში ცის უეცარი აელვარება, “ცეცხლის ზეწარი”, ცეცხლის ფაფარიანი ქარი გვამცნობს თავსდატეხილ უბედურებას, რის შედეგადაც “სერაფიმების თეთრი კრებულის” გაუჩინარება ხდება. მის ადგილზე “შაფ-ფრთიანი გველები ივანებენ, პროპელერისგან ფრთებდაწყვეტილი “მწუხრის ანგელოზის” სავანეში ტყვიამფრქვევების კაკანი აფრუებს არემარეს.

ყვავილის ნაცვლად სახეზეა ნარი. მიწა ცის დაბნელების მოლოდინშია, უცნაური ხმებია, შიში მეფობს ირგვლივ. ხსოვნაში ანათებენ ხატები, თაფლის სანთელი, ბზის შტო, ჯვარცმა, მადონა, მირქმა, ხარება, ფსალმუნი, სახარება, რაც ნოსტალგიად უქცევია დროს. აშკარაა შემოღამება, უვარსკვლავო ღამეში მქროლი “შიშით მოცული უაფრო ნავი”. ცეცხლით და სისხლით არის ნაფერი სულის სარკე. განწირულნი ამაოდ ეძებენ ნაპირს.

რევოლუციის თანმხლებ ნგრევას აშკარად ხედავს პოეტი: “ცეცხლში უეცრად გადასხვაფერდა ძველი ფიქრები და იმედები და ილეწება ბორკილთან ერთად წარსულ დიდების თეთრი სვეტები”.

სისხლით დაფლეთილი მზე, გაფატრული ცა სიგიჟედ ევლინება პლანეტას: “ტკბილია სისხლით შეზარხოშება. ვრცელია ბრძოლის ხმის ასპარეზი. მზის ნაფლეთები წითელ დროშებად გადმოეკიდა ჩამქრალ მთვარეზე. და მიჰქრის მიწა, გიჟი პლანეტა, აღისფრად მოხანს ცა გაფატრული, მძაფრდება ომში რღვევის გრიგალი !... იქნება მიწის სურვილს უდიდესს სატანამ ადრე გადაუარა და სხვა ბორკილი, სხვა არტახები შესცვლის აწყვეტილ მერიდიანებს”.

სერაფიმებს, ანგელოზებს, ღმერთს, რწმენას შემოღამება ელოდება.

ლექსში მრავლად არის რელიგიური სახეები. ყვავილი, შუქი, ციური თასი, შორეული წვიმა, ანთებული ღრუბელი, ვარსკვლავი, მიუვალი გზა, უდაბნოელი, ძველი კოშკი, ელვათა სისხლი, მზე, მთვარე, ფრთამოწყვეტილი მწუხრის ანგელოზი, გაუჩინარებული სერაფიმები.

შუქი, ყვავილი, შორეული წვიმა, ვარსკვლავი, გზა, მზე საღმრთო სახელებია (6,122).

ღრუბელი, კოშკი, ცა, ელვა, მთვარე მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია (7,124).

თასი, ციური თასი მარიამზე მიგვანიშნებს, როგორც ფიალა, ჭიქა, აზარფეშა (8,15-123).

სიყვარულის, სათნობის სავანეს ეპატრონებიან “შაფ-ფრთიანი გველები, მოდის “შემოღამება”, უვარსკვლავო ღამეა, ნავი უაფროა, ცაზე წითელ “დროშებად” ჰკიდია “მზის ნაფლეთები”, ცა გაფატრულია, აშკარაა “რღვევის გრიგალი”, მიწაზე სატანის

მოვლინება, “სხვა ბორკილი”, “სხვა არტახები”, “რკინის გონების” ბატონობა ეჭვის ქვეშ აყენებს ყველაფერს.

მონობის მოსპობის სახელით მოვლენილი ძალა “წარსულის დიდების თეთრ სვეტებსაც” ლეწავს ბორკილებთან ერთად: “და იღეწება ბორკილთან ერთად წარსულ დიდების თეთრი სვეტები”.

ავადსახსენებელი 25 თებერვალი აღიქმება, როგორც კრწანისის ტრაგედია, ერის ტანჯვის ორი მწვერვალი: “და ერის ტანჯვის გამომხატველი იზრდება გულში ორი მწვერვალი, ერთი ნაღველის ორი სახელი: კრწანისის ველი და თებერვალი”.

“ეს ლექსი ამ სტროფიანად გამოქვეყნდა 1921 წ. ჟურნალ ხომალდში”, წიგნი პირველი, რისთვისაც პოეტმა განიცადა დევნა-შევიწროება. შემდეგში ალ. აბაშელის არც ერთ კრებულში ეს სტროფი არ შესულა” (9,29).

ლექსში აშკარად დაპირისპირებულია ძველი, მართლმადიდებლური ქვეყნის ეროვნული იდეალები წარსულის სულიერ ღირებულებებთან და ბოროტების სიმბოლო “შავ-ფრთიანი გველები”, ნარი, საშიშარი ქარები, შემოღამება, უვარსკვლაფო ღამე, უაფრო ნავი, ცეცხლი, დანგრეული ზღუდე, დაფლეთილი მზე, ჩამქრალი მთვარე, გაფატრული ცა, როგორც ურწმუნოების, ბოროტების შედეგი. პოეტი ამიტომაც ქმნის ძველი დროის რეკვიემს.

მიუხედავად მწუხარე განცდებისა, რაც გამოწვეულია ტოტალური განადგურების სურათის ხილვით, პოეტს “უცნაური ხმა” ჩასჩურჩულებს იმედიან სიტყვებს: “არ არის მკვდარი !”

აკაკი წერეთელიც ხომ ირწმუნებოდა: “არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო” (ავადმყოფი) (10,226).

პოეტს აწამებს “რღვევის გრიგალის” მასშტაბი, აწვევტილი ბოროტების ყოვლისშემძლეობა: “ ვინ იტყვის მაშინ, სად დამშვიდდება რკინის გონება აზავთებული ! სად დაემხო ბრძოლის დიდება და სად ჩაქრება გზა ანთებული!” (შორეული ნაპირი) (9,26-31).

1922 წლით არის დათარიღებული ალ. აბაშიძის ლირიკული პოემა “ტანჯვის ბარძიმი”, რომელშიც საუბარია “ფიქრთა სურნელების” დაშხამვაზე, “ყოველი მხრიდან გამოკეტილ “ქვეყანაზე”, სადაც “სული დაბმულია” და გასაქანს ვერ პოულობს. ამ ნაწარმოებში დროის მახარობლად ისევ ჩნდება “ასპიტი გველის” და “სისხლის ლანგრის” სახე: “ასპიტ გველივით იკბინება ყოველი წუთი და თავს ბალიშად ენატრება სისხლის ლანგარი”.

ალ. აბაშელმა ქვეყანა წარმოიდგინა ციხედ, სადაც ვერ აღწევს “წინაპართაგან გადმონაცემი თესლი კეთილი”.

პოეტი პირდაპირ ეხება მრავალთათვის საწუხარ პრობლემას და სვამს კითხვას: “რას მოგვცემს ეს დრო, სისხლითა და ძვლებით ნალესი ?”

და პასუხიც არაორაზროვანია: “გათამაშებული დეპეშებით” ჩვენში მოსულმა რევოლუციამ “მძიმე ურდულით გადარაზულ” ქვეყანას აურაცხელი უბედურება დაატეხა თავს, “მტრობა და ზიზღი” იქცა ცხოვრების წესად და “მთელს ქვეყანაზე დარჩა ერთი გზა: რკინის და სისხლის! რკინის და სისხლის!”

გალაკტიონი “ზეცის ნგრევას, მიწის გადაფერდებას” აფიქსირებდა (მეოცნებე აფრებით) (5,211).

ალ. აბაშელი ანალოგიურ მდგომარეობას “მიწის ატორტმანებით” გადმოსცემს: “ჩვეული გზები ყველა დაჰხურა მიწის უჩვევემა ატორტმანებამ” (მეოცნებე დღიური, 1925 წ.).

1922 წელს დაიწერა “თეთრი კოშკი”. მასში დაღადავს ობიექტური ვითარებით გამოწვეული ტკივილები. პოეტს სიზმარშიც არ ასვენებს კოშმარები, ეკლინება ხილვები დანგრეული კედლებისა, მძარცველებისგან დამწვარი ციხე, დათალხული,

აქვითინებული თეთრი კოშკი: “ სიზმრით დაბინდულს მოგონებას შეეშინდება, როცა დასცვივა დანგრეული კედლის თაღები. ციხეს დასწავვენ მძარცველები და ყაჩაღები და დათაღხული თეთრი კოშკი აქვითინდება” (9,32).

ლექსში მაინც იმედიანი ინტონაცია ჭარბობს: “შემოღამების ფერისცვალება”, “შორეული მზის ბრწყინვალება”, “ნათელი შარავანდელით” გაბრწყინებული საქართველო, ძველი კოლხეთის დიდება, განახლება სარწმუნოებისკენ მობრუნებით უნდა მოხდეს, ხარებისას საკმევლის სული უნდა ავიდეს ცაში, უნდა აყვავდეს ნინოს ჯვარი: “ და საქართველო კვლავ მოისხამს ნათელ შარავანდს, სიზმარში სული ძველ სამშობლოს უცებ მიაგნებს, – ძველი კოლხეთის გაბრწყინდება ამაყი ღერბი. ზღვაში გემები გაანათებს ცისფერ იალქნებს და ძველ ნაპირზე ამალღდება მრისხანე კერპი. აიტანს ცაში საკმეველი სულის ხარებას და აყვავდება სათნოება ნინოს ჯვრისა”.

მზერას წარსულიდან ელანდება საცეცხლურის ელვარება, ძველი დროშა, თამარის ციხე, ჩაკეტილი დარიალი: “ახლაც ინახავს დაორთქლილი სარკე მტკვარისა კომლში გახვეულ საცეცხლურის ცხელ ელვარებას. აანთებს ხავერდს ძველი დროშა ფერგადასული (ოცნებისათვის წარსულისკენ გზა მუდამ არის). მოსჩანს შორიდან დარკინული ციხე თამარის და დარიალი, ბროლის ჯაჭვით გადარაზული”.

როგორც ვხედავთ, მომავლის რაინდული საქართველო მისთვის მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანულია, ციხისა და დარიალის კარები ჩაკეტილია. ბოლშევიკები კი მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გაერთიანების იდეით გამოდიოდნენ და გახსნილ კარებში ახლობელის ადგილს შორეული, მშობლიურისას გადამთიელი იკავებდა და კოსმოპოლიტური ინტერნაციონალიზმი პატარა ერების გადაგვარება-გადაშენების წისკვილზე ასხამდა წყალს, რაც მიუღებელია ალ. აბაშელისთვის, როგორც ბოლშევიკების ანტიხალხური, ანტიეროვნული მოძღვრება.

1924 წლის სისხლიანი ტრაგედიის ანარეკლია ლექსი “სიცხე ქალაქში”, რომელშიც შიშის, ძრწოლის, მარცხის, “მარჯვნივ და მარცხნივ ხიფათის” მოლოდინით გული დასერილი აქვს პოეტს.

ალექსანდრე აბაშელისთვის მიუღებელი იყო პარტიის დირექტივები, ხელისუფლების შეკვეთებით წერა, მედროვეობა, რითაც ამაყოფნენ პროლეტარული ხელოვნების წარმომადგენლები.

ცნობილია, რომ ასეთებს მიხეილ ჯავახიშვილი “სულით საჭურისებს” უწოდებდა.

ალექსანდრე აბაშელმა ბევრჯერ იწვინა პროლეტარული მწერლობის უღელური წარმომადგენლების კრიტიკა, უზნეო გამოსდომები (შ. რადიანი, ბ. ბუაჩიძე, ალ. სულავა და სხვ.). ხელისუფლებისგან ხელდასხმულ კალმოსანთა, უნიჭოთა თვითდაჯერებას, ფუჭ ამბიციებს პოეტმა ასეთი სამართლიანი განსჯა შეაგება: “პროლეტარულმა მწერლებმა ვერ შესძლეს რაიმე ახალი ღირებულებების შექმნა. მათი ლექსები ვერ გასცილებია ძველ შაბლონს. ლექსების ფორმა ახალმა პოეტებმა ვერ გარდაქმნეს და შინაარსიც ძალიან გაამარტივეს. ფაბრიკის საკომურები, მანქანები, ოქტომბერი, კრემლი, ისპოლკომი, ელექტროფიკაცია და სხვა ამგვარი სიტყვები, აი, რა მასალა ასაზრდოებს დღეს პროლეტარულ პოეზიას. პოეზია გადაიქცა პროპაგანდა-ავიტაციის იარაღად” (11,181).

ძალზე საყურადღებოა 1926 წელს ნოე ჩხიკვაძისადმი მიძღვნილი ლექსები, რომელიც ნაწარმოების ადრესატის პიროვნული ტრაგედიის გააზრებისა და პოეტური ღვაწლის შეფასების გარდა, შეიცავს მოსაზრებებს შემოქმედის დანიშნულებაზე, ზნეობაზე, სულის უკვდავებაზე, საბჭოთა პერიოდში მხატვრული სიტყვის მისიის დაკნინებაზე, მართალი სიტყვის გაიშვიათებაზე.

ალ. აბაშელის აზრით, ჭეშმარიტი პოეტი მირონცხებულია, ქრისტესავით ჯვარცმული და ქრისტესავით ცაში ამალღებული, რადგან სული მარადიულია და წმინდა ადამიანები გარდაცვალების მერე ზეცაში ივანებენ”: “იყავ პოეტი

მირონცხეული, გახდი ჯვარცმულის მონათესავე. ასე მგონია: ხარ ქრისტესავით მეშვიდე ცაზე ამადლებული. სულს განწვევია ნაიარვეი, გარს გახვევია შუქის მორვეი. თეთრ ვარსკვლავებში დაიარები ტყეს შეფარებულ ნიამორივით”.

ლექსის ავტორი თავის თანამედროვეობაში ვერ ხედავს ნიჭიერთა ასპარეხს, რადგან პოეზიამ დაკარგა თავისი საღვთო დანიშნულება, ლოცვის მოტივები, ადამიანის ტაძრისკენ მიყვანის, სულიერი განწმენდის ფუნქცია, აღარ არიან ბარათაშვილივით ციდან მქუხარე, ვაჟასავით მთიდან ხარივით მყვირალი პოეტები, ლექსი ყოველდღიურ წვრილ ამბებს ეხმაურება, გაზეთების ინფორმაციებს ლექსავს, ხელისუფლების პოლიტიკის მხარდამჭერი, აგიტატორი და პროპაგანდისტია, ამიტომ ეხუთება “სიტყვას სული”, როგორც დიდი გალაკტიონი ბრძანებდა.

ალ. აბაშელის ლექსი ჭეშმარიტი პოეტებისა და მედროვე, წვრილ-წვრილ ინფორმაციებზე მონადირე კალმოსნების შედარება-შეპირისპირებით მთავრდება: “მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, – დაეცა ლოცვა და პოეზია. მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი და ახალს ჩრდილი შემოესია. გაგვიკვირდება: ლექსს რათ არ შევლის, – რომ კვლავ ამადლდეს რჩეულ ხარისხად, – ციდან ქუხილი ბარათაშვილის, მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა ! ახლა ქუხილი არ ისტამბება, ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან, ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდან” (წერილი ნოე ჩხიკვაძეს) (9,32-34).

ამ სტრიქონებში მართლაც კლასიკური სრულყოფილებით არის გამოხატული ეპოქის, ლიტერატურის მთავარი სატიკვარი, რაც ჭეშმარიტებაზე, მარადიულ სიბრძნეზე, სულის მზრდელ სიტყვაზე უარის თქმაში და წარმავალი მოვლენების, სატანისტური ხელისუფლების, არარსებული წარმატებების, ცრუ ბელადების განდიდებაში, მხატვრული შემოქმედების უზენაესი მისიის დაკნინებაში მდგომარეობს.

ალ. აბაშელის განდგომა წვრილსულოვანი, არაეროვნული ხელისუფლების პოლიტიკისგან, უარისთქმა შაბლონზე, სტანდარტზე, შეკვეთებზე დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხოვდა, რადგან ამა ქვეყნის თავადნი უნიჭობას უკმევედნენ გუნდრუკს და სიმართლის მსახურთ ავიწროებდნენ.

ლექსი “ჩემს მასწავლებლებს” (1916 წ.) დაწერილია ტენდენციური, უნიჭო ოპონენტების საპასუხოდ და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ალ. აბაშელის კრეატივზე. მასში მიგნებული ეპითეტების გამოყენებით გააიციხული არიან “უსინათლო ლამპარნი”, “მხოლოდ ჩრდილთა მფენარნი”, “უფრთებოდ შობილნი”, “ვიწროდ შემოღობილნი” “უმზეო ოცნებით” უგრძობნი ვერ შეიგრძნობენ “მზის სიცილს” ავტორის სულიწმინდის მაღლით გამორჩეული სიტყვის ძალას: “რომ მიწუნებთ გაღობას, რატომ არ მეკითხებით, თუ ვფიქრობდი მე თქვენზე ჩემ ლექსების წერის დროს ? ჯობს, თვალებით სწეული მზის სინათლეს ერიდოს ! უქმად მოღალადენი თვითვე გაიციცხებით !”

მართლაც, წუნდაუდებელია ალექსანდრე აბაშელის ლოცვა-გაღობის ინტონაციით, ოპოზიციური განწყობილებებით, ეროვნულობით, რელიგიურობით, მოქალაქეობრივი გამბედაობით გამორჩეული ღირიკა.

ალექსანდრე აბაშელის პიროვნულ გამბედაობას მოწმობს ერთი ფაქტი მისი ცხოვრებიდან. პოეტი ქალიშვილთან ერთად 1921 წლის მარტში საქართველოს დევნილ მთავრობასთან ერთად უცხოეთში მიემგზავრებოდა. საშა აბაშელი ბავშვიანად ლამის დაძრული გემიდან ჩამოვიდა, – უსამშობლოდ ცხოვრებას რა აზრი აქვსო, – და თბილისში დაბრუნდა. ეს ისეთივე გამბედაობა იყო, როგორც შემდეგში მისი სტატია “პროლეტარიატი და პოეზია” ანდა განხმაურებული ლექსების “წერილი ნოე ჩხიკვაძეს”, “შორეული ნაპირისა” თუ “მეოცნების დღიურის” გამოქვეყნება (თამარ ცინცაძე, აბაშელის საგა) (12,41-42).

“შემარჯვენე რეაქციონერთა ბანაკში” მოიხსენიებდა ვაშაყმაძე კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილს, შ. დადიანს, გრ. რობაქიძეს, ალ. აბაშელს, გ. ქიქოძეს, ვ. კოტეტიშვილს

(13,32), მაგრამ დრომ დაადასტურა ამ მწერლების პოზიციის სისწორე და ხელისუფლებისგან დაქირავებული პროლეტარული კრიტიკის უსამართლობა, უგემოვნობა.

ლიტერატურა

1. ჟურნ. “მნათობი”, 1930, № 1.
2. “მნათობი”, 1931, № 1-2.
3. “პროლეტარული მწერლობა”, 1929, № 10-11.
4. კრებული “პოეზია”, თბ. 1985.
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988.
6. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
7. ტიტე მოსია საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.
8. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბ. 1996.
9. ოპოზიციური ლიტერატურა, “ამირანი”, თბ. 1990.
10. ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, თბ. 1980.
11. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ქუთაისი, 2002.
12. ჩვენი მწერლობა, 15 ოქტომბერი, 2010, № 21 (125).
13. ნანა გაფრინდაშვილი, მარიამ მირესაშვილი, ნინო წერეთელი, სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია, წიგნი II, თბ. 2010.

საქართველოს პოლიტიკური ავღარი და კოტე მაყაშვილის გოდება

კოტე მაყაშვილი ჭეშმარიტი მამულიშვილი, ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო მეოცე საუკუნის 20-იან წლებში.

ის იყო ქართველ მწერალთა კავშირის დამაარსებელი და თავმჯდომარე ათი წლის მანძილზე, ქართული სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული და დრამატული საზოგადოების დამფუძნებელი.

იოსებ გრიშაშვილი მას მოიხსენიებს “პოეტთა თავადად”, ლეო ქიაჩელი მწერალთა კავშირის “დიდ ფიგურად”, მიკოლო მიწიშვილი კი “ქართული ლიტერატურის სინდისად” და “უნაზეს ლირიკოსად”.

პოეტი 1927 წელს გარდაიცვალა ეროვნული და პირადი ტრაგედიით სულიერად განადგურებული.

1921 წლის 11 თებერვალს რუსეთმა ჩვეული ვერაგობით დაარღვია 1920 წლის 7 მაისს დადებული მეგობრული ხელშეკრულება და სომხეთიდან შემოიჭრა საქართველოში, 15 თებერვალს ახალი ფრონტი გაიხსნა ზერბაიჯანის საზღვართან მე-11 წითელი არმიის მიერ, ჩრდილოეთ კავკასიიდან, დარიალის ხეობით, მამისონის უღელტეხილით და შავი ზღვის სანაპიროთი, სოჭის მიმართულებით შემოიჭრნენ მე-8, მე-9 და მე-13 არმიების ნაწილები (1,17).

განსაცდელის ჟამს ქუდზე კაცი გამოვიდა.

ახალდარსებული თბილისის უნივერსიტეტის წინ შეიკრიბა თბილისის ახალგაზრდობა და საომრად წასვლა მოითხოვა.

“ქართველსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო” – ამ სიტყვებით დაულოცია უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილს ქართველი ახალგაზრდობა.

გამანაწილებელ პუნქტში იმდენი ახალგაზრდა შეგროვიდა, რომ ქალების უკან გაბრუნება უცდიათ, მაგრამ მარო მაყაშვილს უთქვამს: “თანამემამულეთა ცრემლი და სისხლი სადაც იღვრება, მე იქ უნდა ვიყო!” (1,18).

მარო მაყაშვილი თბილისის უნივერსიტეტის სიტყვიერებისა და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მეორე კურსელი იყო. იგი კოჯრისკენ გაჰყვა სანიტარულ რაზმს მოწყალეების დად.

19 თებერვალს იმსხვერპლა გვერდით გამსკდარი ყუმბარის ნამსხვრევებმა პატრიოტი ქალიშვილი, რომელსაც გენებში მამი პოეტური სისხლი უდუღდა.

კოტე მაყაშვილისთვის თავს დატეხილმა ორმა უმძიმესმა ტრაგედიათა თავი იჩინა მის ლექსებში.

თავისუფლებადაკარგული სამშობლოს მდგომარეობას სიკვდილს ადარებდნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, იოსებ გრიშაშვილი. მზის გარდაცვალებად აღიქვამდა გალაკტიონი რწმენის, სიკეთის, თავისუფლების იავარქმნას (მას გახელილი დარჩა თვალები) (1,137).

კოტე მაყაშვილი თავისუფლების წაშლილ კვალსაც ვერ პოულობდა, სიბნელე, სიცივე, მკვდარი მზე, შავი ნისლი, მარტოობა, მკვდრული დუმილი აწამებდა: “გაჰქრა კვალი! ბნელა, ცივა... მოკვდა მზე! გულში გაწყდა რაღაც... მტკივა!... მოკვდა მზე! შავი ნისლი ბურავს არეს, მიწის მკერდს! სევდის ფიქრი გულზე მცვივა... მოკვდა მზე, ვინ ხარ? რა ხარ? გახსენ კრიჭა, სთქვი! ბნელში ჩემი ხმა ვერ მივა, მოკვდა მზე! მოდი ჩემთან, ერთად მოვკვდეთ! ...არსაით ხმა! ისევ მარტო... მცივა... მტკივა! მოკვდა მზე!” (3,16).

ლექსში “მარო მაყაშვილს” (3,16-17) გაერთიანებულია ორი გაუძლისი ტრაგედია, გამოწვეული უსაყვარლესი შვილის დაკარგვითა და სამშობლოს დამონებით: “...არც სიცოცხლის, არც სიკვდილის ადარა მაქვს ხალისი, თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი! გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე ლოდებით... საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებით...”

მაისში ზამთრის ყინვა ელანდებოდა გალაკტიონს: “მაისის დღეებს ის მოეღის, ვით ზამთრის ყინვას, თითქოს სამუდამოდ დამტკნარა მდელი...” (1,34) ამბობდა გალაკტიონი. და ამაში უდიდესი პოლიტიკური ქვეტექსტია, ავდარი, ზამთარი, თოვლი, ყინვა, “ფიფქით მტრობა” პოეტისთვის ასოცირდება მუხანათ ყინულოვან იმპერიასთან, ამიტომაც ამბობს: “...რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია, რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო” (სამშობლო შავი ღუციფერის) (1,193). პოეტი აგვისტოს თოვლზე საუბრობს და ამაში 1924 წლის აჯანყების ტრაგედია იგულისხმება... უფრო მეტიც, ვფიქრობთ, მისი “ივლისფერი ყინვის თასები” ანი ივლისის ყინვა ასევე პატრიოტული ელემენტის ქვეტექსტებით არის სავსე (ალეები თოვლში) (2,47).

ამაღ აღმოჩნდა რუსეთის სუსხიანი “ქარ-ყინვისათვის” თავის არიდების მცდელობა.

კოტე მაყაშვილი თავისი “გმირი და წმინდანი” შვილის აჩრდილს მოუხმობს გასამხნეებლად: “დავიდალე... დავიწაგრე... და შენი ვარ მხმობელი, ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე მშობელი! სამშობლო თუ შენ – რომელი, ახ, ვიტყვო რომელი?! დავდნი ცრემლად ორივესთვის სხვათა ცრემლთა მშრობელი!”

მაგრამ “წუთიერი სისუსტის” დაძლევაში პოეტს ესმარება თავისი შეუპოვარი შვილის ხსოვნა: “მაროს მამა ლაჩარავით როგორ უნდა შევშინდე?!... შენ ღირსი ხარ ჩემი და მეც შენი ღირსი ვიქნები!”

ერთადერთ გამოსავალს პოტი სიმტკიცეში, ერის სადარაჯოზე ურყევად დგომაში, “ავდრის” გაძლებაში ხედავს და ტუ სიკვდილი უწერია მეხით, ცეცხლით, შვილივით უდრეკად, რაინდულად უნდა დატოვოს საწუთრო: “შემომხედე! მუხასავით ვდგავარ მედგრად, წყნარადა. სადარაჯოს არა ვსტოვებ, ავდარს ვაგდებ არადა! და თუ ბედმა

წამაქცია მეხით, ცეცხლის მკვერავით – წავიქცევი უდრეკელი, რაინდულად, შენსავით!” (1922 წ.) (3,17).

ამ პოლიტიკურ “ავდარს”, უამინდობას, ზამთარს, სიცივეს, ყინულისგულიანი მეზობლის “გამყინებელ მკვლელ თვალთა ცქერას” მრავალგზის აფიქსირებდა გალაკტიონ ტაბიძე და ეს ერთგვარი სახეები საერთო-სახალხო ტრავმებით იყო ნასაზრდოები.

ლიტერატურა

1. ოპოზიციური ლიტერატურა, ამირანი, თბ. 1990
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
3. ოპოზიციური ლიტერატურა, ამირანი, თბ. 1988
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1992

გიორგი ლეონიძის კრიტიკული შეძახილი ტირანული ხელისუფლებისადმი

ანთეოსივით მშობელი მიწით ძალმიცემული ქართული ეროვნული ფენომენის, სულიერების, ჰუმანიზმის მედროშე, სიკეთის, სიყვარულის, სიჭაბუკის ემბაზში განბანილი პოეტი იყო გიორგი ლეონიძე. სულიწმინდას მისთვის უხვად დაებერტყა პოეტის, პროზაიკოსის, მეცნიერული ნიჭი, ერის მოძღვრად, წინამძღოლად, ტრიბუნად, ხევისბერის მისიით იყო ქვეყნად მოვლენილი. მისი ჩანგის სიმები სულ სიხარულის, სიყვარულის, აღტაცების, ძლიერების, ქვეყნის მარადიულ საგალობლებზე იყო აწყობილი... გიორგი ლეონიძე საქართველოს მარადიული თანამდევნი სულია...

იცხოვრა ძნელბედობის უამს, ათეიზმის ზეობისას, ტორალიტარული რეჟიმის პერიოდში.

მოესწრო სამ რევოლუციას, თავისუფალ საქართველოს ხელმეორედ ოკუპაციას წითელი რუსეთისგან 1921 წლის 25 თებერვალს, 1924 წლის აჯანყებას, 30-40-იანი წლების გაუგონარ რეპრესიებს, მისი სიცოცხლის ბოლომდე მძვინვარებდა ავადსახსენებელი ათეიზმის ქარი, იღვენებოდა მართალი სიტყვა.

გიორგი ლეონიძე ბოლომდე მოთვინიერებული ჩანდა ყოვლისშემძლე ხელისუფლებისაგან, საბჭოთა იმპერიის მესაჭეს უძღვნა პოემა “სტალინის ბავშვობა და ყრმობა”, თითქოს არსად დასცდენია წყობილების აუგი.

მაგრამ პოეტის ენთუზიაზმის, მუდმივსახეიმო აღტაცების და იმედიანი განწყობილების მიღმა მაინც იმალებოდა დაეჭვება ქვეყნის არასწორი, არაადამიანური გზით სვლის გამო, რა როცა ერთადერთი ძმა რეპრესიის მსხვერპლი გახდა, გიორგი ლეონიძეს ხმამაღლა უთქმელი ეჭვები, უნდობლობა ტირანული პოლიტიკისადმი მაინც გამოჟონაეს ერთ ლექსში, საიდანაც ვიგებთ, რომ არც ისე მყუდროდ და მშვიდად უცხოვრია ამ უწყინარი ხოსობის მეხოტბეს, არც “გემოწმინდას” დასწავებია ბოლომდე: “რა ლექსი გინდა, ჩემო დროებავ, გამაგებინე – რა ლექსი გინდა, რომ არ მომეცი მე მყუდროება, არც წყალი მასვი მე გემოწმინდა”.

ეპოქისადმი ეს ზოგადი საყვედური შემდეგ სტრიქონებში მიგნებულად კონკრეტდება და იხატება სურათი სახრჩობელებით სავსე ქვეყნისა, ფრთის, ფრენის, თავისუფლების მტერი ხელისუფლებისა, რომელშიც კაენის სული იყო აღზევებული და რომელმაც პოეტის ერთადერთი უდანაშაულო ძმაც გასწირა: “რად დამიგრიხე ხორხზე საბელი და ფრთაში წყლული რად გამიჩინე, რად აკვლევინე კაენს აბელი, რომ ერთი ძმაც კი არ შეპარჩინე”.

“ეს ლამის ბოლო ლექსი ჰიორგი ლეონიძის თავისებური პოეტური განაჩენი იყო იმ მკაცრი დროის მიმართ, სიცოცხლე რომ მოუშხამა ქართველ პორტთა არაერთ თაობას”, წერს რევაზ მიშველაძე (უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1998, გვ. 337).

ეს ლექსი თემატურად იმ ლექსს ენათესავება, რომელმაც უსამართლოდ, წამებით შეიწირა მისი ნიჭიერი მეგობარი პოეტები – ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი.

გიორგი ლეონიძემ მხოლოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შემდეგ გაბედა პროტესტის გამოხატვა: “უძოზე ისევ მღერის ბუღბული, ისევ მაისის ჩახჩახებს ღამე. თქვენ კი სადა ხართ გადაბუგულნი, გადაფერფლილნი, ძმებო, ხმა გამეთ”.

მათი ტრაგედიის მომსწრეს, უმეგობროდ დარჩენილი, გვიან, მაგრამ მაინც ცრემლიანი იღებს ქამებუღი პოეტური ძმების სადღეგრძელოს: “თქვენმა წამებამ გული დასერა და უთქვენობა ვით არ მეძნელოს, თუ ღვინომ ყანწი არ გაასველა, ცრემლით ავავესებ თქვენს სადღეგრძელოს”.

გვიან აღიარებს პაოლოს და ტიციანის უდანასაულოებას თავის დროზე რკინის ლაგამით დადუმებული გიორგი ლეონიძე: “ნეტავ რა გქონდათ შესანდობარი ან რათ ვაწვეოთ მე პურზე ღვინოს? ჰვი, ტიციან, სად ხარ მღუმარი, ჰვი, პაოლო, სად ხარ უღვინოდ”.

გიორგი ლეონიძე არ იყო ქვეყნის ტრაგედიებს შემგუბელი პოეტი, ეს ჩანს 20-იან წლებში დაწერილი ლექსებიდან, საიდანაც ჟონავს ცრემლი, სისხლი, გაუნელებელი ტკივილი.

ლექსი “საქართველო” დაწერილია 1924 წელს. მასში სამშობლო აღიქმება, როგორც “სისხლის საპალნით დატვირთული”, დაჩქმილი, სულში შხამებით, დარიალის კარებშეხსნილი, ხან???????, კონდიტიერებით, სოღანლულში დატრიალებული უბედურება შამქორთან არის ასოცირებული, მხოლოდ ღვთისმშობელი და სააკაძისებური შემართება ენუგეშება პოეტს: “...ვინ დაჩქმილი ჩემი სული შხამებს დარია. აქაფებულა შუაღამე, როგორც ჯაგარი, ვიღამ დაინდოს, ვინ შეაბას კარად დარიალს. ტაძარს ალავერდს შემოაფრენს ტაღლას მორევი, დგანან უხანგში ღვთისმშობელი და მოურავი, რკინის პალოზე გადავარდნილს ვხედავ ხანძარებს. მოდის შამქორი, სოღანლული. დროშების მტვერი. ზურნით ფაღანგებს მოუძღვება კონდოტიერი და შენი სისხლი გაჭედილი, შიშით ზანზარებს”.

1922 წ. “ბარეკადში” დაუბუჭდავს პოეტს ლექსი “სახრჩობელიდან”. თვით სატაურიც კი გეზარავს. ჯალა-ედ-დინების ხსენება, “შავარშიანი” მტრისგან გამოშიგნული მიცვალებული, მტვრადქცეული ძვლები, მონგოლისგან დაცოქებული ლაშქარი, სისხლი, სახრჩობელაზე აყვანილი რჩეული რასა დაღადებს იმ უთანასწორო ბრძოლაზე, რომელმაც სასიკვდილოდ გაწირა მაგარი ჯიში. ლექსი მთლიანად უიმედობას ავლენს: “დაობებული შენი თესლი ვერ დაიჭექებს, ვეღარ აყვავდეს შენი ძვლები მტვრად დაგროვილი. და მონგოლისგან დახარჯული ძირს ჩაიხოქებს შენი ლაშქარი, დასირმული, დაოქროილი. მოდგა და მოდგა დარუბანდით სისხლის დგანდგარი, დატემა რიყითსაძოვარი შრატით მცვრეული. და ჩემი რასა – ულაყების ჯიში მაგარი, საღრჩობელიდან იყურება განაცრებული” (აკაკი ბაქრაძის წიგნიდან, თხზულებანი, ტ. III, თბ. 2004, გვ. 286-287).

წითელი გველეშაპის მხილება პაოლო იაშვილის პოეზიაში

ქართველ სიმბოლისტთა – „ცისფერყანწელთა“ უცვლელი თავკაცი პაოლო იაშვილი არა მხოლოდ ამ სიახლის პრეტენზიით მოვლენილი ლიტერატურული გაერთიანების

ცენტრში იდგა, არამედ იყო ჩვენი ეროვნული, რელიგიური, ზნეობრივი, პოეტური ცნობიერების დირიჟორი.

ცნობილია ირაკლი აბაშიძის განცხადება მის შესახებ: „პაოლო იაშვილის ლექსი საბადოდან ნიმუშად წამოღებული ძვირფასი მადნის ნატეხს ჰგავდა, ან მარნიდან საჭაშნიკოდ მოტანილ ღვინოს“ (იაშვილი, 1965, გვ. 5).

გურამ ასათიანი პაოლო იაშვილის ლექსებს „ჰაერში გაქვეავებულ შადრევანს“ ადარებდა (ასათიანი, 1983, გვ. 135).

პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილ ლექსში პაოლო იაშვილი წერდა: „და გულში გივლის მკივან ალივით შენ რუსთაველის მერიდიანი“ (პავლე ინგოროყვას) (იაშვილი, 1965, გვ. 154).

ამ სტრიქონების პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, „ცისფერყანწველთა“ თავკაცის გულში არა მხოლოდ ქართული ყოფის მერიდიანები იყო გავლებული, რუსეთის, ევროპის, მსოფლიოს გლობალური მტკივნეული პრობლემებიც ირეკლებოდა.

პაოლო ბედისწერამ სიახლის მებაირახტრედ მოავლინა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში, როცა აკაკი წერეთლის ეპიგონებმა დააკნინეს მხატვრული სიტყვა. პარიზში განსწავლული „დენდი“ ეროვნული სულის, ცნობიერების, პოეზიის განახლების მისიით გამოგვეცხადა.

დღეს საეჭვო არ არის „ცისფერყანწველთა“ როლი ქართული პოეზიის რენესანსში, თუმცა ლექსის ჭეშმარიტი ნოვატორი და რეფორმატორი გალაკტიონ ტაბიძე იყო: „განახლების პროცესში მონაწილე არცერთ ზემოხსენებულ პოეტს (იგულისხმებიან „ცისფერყანწველები“ – ლ.ს.) არ შეიძლებოდა განახლების მედროშის პრეტენზია ჰქონოდა. ამ ლიტერატურული მონაპოვრის მხატვრულ მაქსიმალიზმს გალაკტიონ ტაბიძის სახელთან მივყავართ. გალაკტიონი თავისი პირველი კრებულის გამოცემისთანავე გამოეყო თავისი თაობის პოეტებს. ამავე დროს, იგი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს „ცისფერყანწველთა“ კოლექტიურ გამოსვლას“ (ხინთიბიძე, 1992, გვ. 164).

მაგრამ საერთოდ ამ კორპორაციის და, კერძოდ, პაოლო იაშვილის შემოქმედებისა და ცხოვრების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ამ პერიოდის წარმმართველი პროცესების სრულყოფილი გაგება.

პაოლო იაშვილი გვამცნობს, რომ გულზე (გულწრფელობაზე) ნადირობა და სინდისის გაყიდვა ცხოვრების წესად იქცა იმ დროს, აშკარა გახდა, რომ „გულით ჩარჩობა“, „გულთა ბაზარი“ და აუქციონი გაიმართებოდა, მაგრამ გამათხოვრებულ ყოფაშიც მისი გული რჩებოდა, როგორც „ოქრო უზარმაზარი“. პოეტისა და სინამდვილის დაპირისპირება კარგად ჩანს ლექსში „პოეტი და ადამიანი“: „მე მენატრება ცხოვრება პატიოსანი, მაგრამ რა ვქნა, რომ გამათხოვრება ბედის წყევლაა ქართველ მგოსანის... რა მაქვს ქონება: ცოლი და ბავშვი, ძაღლი და ცოტა ხელნაწერები. მეტყვიან: გული გქონიათ, წავა ნატვრებით, მაგრამ არსად არ გამოგონია გული გაჰყიდონ ვალში ვაჭრობით“.

პოეტი ხედავდა, რომ გულით ვაჭრობის დრო მოსულიყო, მაგრამ ეიმედებოდა საკუთარი პრინციპები: „ნუ გეშინია, გულო, დარჩები ყოველთვის ოქრო უზარმაზარი, ვინ მისცემს ნებას, მართლა ჩარჩებმა გამართონ „ძვირფას გულთა ბაზარი“. ვინ მისცემს ნებას, არჩეულ პოეტს გაუნადგურონ ბუდე ნაგები. ხალხის სიყვარულს თუ მოიპოვებს, პოეტს მრავლად ჰყავს ამხანაგები“ (იაშვილი, 1965, გვ. 18-19).

სულიერი სისპეტაკით მომადლებულს, ენუგეშებოდა თავისი ალალი ფიქრების: „შენ მაგარ ოსტატის სახელი გაგიტანს, მე – ჩემი ფიქრების გაშლილი კარები“ (იაშვილი, 1965, გვ. 33).

მწვერვალები, სულის, გონების, სიტყვის სიმაღლე იყო პოეტის იდეალი: „აი, აქ არის, მეგობრებო, ის ასპარეზი, რაც ბედმა მისცა ამადლებულ გონებას ჩარჩოდ... შეხიზნული

ვარ საქართველოს თვალტანად მთებში და მივსდევ ფერებს, ხმებს და სიტყვას მე მგლური მადით“ (მწვერვალებიდან) (იაშვილი, 1965, გვ. 41).

სიტყვის ერთგული მსახურება იყო მისი მთავარი მოწოდება: „ვერ ნახო სიტყვის გარეშე სხვა მოწოდება მაღალი, ჰანგებით იანგარიშე ცხოვრების აყალმაყალი“ (საკუთარ თავს) (იაშვილი, 1965, გვ.44-47).

პაოლოს სიტყვის აღრესატი იყო ხალხი. „სიტყვის მარულაში“ თავდავიწყებით ჩაბმულს სურდა გაეთავისებინა „სამშობლოს გაკვეთილები“ (იაშვილი, 1965, გვ. 44).

პაოლო იაშვილისთვის ლექსი „სისხლის წვეთი“ იყო (თბილისი) (იაშვილი, 1965, გვ. 40), „ლექსი – გულიდან ხორცად გამონატანი“ (პოეზია) (იაშვილი, 1965, გვ. 50), „შთაგონებით გამონატანი“ (პოეზია) (იაშვილი, 1965, გვ. 50), ყოველი ლექსი – საკუთარი ცხოვრებიდან წლის ჩამოწერა (იაშვილი, 1965, გვ. 50).

„ცისფერყანწელთა“ დირიჟორი მორწმუნე პოეტი იყო, მას აბარბაცებდა „საკმეველის სუნი“ (ტიციან ტაბიძე) (იაშვილი, 1965, გვ. 44).

იდეალად ესახებოდა „ქრისტეს ჯიშის“ არტურ რემბო (იაშვილი, 1965, გვ. 145), უნუგეშებოდა ძველი საქართველოს „მადლი“, აღაშფოთებდა „ახალი უღმერთობა“ (გიორგი ლეონიძე) (იაშვილი, 1965, გვ. 107).

ზნეობრივი სრულყოფისკენ მიმსწრაფი, ღმერთს ევედრებოდა: „უფალო, მომეცი სამხარი ძაღლივით ამოსულს ცაზე და შენი პერანგი ნახმარი ჩამაცვი ცოდვიან ტანზე“ (მელორის სიმღერა) (იაშვილი, 1965, გვ. 111).

სურდა ბავშვური, სოფლური უმანკოების შენარჩუნება, ქალაქში ახელებდა სიყალბე, „კინტოს პროფილი“, „ყელსახვევებით, შავი ხელთათმანებით“ მოვლენილი სნობები, ნიღბიანი ვაი ინტელიგენტები და დედას ეხვეწებოდა, ხახულის ტაძარში ღმერთისთვის შეევედრებინა შვილი, რათა დაეუწიებელიყო მის გულში „გრიგალი და კორიანტელი“ (წერილი დედას) (იაშვილი, 1965, გვ. 129)

საერთოდ ღმერთისადმი ევედრება, რწმენით ცხოვრება მისთვის ორგანული იყო. (იხ. ლექსები: „ტანიტ ტაბიძე“ (იაშვილი, 1965, გვ. 146-147), „ნასყდრალის გაღვანიდან“ (იაშვილი, 1965, გვ. 150-151).

პაოლო იაშვილი შთაგონებას ზეცის მადლად მიიხნევდა, „ოქროს ჩიტების“ საიდუმლო ჰანგები, იდუმალების ხმა ესმოდა (თორმეტი წლიდან, არგვეთის ღამეები) (იაშვილი, 1965, გვ. 134, 52).

შუასაუკუნეების ესთეტიკაში, ღვთისმეტყველებაში შთაგონებას სულიწმინდის მადლად მიიხნევდნენ, შთაგონების მოვლინებას, როგორც საღვთო ნიავის მობერვას (წმ. გრიგოლ ნოსელი, 1977, გვ. 376).

გალაკტიონთან გეხვდება შთაგონებაზე მიმანიშნებელი „ფერადი ქარები“, ტ. გრანელთან – „უხილავი ქარი“, ვ. ვერისელთან – „ცისფერი ქარები“.

პაოლო იაშვილს ამ იდუმალი სულიწმინდის ნიავის შრიალში ჯერ წაუკითხავი შაირის შრიალი ესმოდა: „და ეს შრიალი მიაბობს ჯერ წაუკითხავ შაირს“ (ნეტარი მღელვარება) (იაშვილი, 1965, გვ. 58). (მღრ.: გალაკტიონის „ფიქრთა სამოსის შრიალი“, ტ. გრანელის „ცრელის შრიალი“).

პაოლო იაშვილს მაგიდა პარნასად ესახებოდა და იდუმალების ხმები სალამურის ხმასავით ემშობლიურებოდა (არგვეთის ღამეები, მაგიდა ჩემი პარნასი) (იაშვილი, 1965, გვ. 58, 64)

გალაკტიონ ტაბიძეს მთვარის ვერცხლის საბანში გახვეულ გარემოში „ეუბნებოდა“ იდუმალი სიო „ველთა ზღაპარს“ (მე და ღამე) (ტაბიძე, 1977, გვ. 48).

პაოლო იაშვილის ლექსში ირგვლივ მთვარის საბანია გადაფენილი და სულიწმინდის ქარის ქროლვით იწყება ლექსი: „... ლოგინზე მთვარე გადააფენს ცივ ტილოს საბანს და როგორც ლექსის დასაწყისი ამოდის ქარი“ (ბადის ამბავი) (იაშვილი, 1965, გვ. 56).

მაგრამ გვერდაუფლელია საზოგადოებისა და ხელისუფლების უსამართლობაც: „... ხმა უმაღლესი და პლანეტის უსამართლობა“ (იაშვილი, 1965, გვ. 137).

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში დრომ არჩევანი არ დაუტოვა ბედკრულ საქართველოს და, როგორც სხვებთან, პაოლო იაშვილთანაც, ნებით თუ უნებლიეთ, ჩნდება მომავლის „წითელ რუსეთთან დაძმობილებით“ დაგვირგვინების იდეა (ახალ საქართველოს) (იაშვილი, 1965, გვ. 148).

„რევოლუცია პაოლოსა და მისი მეგობრებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ძველი, დახატული ყოფის დანგრევისა და ბედნიერი მომავლის დამკვიდრების მოლოდინი იყო“ (ნიკოლეიშვილი, 1995, გვ. 29).

მაგრამ სულ სხვაგვარი იყო ამ წითელი რევოლუციის შედეგებისადმი პოეტის მიმართება, რაც კარგად ჩანს ლექსში „ფარშევანგები ქალაქში“ (იაშვილი, 1965, გვ. 122-123). ლექსიდან ნათელია, რომ წითელ რუსეთთან დაძმობილებული ქვეყანა „სისხლისფერი გველეშაპის“ საკბილად ქცეულა, წითელია ქარი, ფარშევანგები, წითელია ქვაფენილები, ისმის საბედისწერო ზარი, მოჩანს „მკვდართან მკვდარი“, „წითელი ძილით“ სძინავს ქალაქს, „სხვანაირია ეკლესიის გუმბათები“ და ოქროს ჯვრები (ანუ იავარქმნილია რწმენა)...

წითელი კლდე, წითელი კაცი, წითელი მხედარი, წითელი ზღვა, წითელი ქარი, წითელი გველი მიანიშნებდა გალაკტიონის პოეზიაში ქვეყნის ავბედით ბედისწერაზე (ორად გაიპო წითელი კლდე) (ტაბიძე, 1977, გვ. 192).

წითელი სატანა ესახებოდა კ. გამსახურდიას ქვეყნის გაუბედურების მიზეზად („ტაბუ...“). „წითელი გოლიათი“ (ჯაყოს ხიზნები), „წითელი გველეშაპი“ (ქალის ტვირთი), „წითელი თემი“ (გივი შადური) მიიჩნია სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის მტრად მიხეილ ჯავახიშვილმა.

არც ევროპა ყოფილა პაოლო იაშვილისთვის იდეალი, ვინაიდან იქ ჭკრეტდა ქაოსს, სისხლს, თაობათა გადაშენებას, გულგრილობას, წარღვნას (ევროპა) (იაშვილი, 1965, გვ. 152-153).

მსოფლიოს მოუწესრიგებლობის, გლობალური სატკივრების პრობლემა ჩნდება ლექსში „ვერჰარნ“ (იაშვილი, 1965, გვ. 126): „სახრჩობელები, კვამლი, სისხლი... მშვიერი ურდო, რკინის კენესა, მზის დაბნელება... ვერჰარნ! ვიხრჩობით ცეცხლის ზღვაში, რა გვეშველება! ოცნება ოხრავს, ვით ფრინველი ფრთადატრუსული“.

თუ როგორ ობიექტურად აღიქვამდა პოეტი საბჭოთა იმპერიაში მიმდინარე ავბედით პროცესებს, რომლებსაც ადამიანისთვის მხოლოდ მიუსაფრობა, სისხლისღვრა, გაცემა-დაუნდობლობა მოჰქონდა, კარგად ჩანს ლექსში „წერილი კოლაუ ნადირაძეს“: „მაგრამ სიჭრელე და გაორება ამ ჩრდილოეთში ერთობ მეტია, მეც მომიძებნეს მკერდი ქორებმა, გულში ვგრძნობ იმათ ნისკარტს წვეტიანს... ვკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას და ვერ მშველიან მათი წიგნებიც, ვწვები, თავამდე ვიხურავ საბანს, მესმის: „მარტო ხარ, მარტოც იქნები!“ (იაშვილი, 1965, გვ. 108-109)

გალაკტიონს ეზმანებოდა საღამოს მსგავსი დილა: „და ასე ღამეს მოჰყვება ღამე და მოდის დილა საღამოს მსგავსი“ (იაშვილი, 1965, გვ. 108-109).

გალაკტიონმა ცხოვრება აღიქვა, როგორც „ცინიკი ღორი, მსგავსება რუმბის“, როგორც ნერონის და თემურ-ლენგის ავბედითი ღიმილი, გულწრფელი ჩანგის „გაწყვეტილი სიმის“ სიმბოლო (საგურამო) (ტაბიძე, 1977, გვ. 707).

პაოლო იაშვილმა თავისი თანამედროვე ცხოვრებაში ღორების ზემო დაინახა და სცადა, უფალთან კავშირით გადაერჩინა სული: „უფალო, უსმინე შევარდენს, მის ხელით გიგზავნი ბარათს, მიშველე ღორებში ჩავარდნილს, ღორებში დარჩენილს მარად“.

„ცრემლისყლაპია“ პოეტი ღმერთს ევედრება მისი მიმსგავსებით აცხოვროს, ღმერთის სახედ და ხატად შექმნილი: „უფალო, მომეცი სამხარი, ძალღივით ამოსულს ცაზე და

შენი პერანგი ნახმარი ჩამაცვი ცოდვიან ტანზე“ (მეღერის სიმღერა) (იაშვილი, 1965, გვ. 111).

სინამდვილის ობიექტური აღქმა, თანადროული მოვლენების უტყუარი ჭვრეტა პოეტს საშუალებას აძლევდა, მომავლის მოსალოდნელი პროცესებისთვის გაეწვდინა მხერა.

ამ უტყუარ ინტუიციას ხედავს მის შემოქმედებაში გურამ ასათიანი: „პაოლო იაშვილის ლექსებში წმინდა შთაგონებას დაკისრებული აქვს მაქსიმები და იგი უტყუარი მეგზურივით მიუყვება პოეტს ზოგჯერ ძალზე რთული მეტაფორული ასოციაციების ტევრში და, რაც მთავარია, ძალიან ხშირად ინტუიციით აგნებს ყველაზე სწორ და ზუსტ გზებს“ (ასათიანი, 1983, გვ. 135).

გურამ ასათიანი მიუთითებს, რომ მოთხრობაში „ფერადი ბუშტები“ პაოლო იაშვილი იგონებს ერთ ნაწყვეტს არსენას ლექსიდან: „წუხელი სიზმარში ვნახე, სისხლით ვიღებავდი წვერსა“.

ეს სტროფი ასეთი სიტყვებით მთავრდება: „ძალით თუ არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსა“.

ძალზე ნიშანდობლივი და წინასწარმეტყველურია პაოლო იაშვილის ერთი ადრეული ლექსი, რომელშიც პოეტი ახალგაზრდობაშივე ეთხოვება სამშობლოს: „ჩემო ქვეყანა, მეტად ძნელია შენი დაკარგვა და დატოვება, სოფლის ბავშვები აღარ მეღიან, არ მეღის მუხა ათასრტოება“ (ასათიანი, 1983, გვ. 145).

პატრიოტ პაოლოს, ქვეყნის მაჯისცემაზე მიყურადებულს, სიკეთის, ერთგულების ეტალონს, რომელსაც განსაკუთრებული ალტრუიზმის გამო ავთანდილი შეარქვეს (ასე მოიხსენია იგი გიორგი ლეონიძემაც „ნინოწმინდის დამეში“), მეგობრების, სამშობლოს დაღატში, საფრანგეთის ჯაშუშობაში, „ნაციონალისტური ფაშისტური ორგანიზაციის“ „თაკაცობაში“ დასდებენ ბრალს, მის გულწრფელ აღსარებას ყურად არ იღებენ და აიძულებენ ჩაუდენელი დანაშაული მოინანიოს, უსაფუძვლოდ ბოდიშები იხადოს და თანაც მიუტევებელ ბრალდებად ცხადდება არყოფილი და არარსებული ფაქტები...

ბერიას მიერ საქართველოს კპ (ბ) მე-10 ყრილობაზე 1937 წ. საეჭვოდ გამოცხადებული პაოლო იაშვილის წამება ექვსი თვე გაგრძელდა და პოეტმა ვერ აიტანა უსაფუძლო თვალთვალი, ეჭვები, ჭორები, ცილისწამება.

ქეთევან ჯავახიშვილის მოგონებით, ბერია ავალებდა პაოლოს მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიცინ ტაბიძის საწინააღმდეგო ყალბი ბრალდებების დაწერას, მაგრამ პაოლომ არ იკისრა იუდას როლი და ეს გახდა მისი ტრაგედიის მიზეზი.

როცა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მისი საბოლოო გაწირვის, მწერალთა კავშირიდან გარიცხვის და ფიზიკური მოსპობის მსჯავრი უნდა გამოეტანათ, პაოლომ დაასწრო ამ უსამართლო განაჩენს და მწერალთა სასახლის კედლებში თოფით მოისწრაფა სიცოცხლე.

„პაოლო იაშვილმა იმ დღეს მხოლოდ საკუთარ თავს კი არ ესროლა ტყვია, არამედ ადამიანთა სისასტიკეს და ვანდალიზმს, სულისშემსუთველ, დამაცირებელ, შეურაცხმყოფელ ყოფას, სიძულვილს, შურს, მცონარობის აღზევებას“ (ხარჩილავა, 1989, გვ. 57).

თავისი ტრაგიკული ხვედრი ძალიან ადრე იგრძნო პოეტმა უტყუარი ინტუიციით: „ნუ ჩაგაფიქრა ჭირვეული ჭორის ხროებმა, ჩემთვის სიხუმე დამეში რომ მოიზანტება, საშინელია, როგორც ომის მოახლოება, საშინელია, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება“ (იაშვილი, 1965, გვ. 34).

პოეტი ამხელდა გაუგონარ ბოროტებას, როცა ქვეყანა ცოდვების, სირცხვილის, ჭორის ბურუსში იყო გახვეული და ცოდვა-ბრალის ქარი ტრიალებდა ირგვლივ: „ქვეყნის ცოდვებს, ქვეყნის კენებს, ქვეყნის სირცხვილს, ქვეყნის ჭორებს ქარი ხელში ათამაშებს, მოატარებს მთებს და გორებს, ცოდვილ მიწას არ აშორებს“ (ზარის ხმა ქარში) (იაშვილი, 1965, გვ. 113).

გალაკტიონი წუხდა „ზეცის ნგრევას, მიწის გადაფერდებას“ (მეოცნეზე აფრებით), „ტალახიან ცას“, სილაჟვარდის გაუჩინარებას...

პაოლო იაშვილი ხედავდა, რომ „დაობდა ზეცა, დაიფარა ბნელ ფაიფურით“ და არ ტოვებდა უარესის შიში: „მზიანს მიპირებს ღამე ჩათრევას“... მას აკვიატებოდა „პლანეტის უსამართლობა, ავი სიტყვა, როდესაც ვკვდები“ (თორმეტი წლიდან) (იაშვილი, 1965, გვ.137).

გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ჩნდებოდა აღსასრულის შიში, სიკვდილის ხილვები, თვითმკვლელობის მოტივი, საფლავის მოლანდება.

პაოლო იაშვილის ტრაგიკულ ინტონაციებს ასაზრდოებდა აუტანელი რეალობა და იგი გარდაცვლილს ხედავდა საკუთარ თავს: „დამეთანხმეთ, ამეგო წესი, დღემოკლესავით გარდავიცვალე, და პოეზია უძვირფასესი გამომიტირებს ყველაზე მალე. ქვეყნიერება ადრე დავტოვე, სულ ზედმეტია ერის ნუგეში, მომეგებება ნოე ჩხიკვაძე, საიქიოში და დიდუბეში“.

ემედებოდა საკუთარი სამარის მარადიულობის, ჩვენი სახელოვანი წინაპრების მფარველობის რწმენა: „იყოს უკვდავი მისი სამარე და იქ შეევსოს ამქვეყნად ნაკლი, მფარველად ჰყავდეს მეფე თამარი და მთავარსარდლად მეფე ირაკლი“ (დამეთანხმებით) (იაშვილი, 1965, გვ. 139).

პაოლოს და ტიცვიან ტაბიძეს „სიამის ტყუპებს“ უწოდებდნენ და ბუნებრივია, მეგობრის ტრაგიკული აღსასრულიც უგრძნო გულმა. პაოლომ ტიცვიანის ქალიშვილს ასეთი სტრიქონები დაუწერა: „იქნება მამა სულ გაიპაროს, ტიროდეს დედა ფშანის ნაპირზე, მაშინ დალოცოს, ღმერთმა იფაროს, ღმერთმა დაიხსნას ტანიტ ტაბიძე“ (ტანიტ ტაბიძე) (1,146)

ეს სიტყვებიც წინასწარმეტყველური გამოდგა.

„კაენის სულის აღზევებას“ (ირ. აბაშიძე) ტიცვიან ტაბიძეც შეეწირა.

„ცისფერყანწელები“ სიკვდილის მომღერლები იყვნენ და განგებამ ესთეტიკური ჟესტი რეალობად უქციათ, თუმცა საამისო წინათგრძნობაც გააჩნდათ“ (სიგუა, 2002, გვ. 161).

ახდა ტიცვიანის სიტყვებიც: „საქართველოში ცხოვრება ხომ თვითმკვლელობაა“...

საგულისხმოა აკაკი ბაქრაძის განცხადება: „გალაკტიონ ტაბიძემაც და პაოლო იაშვილმაც იწინასწარმეტყველეს საკუთარი ბედი. 1933 წ. პაოლო იაშვილმა დაწერა ლექსი „ლირიკული მისამართებიდან“. სიწმის საშინელებაზე ლაპარაკობს ამ ლექსში და ამბობს: „საშინელია, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება“. მაშინ 1937 წლამდე კიდევ 4 წელი იყო დარჩენილი“ (ბაქრაძე, 2004, გვ. 287).

პაოლო იაშვილს, რომელსაც განძაფრებული ჰქონდა გულისა და გონების ძალა, ინტელექტუალური და გრძნობისეული ინტუიცია, არც თავისი პოეტური მომავლის შეფასებაში შეშლია რამე: „ნუ გემინია, გულო, დარჩები ყოველთვის ოქრო უზარმაზარი, ვინ მისცემს ნებას, მართლა ჩარჩებმა გამართონ „ძვირფას გულთა“ ბაზარი“ (პოეტი და ადამიანი) (იაშვილი, 1965, გვ. 18-19).

ასევე, სინდისით სავსე პიროვნების წინასწარმეტყველური სიტყვებია: „ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი“ (ავტობიოგრაფი) (იაშვილი, 1965, გვ. 133).

საგულისხმო იყო 1920 წელს სტუდენტურ ყრილობაზე ნათქვამი: „დღეს თუ არ მოკვდებით, ხვალ დაიკარგებით“ (ასათიანი, 1983, გვ. 134)

ასე მხოლოდ უმაღლესი იდეალებისთვის სისხლის გამღებებს შეეძლო განეჭვრიტა მოსახდენი...

გალაკტიონს ჩაესმოდა მომავლის ხმა, პაოლო იაშვილს მშობელი ქვეყნის უნაზესი მოფერების ჰანგი: „ისე მიმღერის ჩემი ქვეყანა, როგორც უნაზეს მეგრელი ძიძის შვილობილისთვის ნათქვამი ნანა“ (მიმართვა კოლხიდას) (იაშვილი, 1965, გვ. 72).

გადაიქროლეს ღრუბელ-ქარებმა, ჭორის, ცილისწამების ნიაღვრებმა, ყველაფერს უზენაესი სამართლიანობის ნათელი მოეფინა, მტარვალთ სამაგიერო მიუზღო „ბედი

მდეგარმა“, პაოლო იაშვილი კი „შთამომავალთა მესხიერებაში დარჩა ქართული პოეზიის ნამდვილ რაინდად, თავისი წმინდა სახელით, მშვენიერი ლექსებით და ასევე ღამაში, შეუბღალავი ბიოგრაფიით“.

ლიტერატურა

1. გურამ ასათიანი. პაოლო იაშვილი, თანამდევნი სულები, თბ., 1983.
2. აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 3. თბ., 2004.
3. პაოლო იაშვილი, ერთტომეული, თბ., 1965.
4. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, პაოლო იაშვილი, თბ., 1995.
5. სოსო სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002.
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
7. წმინდა გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1987.
8. ვახტანგ ხარჩილავა, სისხლიანი ქრონიკები, თბ., 1989.
9. აკაკი ხინთიბიძე, გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები, თბ., 1992.